გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru



№220 (279) 21-28 მაისი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# ერი გულადი, პურადი...

*"სამშობლოსათვის მამაცი
არის მადლი და დიდება,
მალე დაჰღუპავს ქვეყანას
ლაჩართა გადაკიდება"*
**ვაჟა-ფშაველა**

...და კინაღამ დაჰღუპა კიდეც, საქართველო, **"ლაჩართა გადაკიდებამ"** – 2008 წლის აგვისტოში, როცა ნაცებმა თავად წამოიწყეს ომი რუსების წინააღმდეგ, და როდესაც მისჭირდათ, ზოგი **"წითელი ხიდისაკენ"** გარბოდა, ზოგი კი მესერის ძირში ეძებდა თავშესაფარს.

მანამდე კი, რუსეთთან ომი ორმა დიდმა ადამიანმა (ნაპოლეონმა და ჰიტლერმა) გაბედა და როგორი შედეგიდაც დამთავრდა ეს ავანტიურა, ყველას კარგად მოეხსენება!

2008 წლის აგვისტოს ომი იყო საქართველოსათვის უმძიმესი სირცხვილის ჟამი, რის შემდეგაც ქართველებს ჩრდილოეთკავკასიელები ირონიულად მოგვიხსენიებენ ომისადმი სრულიად შეუფერებელ უსუსურ არსებებად – იმ ქართველებს, რომელთათვისაც ისტორიულად არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მტრის რიცხობრივ სიმრავლეს და სიძლიერეს, ერს, რომლის წარსულს შარავანდედად ადგას ვახტანგ გორგასლის, გიორგი მეფის – **"უშიში, ვითა უხორცო..."**, დავით აღმაშენებლის და დიდგორის, თამარისა და ბასიანის, დემეტრე თავდადებულის, გიორგი ბრწყინვალეს, ცხრა ძმა ხერხეულიძეთა, სამასი არაგველის ხატებანი...

ერთ წამში დაიკარგა და გადაიდღაბნა ყოველი გმირული და საამაყო!..

ჩვენს ოცდაათსაუკუნოვან დიდებას აგვისტოს სამდღიანმა სირცხვილმა მოუღო ბოლო და ხელთ შეგვრჩა იმ ჩრდილოკავკასიელ მდაბიოთა ირონია, რომელთაც მუდამ ეშინოდათ ქართული გონისა და ხმლის!

ტყუილად როდი ამბობდნენ ლათინები: **"თუ კურდღლების ჯგუფს თავში ლომი უდგას, უეჭველად გაიმარჯვებს ლომების ჯგუფზე, რომელთაც სათავეში კურდღელი უდგასო"!**

2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო სამდღიან ომში თავად კურდღელმა მიხეილ სააკაშვილმა ქართული ლომების პრაიდი ყურებცანცარა, შიშით გულაფრიალებული კურდღლების ჯგუფად აქცია და ამ ომში წაქცეული ქართველი დევგმირების სახელს სამარადჟამო სამარცხვინო ჩრდილი მიაყენა.

ვიღას დაარწმუნებ, რომ ჩვენ ვართ **"ერი, გულადი, პურადი..."**, როცა აღარც ჩვენს საომარ შემართებას აგდებს ვინმე აინუშში და არც ჩვენს სანაქებო სტუმარმასპინძლობას!

ვიღას დააინტერესებს საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ვაჟკაცური შემართება, რომელმაც, ვიდრე გერმანელი ფაშისტები ცოცხლად დაწვავდნენ, **"სი სო ულ, ბატა"** უმღერია, ვინღა დაგვიჯერებს, რომ გვყავდა დიდი ქართველი მეცნიერი ჟორდანია, რომელმაც ავიაკატასტროფის შემდეგ თავისი მაშველი რგოლი ვიღაც ბრაზილიელ გოგონას მისცა, თავად კი ოკეანეში დაიხრჩო, იმიტომ, რომ ცურვა არ იცოდა, ვინღა დაიჯერებს, რომ გვყავდა მერაბ კოსტავა, რომელიც ვეებერთელა უსახურმა და უსულგულო ბოლშევიკურმა ძალადობის მანქანამ ვერ გატეხა და ვერ შეაშინა...

**"უნდა მოგახსენოთ, მე ძალიან მაწუხებს ის ამბავი, რომ ქვეყანას მრავალი უსახელო გმირი ჰყავს, რომელთა უანგარო თავგამეტების ამბები, თუნდაც უდიდესმა სიტყვის ოსტატებმაც რომ ასწერონ, ქაღალდზე არ დაეტევა ეს ყოველივე და შესაძლოა, ზოგი რამ არც კი დაიჯეროს ბევრმა"** – ამბობს დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის მოთხრობაში **"ვერცხლის ბეჭედი"**. თავად ბატონი კონსტანტინე გახლდათ ერთი ამგვარი (მაგრამ არა – **"უსახელო"**) გმირთაგანი, რომელიც ვერც **"სოლოვკების"** ციხემ გატეხა, ვერც მატერიალურმა გაჭირვებამ და ვერც ბოლშევიკების მუდმივმა დევნამ და ზეწოლამ.

ძალიან დიდი სია გვაქვს ქართველებს უშიშარი ადამიანებისა, რომელთაც ოქროს ასოებით ჩაწერეს თავიანთი სახელები საქართველოს მატიანეში, მაგრამ, სამწუხაროდ, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ეს სია დევალვირებულია და, აღარც კი ვიცით, როგორ და როდის მოხერხდება ქვეყნისათვის აგვისტოს ყველაზე მოკლევადიანი ომის სირცხვილით მიყენებული მორალური ზარალის კომპენსაცია.

ამიტომ ვამტკიცებთ, რომ ავადსახსენებელმა მიხეილ სააკაშვილმა არა მხოლოდ მომავალი, არამედ საამაყო წარსულიც დაუკარგა საქართველოს! ამიტომაც გადაიქცა საქართველო ვიღაც უჯიშოებისა და კახპა დედაკაცების ხელის წამოკვრის ობიექტად.

მაგალითად, ამას წინათ ქართულ ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა ჟურნალ **"გზა"**-ში გამოქვეყნებული ვიღაც ამერიკელი გოგონას ინტერვიუ, რომელიც აღნიშნავს, რომ: **"ბელორუსის შემდეგ სომხეთში ჩავედი. ჩემმა მეგობარმა, რომელიც წარმოშობით სომეხია, მე და ჩემი მეგობარი თავის სახლში მიგვიპატიჟა. ხალხი ძალიან სტუმართმოყვარე და თბილია, არაჩვეულებრივი ეროვნული კერძები აქვთ. მოგზაურობის განმავლობაში ადგილობრივებთან ცხოვრება გაცილებით ჯობს სასტუმროში დაბინავებას. რაც შეეხება საქართველოს, აქაურობით ნამდვილად მოხიბლული ვარ, მაგრამ სამწუხაროდ, ხალხთან ურთიერთობა ვერ მოვახერხე. თბილისი ძალიან ლამაზია, თავი ევროპაში გეგონება. სხვათა შორის, შევამჩნიე, რომ ქალაქში ბევრი ბარია... ერევანშიც უამრავი კაფეა, რაც ძალიან მახარებდა. ნებისმიერ ადგილას შემეძლო დავმჯდარიყავი და ჩემი ვებგვერდი განმეახლებინა..."**

ვერაფერს იტყვი, ინტერვიუ ზუსტად იმ სტილშია გამოქვეყნებული, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მისი სულბინძური თანამზრახველები 9 წლის განმავლობაში ნერგავდნენ საქართველოში!

ცოტა ვინმე თუ გაიგებს, რომ ამ სტრიქონების ავტორი – **მეგან სტარი**, ერთი ჩვეულებრივი ამერიკელი კახპაა, რომელსაც **"ბოიფრენდი"** (ქართულად ამას **"საყვარელი"** ჰქვია) ნორვეგიელი ჰყავს და ამერიკიდან მასთან ჩადის ხოლმე **"დასაგრილებლად"**. ერთ-ერთი სექსუალური აქტის შემდეგ კი სამყაროს გაცნობა გადაწყვიტა და თავისი ნორვეგიული სექს-ტური გამოიყენა ევრაზიის ქვეყნების გასაცნობად. სამაგიეროდ, უამრავი ხალხი გაეცნობა ამ ვებ-გვერდს და კიდევ ერთხელ **"დარწმუნდებიან"**, რომ სომხებთან შედარებით ქართველები არასტუმართმოყვარე და კარჩაკეტილი ერის ვართ!

როგორც ამბობენ: **"საღოლ, სააკაშვილი, ეს ქუ ცავატანემ"**.

აი, სწორედ ეს გახლავთ ნახევრადშეშლილი მხდალის მიხეილ სააკაშვილის და მისი ნაციონალთა ბანდის ცხრაწლიანი **"ბატონობის"** შედეგი!

მაგრამ ბევრად უფრო **"შთამბეჭდავია"** ამ კახპის აფხაზური შთაბეჭდილება: **"აღმოვაჩინე, რომ შარშან 187 ამერიკელი ყოფილა აფხაზეთში. როცა მოგზაურობას ვგეგმავდი, ვიკითხე, სად ჯობდა გამგზავრება – ბათუმში თუ სოხუმში? ყველამ სოხუმი მირჩია. გავეცანი იმ მოგზაურთა შთაბეჭდილებებს, რომლებიც აფხაზეთში მოგზაურობდნენ და სიმართლე გითხრა, კარგს არაფერს წერდნენ. რატომღაც ცუდი შთაბეჭდილება შეჰქმნოდათ. ამბობდნენ, რომ ქალაქის ქუჩებში იარაღიანი ხალხი დარბოდა, არასტაბილური სიტუაცია იყო, არ იყო სასტუმრო, ნორმალური რესტორანი, სადაც მოგემსახურებოდნენ... ეს ყველაფერი სიმართლე არ აღმოჩნდა. შესაძლოა, 3 წლის წინ მართლაც ისეთი სიტუაცია იყო, როგორც მოგზაურები წერდნენ, მაგრამ დღეს განსხვავებული სურათი დამხვდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მამაკაცები მოსვენებას არ მაძლევდნენ, ტელეფონის ნომერს მთხოვდნენ, სადღაც მეპატიჟებოდნენ... როგორც ჩანს, ყველა უცხოელი ქალი მსუბუქი ყოფაქცევის ჰგონიათ. თუმცა მსგავსი შემთხვევა რამდენჯერმე თბილისშიც მოხდა. სოხუმში მყავდა მეგობარიც, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მონაკოში ცხოვრობდა, სწავლობდა და მუშაობდა. ის ეროვნებით აფხაზია და დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობს. კარგად იცის, რომ აფხაზეთს ტურისტების მოსაზიდად ჯერ კიდევ ბევრი დრო სჭირდება. არც ჰოტელია, სადაც ტურისტი ღამეს გაათევს, ინგლისურად ხომ საერთოდ არავინ ლაპარაკობს და რესტორანში მენიუსაც კი ვერ ნახავთ ინგლისურ ენაზე შედგენილს... აფხაზეთიდან სამი რამ დამამახსოვრდა – არაჩვეულებრივი ხალხი, საძირკვლამდე დანგრეული შენობები და აფხაზი მამაკაცები, რომლებმაც ერთი ინგლისური სიტყვაც არ იცოდნენ და ტელეფონის ნომერსა და ცოლობას ქუჩაშივე მთხოვდნენ."**

ცოლობას სთხოვდნენ თუ ერთი ღამის სიამოვნებას, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ პროფესიონალი კახპისა და **"სიამოვნებისმაძიებლის"** მთელ ამ აბდაუბდაში იგრძნობა საქართველოსა და აფხაზეთის დამცირების დაუძალავი სურვილი და იმის განცდა, რომ ქართველები უნდილი და მშიშარა ხალხია და რამდენი ლაფიც არ უნდა აწუწო სახეში, პასუხს მაინც არავინ მოგთხოვსო!..

თანაც, ეს **"პრაშმანდოვკა"** აღტაცებული სწერს, რომ აფხაზეთში ბევრი სომეხი ცხოვრობსო.

ამასაც თავისი შეფარული ქვეტექსტი გააჩნია. რა საჭიროა აფხაზეთში ბევრი მშიშარა ქართველი, როცა იქ უკვე არის ბევრი სტუმართმოყვარე და გულადი სომეხი?!

მართლაც სააკაშვილისეული **"მყარი"** ლოგიკაა!

როცა ქვეყნის პრეზიდენტი კურდღელივით მხდალი პიროვნებაა, მის **"საწმყსოს"** ყველა დაწიხლავს დაურიდებლად, რადგან კარგად იცის, რომ ამისათვის მას არავინ მოსთხოვს პასუხს.

მე ქართველები და საქართველო მედარდება, მისი ისტორიული გმირების წინაშე სირცხვილის განცდა მწვავს, თორემ სააკაშვილის ჯიში და ჯილაგი წყალსაც კი წაუღია!

ჯაბანი კაცი საქართველოში ისტორიულად უარყოფილი და ე.წ. **"Изгой"**, ესე იგი – ყველასაგან გარიყული იყო. სალამს და ლუკმა პურს მას არავინ დაამადლიდა, მაგრამ მაინც საზოგადოების უვარგის დანამატად თვლიდნენ, რადგან იგი არც ომში გამოადგებოდა ვინმეს და არც მშვიდობიან შრომაში. იყო თავისთვის და ცდილობდა, რომ არავის შეჩხეროდა თვალში. სამწუხაროა, რომ სხვა ღირებულებებთან ერთად, საქართველოში ამ ღირებულების გაუკუღმართებულად გადაფასებაც რომ მოხდა. ახლა, ჰომოსექსუალი, ჯაბანი და მხდალი კაცი, შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტად და მხედართმთავრადაც კი იქნეს არჩეული...

16 მაისი გლოვის დღედ გამოვაცხადეთ ავღანეთში დაღუპული ლომგული ბიჭების ხსოვნის პატივსაცემად, რომლებიც ერს დააკლდნენ როგორც საჯიშე გენოფონდი, 17 მაისს კი ზნედაცემულ ჰომოსექსუალებს აღლუმის მოწყობა სურდათ თბილისის ქუჩებში.

თფუ! მართლაც ფურთხის ღირსია ამგვარი საქართველო!

მეტი სირცხვილი, მორალისა და ზნეობის უგულვებელყოფა, შეიძლება კიდევ რამე იყოს?

ნებისმიერი ადამიანი თავისი ერის დადებით თვისებებსაც ატარებს და უარყოფითსაც – მთავარია, რომ პირველი სჭარბობდეს მეორეს, მაგრამ სააკაშვილი არ გახლავთ ქართველი და, ამიტომ, არ შეიძლება, რომ ჩვენი ერის თვისებებს ატარებდეს.

ახლაც არ დავუშვათ იგივე შეცდომა, ძმებო, ქართველებო, ნუ ვიზამთ ისე, რომ საქართველოს ახალი მანქურთი წამოასკუპდეს თავზე!

სააკაშვილის სიმხდალე და ლაჩრობა ჯერ კიდევ მაშინ გამოვლინდა, როცა რიგით პარლამენტარად ყოფნისას ვიღაც, ალბათ მისი ანტიქართული ქმედებებისაგან უზომოდ გაღიზიანებული პიროვნება, სადარბაზოს კართან დახვდა და კარგა მაგარი ჭიტლაყი ამოუჭირა. ამ ამბით უზომოდ დამფრთხალმა არაკაცმა ლამის მთელი მსოფლიო შეჰყარა – ტერორისტული აქტი მომიწყვესო!

მაშინვე უნდა მიმხვდარიყავით, თუ რა საფრთხეს გვიმზადებდა მისი სახით უხსენებელი შევარდნაძე!

მაგრამ ქართველები ხომ დიდი ხანია მივეჩვიეთ, რომ ჩვენი საკეთებელი საქმე სხვამ უნდა აკეთოს, ჩვენ კი მუდამ განცხრომაში უნდა ვიყოთ?! სწორედ ამიტომაც მიძვრებიან ხოლმე, **"წარმატებით"**, ხელისუფლების სათავეში სერგო ორჯონიკიძეები, ედუარდ შევარდნაძეები, მიხეილ სააკაშვილები...

უფრო დაწვრილებით თუ ჩავეძიებით წარსულს, საკმაოდ გრძელი სია გამოგვივა!

და თუ ქართველები კვლავაც ჩვეული დარდიმანდობით გავაგრძელებთ ცხოვრებას, რატომ გვგონია, რომ ეს სია საქართველოს მოღალატე მიხეილ სააკაშვილით დამთავრდება?

ჩვენც ხომ ვიცით, რომ მალე მოგვევლიანებიან სხვა ორჯონიკიძეები შევარდნაძეები, სააკაშვილები!

აი, მაშინ, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას თქმისა არ იყოს, საქართველო ამას ნამდვილად ველარ გადაიტანს!

ამიტომ, დიდი ვაჟას სიტყვებით დაწყებული ეს წერილი ვაჟას სიტყვებითვე მინდა გავასრულო:

**"იმის ძმებს მტერი ჰმუსრავდა,
თვით ჯიბეს იყრის ფულებსა.
მიკვირს, რომ ასეთ უმსგავსთა
ქვეყანა რადა ჰყურებსა?!"**

**როლანდ ჯალაღანია,
"აია"-ს და "ფაზისი"-ს
აკადემიების წევრი**

# სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში

*ყველა ერს აქვს თავისი ტრადიციები, ადათები და წეს-ჩვეულებები. ისინი შექმნა თვით ხალხმა, რომლებიც ზუსტად ასახავენ ამა თუ იმ ტომის, გვარის თუ ოჯახის ქცევა-მოქმედებებს, ცხოვრების შინაარსს. ყველა ზნე-ჩვეულებას გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი რიტუალური მოქმედება. ამის საფუძველზე იქმნებოდა ხალხური თქმულებები და ლეგენდები. ხალხური წეს-ჩვეულებები წარმოადგენდა მშრომელი ადამიანების ერთობის საშუალებას.*

*დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი არა მხოლოდ, უბრალოდ, ალამაზებენ ცხოვრებას, არამედ ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ისტორიულ გამოცდილებას. როგორც ქრისტიანობა, ისე ყველა სხვა რელიგია, სათემოსაგვარეულო დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების საშუალებით ნერგავდნენ ხალხში თავიანთ ძირითად იდეებს. ყველა ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული დღეები, რომელიც უკავშირდება რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. ამ დღესასწაულების დიდი ნაწილი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ადამიანი დღესასწაულობდა ხვნა-თესვას, მოსავლის აღებას, მოიგონებდა სახალხო გმირებს. შემდგომში ბევრმა დღესასწაულმა რელიგიური ხასიათი მიიღო, რომელიც დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.*

*ვაგრძელებთ მასალების ბეჭდვას სამეგრელოში დღემდე შემორჩენილ სალოცავებსა და დღესასწაულებზე, რომლებიც უხსოვარი დროიდან იღებენ სათავეს.*

## ყვავილ-ბატონები

ყვავილ-ბატონები: ჩხვერე, კორკოცე, შარტე, კისერე, დიდი ბატონები (წითელა, ყივანა-ხველა, ქუნთრუშა, ჩუტყვავილა, ხორველა, შავი ჭირი) გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში.

1. **ჩხვერე** ბატონების დროს ბავშვის ტანს ემჩნეოდა გამონაყარი, აძლევდა სიცხეს.

2. **კორკოცე** (ხველა ბატონები) ბავშვი ახველებდა ისე, რომ მამალივით ყიოდა, აძლევდა სიცხეს.

3. **წითელა ყვავილის** დროს ბავშვის მთელი ტანი, განსაკუთრებით მუცლის არეში, წითელი წერტილებით იყო გამოყრილი, სიცხესაც აძლევდა.

4. **კისერე** (ხორველა). ეს ბატონები ძალიან საშიში იყო ავადმყოფებისათვის, რადგან ყელი და მთელი სასუნთქი ორგანოები უჩირქდებოდათ და ეკეტებოდათ.

5. **დიდი ბატონები** იგივეა, რაც შავი ჭირი. ეს ავადმყოფობა მაღალი ტემპერატურით იწყებოდა, უსივდებოდათ და უჩირქდებოდათ მთელი სახე. თუ ვინმე ცოცხალი გადარჩებოდა, მას, აუცილებლად, სახეზე ემჩნეოდა ნაყვავილარის კვალი, ანდა სამუდამოდ დაინვალიდდებოდა. ასევე იყო **ფიღვაია ბატონები**, როცა ბავშვს კისერი უსივდებოდა. ეს ავადმყოფობა საშიშს არ წარმოადგენდა.

ადრე, დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი სამეგრელოსა და სვანეთში, შემოღებული იყო ყვავილ-ბატონების სალოცავი. ეს ტარდებოდა ყველიერის ორშაბათს.

გადმოცემით, ბატონებს უფროსები აგზავნიდნენ და ასვენებდნენ ხან ბავშვების, ხან კი ასაკოვანი ადამიანების ორგანიზმში. მათ ისტუმრებდნენ სიმღერებითა და ჩონგურით.

სვანეთში ჭიანურზე ამღერებდნენ და ცეკვა-თამაშით აცილებდნენ ბატონებს. იწვევდნენ შუამავალს, მახვეწებელს, მომბოდიშებელს, გამომლოცველებს. ასეთები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ჰქონდა მოსტუმრებული ყვავილ-ბატონები. სწორედ მათ შეეძლოთ ბატონებით დაავადებულ ავადმყოფთა მომსახურეობა.

დაავადებულის ოჯახის პატრონებს არ შეეძლოთ საჭმლის მოხარშვა, ცეცხლის დანთება, ტაფის გახურება. ამას მეზობლები აკეთებდნენ და უგზავნიდნენ ყვავილმოსტუმრებულის ხელით, ან აკაკუნებდნენ ავადმყოფის ჭიშკარზე, რათა გადაეცათ საჭმელი. დაძახება არ შეიძლებოდა ავადმყოფზე, რაიმე წამლის მიცემა აკრძალული იყო.

სოფელ სარაქონში სამი ოჯახი ამოწყვიტა ყვავილ-ბატონებმა. ჯადალი ჯალაღონიას ოჯახიდან სამი ბავშვი, ანტონ გეთიას ოჯახიდან კი სამი ბავშვი და დედ-მამა შეიწირა. გოძია მეშველიას ოჯახიდან დედ-მამა. ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა უპატრონოდ. ტირილი აკრძალული იყო. მეზობელ სოფელ ლეწურწუმეში ამბაკო წურწუმიას ბავშვი გარდაიცვალა ბატონებით, მამა კი არ მიუშვეს სატირლად.

გაჯავრებულმა მამამ ღვინით სავსე ქვევრები სულ ქვებით დალეწა. მახვეწებლებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ბატონებს ამბაკოსათვის ეპატიებინათ დანაშაული.

ბატონებით ავადმყოფ ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ თამბაქოს მოწევა, ღვინის დალევა. თუ რომელიმე ჩვეულებას დაარღვევდა, მას სჯიდნენ. აი, რას იხსენებს 85 წელს მიღწეული მარტვილელი აბელი მოწაფია: თურმე, როცა ის ყვავილებით ყოფილა ავად, ბაბუამისი მთვრალი მოსულა, ბავშვები კი ცუდად გამხდარან. ბაბუას რომ გამოესყიდა დანაშაული, მისთვის ხელ-ფეხი შეუბორკიათ და საწოლქვეშ შეუგდიათ. ბავშვებს ეს ძალიან გახარებიათ, სიცილი დაუწყიათ და სიცხეც დასწევიათ.

როგორც, ამ რამდენიმე წლის წინათ, გაზეთი **"ასავალ-დასავალი"** წერდა, ცნობილი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის ლავრენტი ბერიას ოჯახს აფხაზეთის სოფელ მერხეულში ყვავილ-ბატონები სტუმრებიათ. ლავრენტის ერთი ძმა ამ სენით გარდაცვლილა. დედამისიც დაავადებულა, მართალია, ცოცხალი დარჩენილა, მაგრამ სამუდამოდ დაყრუებულა.

დიდი ბელადის, იოსებ სტალინის დედა – კეკე ხშირად ამბობდა თავის მეზობელზე: **"ჩემს სოსოს და ჩემს მეზობელ ქებაძეს ერთად სჭირდათ ყვავილი და ერთნაირად ამჩნევიათო".** დღესაც ვხვდებით ხანდაზმულ ადამიანებს, რომლებსაც სახეზე ძლიერად ამჩნევიათ ყვავილ-ბატონების ნაკვალევი.

ასე რომ, ყვავილ-ბატონების გაჯავრება არ შეიძლებოდა. იტყოდნენ: ბატონები ესტუმრაო, ბატონები უბრძანდებაო, ბატონებმა ბრძანაო. ავადმყოფს უსრულებდნენ ყველაფერს, შეუძლებელსაც, რასაც კი მოითხოვდა.

გარდაცვლილებზე იტყოდნენ – ბატონებმა წაიყვანაო. მახვეწებლები მიცვალებულს აცილებდნენ ჩონგურითა და იმ სიმღერით, რომელსაც უმღეროდნენ ყვავილმოსტუმრებული შუამავლები. სიმღერას ერქვა **"ოდუდური"**.

**ვოიადი, ია ვარდი**
**ია პატონეფი,**
**ია გიფინუ დო ვარდი**
**ია პატონეფი,**
**სტუმარეფ მურს, გოლვაფირო,**
**ია პატონეფი,**
**ქუბირათი, გოლვაფირო,**
**ია პატონეფი,**
**სქანი ლეხის მოუშუში,**
**ია პატონეფი,**
**მუშ ვარდი დო მუშ ქუჩუჩუ,**
**ია პატონეფი,**
**ოქროშ ტახტი გონწყილ მაფუ,**
**ია პატონეფი,**
**სქანი ლეხის მოუშუში,**
**ია პატონეფი,**

* * *

**ია ბატონეფი, წითელე – ბატონეფი,**
**მუში ვარდი დო მუში ქუჩუჩი,**
**სქანი ლეხის მოუშუში,**
**წითელე ბატონეფი,**
**მოზოჯითუ დოზოჯითუ მაფუ**
**ია პატონეფი, წითელ ბატონეფი,**
**ია გიფინ დო ვარდი,**
**სტუმარეფ მურს, გოლვაფირო,**
**ქუბირათი სქანი ლეხის**
**ია პატონეფი, წითელე ბატონეფი.**

ჩამოთვლილი წეს-ჩვეულებები დღესაცაა შემონახული, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კეთდება აცრები, უკეთებენ სიცხის საწინააღმდეგო საშუალებებს. თუმცა, ყვავილის აცრა ახალი არ გახლავთ და ის მოიხსენიება უძველესი დროიდან.

ჩვენ ვკითხულობთ **"მედიცინის ისტორიაში"** ასეთ რამეს – ინგლისელმა ექიმმა ჯენერმა 1794 წელს ძროხის ყვავილი აუცრა ბიჭუნას, იმავე წელს, ადამიანის ყვავილიც აუცრია, მაგრამ მას შემდეგ არ გაუმეორებია.

ექიმი, პროფესორი მიხეილ სააკაშვილი (ეს გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბაბუა. ბატონმა მირიან ჯალაღონიამ ეტყობა არ იცის, რომ ეს უაღრესად პატიოსანი პიროვნება, რომელსაც უფროსი თაობის ადამიანები კარგად იცნობდნენ, სიცოცხლის ბოლომდე გვარად გახლდათ სააკოვი, იყო საქართველოს ჭეშმარიტი პატრიოტი, მაგრამ არასოდეს არავისათვის არ დაუმალავს თავისი სომხობა და ამაყობდა კიდეც სომხური წარმომავლობით – **"ილორი"**) იმოწმებს **"მედიცინის ისტორიას",** სადაც მოყვანილია ბერძენი ექიმის თიმონის ცნობა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ყვავილით დაავადებული ქართველის ჩირქში ამოვლებული ნემსით იფხაჭნიდნენ კანს, რომელიც მათ ინფექციისგან იცავდა. თიმონი სხვა ნაშრომებშიც მიუთითებს, თითქოს ყვავილის აცრის მეთოდი ბერძნებს ქართველებისაგან გადაეღოთ.

ბატონ მიხეილს კონსტანტინეპოლში ასევე აღმოუჩენია ინგლისის ელჩის მეუღლის, მარიამ მონტეგიუს წერილი, სადაც ის 1717 წელს თავის მეგობარს ინგლისში წერს: **"ყვავილი, რომელიც ჩვენთანაა გავრცელებული, აქ სრულიად არ მიაჩნიათ საშიშ დაავადებად. შევეცდები, ეს სასარგებლო აღმოჩენა ინგლისში შევიტანო".** მას გადაუწყვეტია თავისი ვაჟიშვილისთვის ყვავილზე აეცრა.

ასევე, მედიცინის ისტორიაში მრავალი მეცნიერისგანაა დადასტურებული, რომ საქართველოში უძველესი დროიდან ყოფილა ყვავილის აცრის მეთოდი გავრცელებული. 1903 წელს, პარიზში, ცნობილ მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწეს თედო სახოკიას წაუკითხავს მოხსენება თემაზე **"ყვავილბატონები საქართველოში".** ამ მოხსენების შემდეგ პროფესორმა მიშელ ზაბოროვსკიმ აღნიშნა: **"ქართველებს ავადმყოფობა წარმოდგენილი ჰქონიათ სულების სახით ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების ევროპაში, კერძოდ, სლავთა შორის. ამგვარი წარმოდგენა მთელს მსოფლიოში იყო გავრცელებული, მაგრამ, ამისგან განსხვავებით, ქართველებს გადამდებ სენთა სულები ადამიანთა სახით ღვთაებადაც კი ჰყოლიათ წარმოდგენილი".**

თედო სახოკია აღნიშნავდა: **"ამ პირველყოფილმა ადამიანმა იმისათვის, რომ ღმერთების ავი ნდომა-სურვილები დაეტკბილებინა, მათგან სიკეთე გამოეთხოვა, მათგან მფარველობა მიჰმადლებოდა, უძულებული შეიქმნა გამოეგონებინა კულტი, თაყვანისცემა ამ გაღმერთებულ სულთა".**

უკეთესია გაზეთის მკითხველს შემოკლებით გავაცნო თედო სახოკიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები ყვავილ-ბატონების თაობაზე საქართველოში: **"გადამდები სენი, როგორიცაა ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა, ხორველა, ყელ-ჭირვება, ყივანა ხველა, დიდი ბატონები (შავი ჭირი) ქართველებს მიაჩნდათ სულებად. ამ სულებისათვის არ არსებობს უამინდობა და უგზოობა. მათ ჯორზე ამხედრებული შეეძლოთ გადმოელახათ მთები, ზღვები და ოკეანეები".**

როგორც კი გაჩნდებოდა ბატონები, ავადმყოფს კისერზე დაჰკიდებდნენ გახვრეტილ ქვას. ეს იყო ნიშანი მორჩილებისა **"ბატონების"** მიმართ. შემდეგ კი ქვას საწოლქვეშ დებდნენ. ოჯახში ცეცხლს არ ანთებდნენ, ოთახს ლამაზად რთავდნენ, საჭმელს არ ხარშავდნენ.

მეზობლები ერთმანეთს პატივს სცემდნენ, რადგან ყველა ელოდა **"ბატონების"** სტუმრობას. ჩუქნიდნენ წიწილებს, ციკნებს და სხვა ფრინველებს, რომლებსაც ფეხებსა და ნისკარტებს წითლად უღებავდნენ.

მეგრელთა წარმოდგენით **"ბატონები"** ჯორზე შემსხდარნი დადიან. ქალები თეთრ ჯორებზე, თეთრად გამოწყობილები, კაცები – შავ ჯორებზე, შავად გამოწყობილები. ვიდრე ეპიდემია მძვინვარებდა, მეზობლები ერთმანეთთან არ დადიოდნენ, ყველა ჩურჩულით ლაპარაკობდა. არ შეიძლებოდა არც ერთი წესის დაცვა მიცვალებულის დასაფლავების დროს, არც ტირილი შეიძლებოდა და არც შავების ჩაცმა. ოჯახი მწუხარებას არ იმჩნევდა.

ოთახის კარი, სადაც ავადმყოფი იწვა, ყოველთვის ღია უნდა ყოფილიყო. არ შეიძლებოდა ღორის ხორცის ჭამა, დაბანა, გარეცხვა, თამბაქოს მოწევა, ნავთიანი კოჭობის დანთება, წერა, სურათების ყურება, თოფის სროლა, მეზობლისათვის რაიმე ნივთის თხოვება. **"ბატონებს"** ეჯავრებოდათ აბრეშუმის ჭია, უწმაწური სიტყვებით ლაპარაკი, არ შეიძლებოდა ძაღლის გაგდება. თუ ძვირფასი ქსოვილი გააჩნდა ოჯახს, აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოფენილი, ყველგან უნდა მიმოებნიათ ყვავილები. აკეთებდნენ დეზინფენქციას იისა და ვარდის ფოთლების ნაყენით. იჩოქებოდნენ სამხრეთით სახემიქცეულები, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ბატონები მაჰმადის სარწმუნოებისანი არიან, ამიტომ პირჯვარის გამოსახვაც აკრძალული იყო.

უფრო ხშირად ყვავილის ეპიდემია საქართველოში შემოდიოდა სამხრეთიდან – ოსმალეთიდან, ოსმალო მეზღვაურებისგან...

ყვავილებით დაავადებულის მოვლაში მთავარი როლი აკისრია მოსამსახურეს. ის შუამავალია ავადმყოფსა და ბატონებს შორის. მსახური ზრუნავს არა მხოლოდ ავადმყოფზე, არამედ ბატონების ჯორებზეც. სახლის ერთ კუთხეში ჩამოკიდებული იყო თოკი, იქვე დაყრილი იყო ჩალა. მსახური იღებდა მეზობლებისაგან ბატონებისათვის მირთმეულ მოსაკითხს. თუ ვინმე შეეკითხებოდა ავადმყოფის მდგომარეობას, ამ შემთხვევაში არ შეიძლებოდა თვალის და კისრის ხსენება, იტყოდნენ: როგორ აქვს "სარკე", "შუშა". ზოგიერთი მეზობელი მსახურს ეხმარებოდა და ერთად ათევდნენ ღამეს, უკრავდნენ ჩონგურზე, ამბობდნენ ლამაზ ზღაპრებს. მსახური უნდა ყოფილიყო მჭერმეტყველი, ენაზე თაფლი უნდა ჰქონოდა დასხმული, უნდა სცოდნოდა ალერსიანი სიტყვები, ჰქონოდა არტისტული ნიჭი და ყოფილიყო მომთმენი.

მე მახსოვს, თუ როგორ დავყავდით ბავშვები რამოდენიმე კილომეტრიც სიშორეზე აცრის ჩასატარებლად. დღე უნდა ყოფილიყო მზიანი, რომ აცრილი ადგილი მალე გამშრალიყო. გვისივდებოდა და გვიჩირქდებოდა მკლავი, რომელზედაც მორჩენის შემდეგ რჩებოდა აცრის კვალი. ხნიერ ადამიანებს დღესაც ამჩნევიათ ეს კვალი.

ავადმყოფის კულტი, **"ბატონების"** თაყვანისცემა შეცვალა თანამედროვე წამლებმა, მაგრამ სამეგრელოსა და აფხაზეთში ჯერ კიდევ ნაწილობრივ მისდევენ ძველ მეთოდს. ხვეწნითა და თაყვანისცემით მკურნალობენ ბატონებს. სოფელში ძველებურად დადიან ყვავილმოსტუმრებული ადამიანები ყვავილ-ბატონების შუამავლად. ავადმყოფის ოჯახში ძველებურად იცავენ ამ წესებს: მაგალითად, გარდაცვლილ ახლო მეგობრის ან მეზობლის ტირილში არ მიდიან, მეუღლესთან ინტიმურ კავშირებს ერიდებიან, ღვინოს არ სვამენ, ღორს არ კლავენ, ავადმყოფს უსრულებენ ყველაფერს, რასაც მოითხოვს.

აფხაზეთისა და სამეგრელოს ბევრ სოფელში ვიარე, ბევრ ყვავილმოსტუმრებულს შევხვდი, მინდოდა ჩამეწერა მაგიური სიტყვები, რომელსაც მღეროდნენ ჩონგურზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერავინ ვერ გაიხსენა. ისევ და ისევ დამეხმარა ჩემი მეგობარი, სამწუხაროდ, უსინათლო ვაჟა ჯანჯღავა, რომელიც მეგრული ენის დიდი თაყვანისმცემელი და ტრადიციების მკვლევარია. მან ჩამაწერინა ლექსი **"ოდუდური",** რომელსაც უმღეროდნენ ყვავილ-ბატონებს. ხოლო მისი გაგრძელება წითელა-ბატონებზე ვახტანგ ყურაშვილის მეუღლის – ქალბატონ ზოიას ჩანაწერებიდან გადმოვიღე.

**მირიან ჯალაღონია**
**ომისა და შრომის ვეტერანი,**
**დევნილი აფხაზეთიდან**

# ესე ამბავი ესსეზე შემომწყრალისა

## ეჰ, ფუტკარაძე, ფუტკარაძე, მებრული ენის განქიქებას არ გერჩია, რომ ქართული ენა შეგესწავლა საფუძვლიანად?

უცნაური ჩვეულება აქვს მორიელს: **"ქორწინებისას"** თუ სასუსნავი წინასწარ არ მიართვეს, ტრფიალებით დაქანცულ და მიბნედილ მამრს მიუბრუნდება და გადასანსლავს. ერთ-ერთ დოკუმენტურ სიუჟეტში წამით გაელვებული ეს კადრები რომ მომეძებნა, გადაცემაში ჩამესვა და ტელემაყურებელისათვის მეჩვენებინა, დიდი შრომა დაიხარჯა, თანაც არამარტო ჩემი.

რამ გამახსენა ამბავი ესე?

ბატონ ოტია იოსელიანსა და მის ესსეზე იმ არც თუ მთლად ზრდილობიანმა საუბარმა, რომელიც ბატონმა ტარიელ ფუტკარაძემ წამოიწყო მისსავე გაზეთში, რომელსაც **"ქართული"** ჰქვია.

ბატონი ტარიელი რომ ყველაზე სასარგებლო მწერივით – ფუტკარივით მშრომელი კაცია, როგორც ბევრ სხვას, ამაში ეჭვი არც მე მეპარება. მაგრამ, დაე, ფუტკარს ფუტკრის საქმე მივანდოთ – თაფლი მოგვცეს, სანთელი მოგვცეს, კიდევ მეტი მოგვცეს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მის მიერ საფუძველჩაყრილი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ნაკვლევი მასალა და მაშინ, როცა რაიმეთი განაწყენებულია, ნამდვილად არ დაემსგავსოს იმ მუშა-ფუტკარს, რომელიც თავისი შხამით დედა-ფუტკრისათვის უმაქნის მამრს კი კლავს, მაგრამ თუ ნესტარი მის მომვლელს ჩაასო, სიცოცხლეს ძალიან ცუდად ამთავრებს.

ბატონი ტარიელი მწერალს ედავება – შენი თხზულება ესსე კი არა **"ესსეიაო"**.

რა არის **ესსე** და რატომ დაარქვა ბატონმა ოტიამ სახელი **ესსე** დედაენის მისეულ ქებათა-ქებას, რომელიც გაზეთ **"ქუთაისის"** 13 თებერვლის ნომერში დაისტამბა, მოდით, ამის გადაწყვეტის უფლებას ნუ წავართმევთ მწერალს. მით უფრო, რომ იგი არც დამწყებია და არც ასე იოლად ხელწამოსაკრავი. ამასთან, დაბეჯითებით შემიძლია ისიც ვთქვა, რომ ბატონი ტარიელისაგან არც ის ესწავლება, როდის უნდა განეწყოს ოპტიმისტურად და როდის – პესიმისტურად. ეს მისი ისეთივე უფლებაა, როგორიც ბატონი ტარიელისათვის მსჯელობა დიალექტოლოგიის საკითხებზე, ხოლო ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისათვის, იმის შეფასება, თუ რა დონისაა ესა თუ ის გაზეთი და როგორია მისი სტატიების ენა და სტილი.

ჩემს წინ ძევს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთის პირველი ნომერი და შევეცდები, მისი ავ-კარგი ათვლის ზემოხსენებული წერტილიდან **"გავჩხრიკო"**.

**"ჩვენ, ენა და ქუჩა"** – ამ რუბრიკით გაზეთს ფრიად საჭირო საუბარი წამოუწყია. თავად სტატიის სათაურიც არ არის ურიგო – **"ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?!"** მაგრამ როდესაც ასეთი ამოცანა გვაქვს, დედაენის უკეთ ცოდნასთან ერთად, დიდი სიფრთხილე გვმართებს, რათა იმ დათვს არ დავემსგავსოთ, პატრონს ერთგულების დასამტკიცებლად შუბლზე ბუზი რომ მიაკლა. არადა, ასეთი საფრთხე არსებობს.

**"ყველაზე იაფი აფთიაქი"** რომ აშკარად ალოგიკური შინაარსის წარწერაა, ამაში უთუოდ უნდა დავეთანხმოთ ზემოხსენებული სტატიის ავტორს, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ქართულმა ასეთი **"ალოგიკურობის"** ერთი და ორი მაგალითი როდი იცის. ამის დასტურად **"ცხრა თვალი ოთახიც"** კმარა. მაგრამ, მოდით, იმაზე ნუ ვიდავებთ, ქართული რომელ ფორმას იგუებს და რომელს – ვერა, ამას თავად გადასწყვეტს დედაენა, რომელშიც **"მრავალი საიდუმლო დამარხულ არს"**. აქ ჩვენ ის ვთქვათ, რასაც გვთავაზობენ უვარგისის სანაცვლოდ.

არც მეტი, არც ნაკლები, გთავაზობთ ისეთ კონსტრუქციას, როგორიც არის **"ჯარისკაცი თოფით"** (არა მარტო ქართული ენის სპეციალისტებს, არამედ, ალბათ, ბევრ სხვასაც ახსოვს ასეთი სათაურით თარგმნილი რუსული ფილმი და მსგავს **"კალკებთან"** ის შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც ქართულმა პრესამ უნიჭიერესი მთარგმნელისა და სტილისტის მიხეილ მამულაშვილის თაოსნობით ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში გააჩაღა).

**"წამლები ფასდაკლებით"**, რომელსაც ზემოთქმულის ნაცვლად გაზეთი გვთავაზობს, იმაზე გაცილებით უარესია, ვიდრე **"ყველაზე იაფი აფთიაქი"**.

გაზეთის იმავე პირველ ნომერში, სადაც **"იაფ აფთიაქზეა"** საუბარი, ვკითხულობთ: **"მიუხედავად იმისა, რომ არაერთ შენობაზე გასწორდა აღნიშნული შეცდომა, ჯერ კიდევ ვხვდებით თავმომწონე აბრებს"**.

არაფერს ვიტყვით ამ ჩიქორთულის სტილურ და საგაზეთო ენისათვის მიუღებელ სხვა შეცდომაზე და მკითხველის ყურადღებას მხოლოდ **"თავმომწონე აბრებზე"** გავამახვილებთ.

**აბრას** სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს, ვიდრე ამას გაზეთი გულისხმობს. ამის თაობაზე არაერთი სტატია გამოქვეყნდა იმავე პერიოდში, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. **"აბრა"** – არც მეტი და არც ნაკლები – **ნიშნავს სასწორის გამათანაბრებელ საწონს და არა "ფირნიშს"**. ეს კი, ვინ ვინ და, ენის სახელმწიფო პალატის წარმომადგენელმა ნამდვილად უნდა იცოდეს, და თუ არ იცის, ის მაინც არ უნდა შეეშალოს, რომ აბრებზე თქვას თავმომწონეაო.

არცოდნა არცოდვააო, – ნათქვამია. მაგრამ ვითომ არცოდვაა, როცა ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს გაზეთში წინადადების წევრთა რიცხვში შეთანხმებას ვერ ახერხებენ და ვკითხულობთ: **"სხვადასხვა წინადადებებს, მოსაზრებებს"?**

ამავე გაზეთში წერია, **"შენიშვნა გააკეთეს"**. არადა, ნორმალურად მოქართულე იტყოდა: **"შენიშნეს"**. მით უფრო, რომ **შენიშვნის გაკეთება ნამდვილად არ შეიძლება.** ბევრიც რომ მოინდომო, ვერ გააკეთებ.

**"ქართულის"** ქართულს რომ მივყვეთ, გვიმტკიცებს: **"გვინახავს მისი საერთაშორისო ნიშანი ფიალითა და გველის გამოსახულებით"**.

დავუჯეროთ ამის მთქმელს? ვირწმუნოთ, რომ მავანს ფიალა და გველის გამოსახულება ეკავა და ისე ნახა საერთაშორისო ნიშანი?

– ზემოხსენებული მაგალითები სხვათა პუბლიკაციებიდან არის ამოწერილი და, მე რას მერჩითო, – გვეტყვის ალბათ ბატონი ტარიელ ფუტკარაძე. მართალიც იქნება, რადგანაც ჩვენთვის ცნობილია, ამ გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლისას ბატონი ტარიელი რედაქტორი არ იყო. ამიტომ გრამატიკაზე მაღლა მდგომთა სხვა ნაცოდვილარს აღარ დავუბრუნდებით და პირველი ნომრიდან მხოლოდ იმ წერილზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც მისი ავტორობით გამოქვეყნდა რუბრიკით: **"სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები"**.

აი, რა **"მარგალიტებს"** ვხვდებით ამ პუბლიკაციაში, რომლის სათაურია **"გარდაქართულდა. გადამავიწყდა"** დავიწყებთ ქვესათაურიდან, სადაც ბატონ ტარიელს შევახსენოთ ზოგიერთი რამ, რაც არცთუ მთლად სწორად **"გადააქართულა"**. წერია: **"ქართველის მეხსიერებში ქართულად აღარ ხსენდება"**.

ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ვერ გავარკვიეთ, ამ წინადადებასთან რა კავშირშია **"ხსენი"**, მით უფრო ხსენად ქცევის პროცესი? ვერც იმას მოვუწონებთ ბატონ ტარიელს, რომ ნებსით თუ უნებლიედ **"კალკს"** გვთავაზობს როცა წერს: **"მშობლიური ენიდან წაშლა"**. კარგი მოქართულე, ამის ნაცვლად, შემოგვთავაზებდა: **"დედაენიდან ამოშლა"**.

ვეკითხებით ბატონ ტარიელს, შეიძლება **"სიტყვათქმნადობის პროცესზე თვალის გადევნება?"** ეგებ უმჯობესი იყო, დაეწერა: **"პროცესისათვის თვალის გადევნება?"**

ვერც იმას მივხვდით, რას ნიშნავს: **"მორიგი საფრთხე დაიძლევა"**.

სად მორიგეობს საფრთხე და როგორ? ამასთან, **"საფრთხე დაიძლევა"** თუ **"თავიდან აგვცილდება?"**

ალბათ, კარგი მოქართულე არც ასე იტყვის: **"სემანტიკური გააზრების გარდა, ჩვენი აზრის სისწორეზე მეტყველებს"**. აქ მსმენელს ყურს ჭრის ტავტოლოგია **(გააზრება-აზრზე)**, ამასთან, ალბათ აჯობებდა **"სისწორე" "მართებულობით"** შეგვეცვალა. თუ ზემოთთქმულს გავითვალისწინებდით, წინადადებას შეიძლება ასეთი სახე მიეღო: **"...ჩვენი შეხედულების მართებულობაზე მეტყველებს"**.

ახლა, ორიოდ სიტყვით დავუბრუნდებით იმ წერილს, რომელიც ბატონმა ტარიელმა ბატონ ოტია იოსელიანს მიუძღვნა. იგი გაზეთის რიგით მეორე ნომერშია დაბეჭდილი და აქვე უნდა ითქვას, რომ მასში შედარებით ნაკლები რაოდენობითაა ენობრივი შეცდომა. სამაგიეროდ ბევრია **"რებუსი"**, რომლებსაც, თუ უშუალოდ ავტორი არ განმარტავს, მკითხველი ვერაფერს გაუგებს. გაგაცნობთ ერთ-ერთ ამონარიდს და თავად განსაჯეთ: **"ენა, როგორც უფლის სიტყვა, როგორც კოსმოსი, ადამის ძისთვის თვითქმნადი უსასრულობაა"**.

რისი თქმა უნდა ავტორს? იმისი ხომ არა, რომ კოსმოსისა და უფლის სიტყვის მსგავსად ენის შექმნაშიც ვერ ერევა ადამიანი?

თუ ამის თქმა უნდა, არა გვგონია, ასე იყოს!

აი, მეორე ამონარიდიც: **"ან თავისი "ესსეს" საშუალებით შემაძლებინა გაზეთ "ქართულის" მკითხველისათვის გამეზიარებინა ჩემი ფიქრები ნიჰილიზმიდან მომდინარე – მომღეკავი ამპარტავნობისა და უიმედობის შესახებ..."**

**"შემაძლებინა"** და **"გაზეთს"** შორის მძიმე რომ არ არის, ეს არც თუ ისე მძიმე დანაშაულია. ალბათ კორექტორის შეცდომაა. გაცილებით არსებითი სხვაა.

ჩვენი ღრმა რწმენით, **"მომღეკავი"** კი არა, თითოეული ჩვენგანისა და სრულიად საქართველოს წამლეკავია ზემოთ ხაზგასმული მსგავსი ვაინეოლოგიზმი, მით უფრო მაშინ, როცა მის ავტორს ენის სახელმწიფო პალატის ადგილობრივი ორგანიზაციის მეცნიერ-კონსულტანტის მანტია აქვს მოხურული. არადა, სკამით რომ არავინ ბელადდება, ამის დასტურად შორს წასვლა ნამდვილად არ არის საჭირო.

**"ყველამ იცის** (თუ წესი არ იცის, შინაგანად გრძნობს მაინც), **რომ ქართულ ენაში ქვემდებარე, რომელიც სულიერ სახელს აღნიშნავს, რიცხვში ითანხმებს შემასმენელს"**. – მოძღვრავს მეცნიერ-**კონსულტანტი "დაჩის ზღაპრების"** ავტორს და ამის განსამტკიცებლად თავის საბრალდებო სიტყვის **"ბან"** მუხლის პირველ პუნქტში **"ნივთმტკიცებასაც"** ასახელებს:

**"ეს ულმერთოები აგვიშენებს ქვეყანას?"** უნდა იყოს: **"ეს ულმერთოები აგვიშენებენ ქვეყანას" –** ასწავლის მწერალს და მეტი დამაჯერებლობისათვის ფრჩხილში თავისი ინიციალები ბეჭედივით დაუსვამს. ჩვენ ზემოხსენებული **"შეცდომების გასწორების" ტ.ფ.** შეგნებულად გამოვიტანეთ ფრჩხილებიდან, რათა ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს გულახდილად ვუთხრათ: ჩასწორების მისეული ვარიანტი არ მიგვაჩნია ერთადერთ და ამასთან ყველაზე მართებულ ფორმად. მიზეზი კი უმარტივესია. უნდა ეწეროს: **"ეს ულმერთობა აგვიშენებს ქვეყანას?"**

ამგვარი კატეგორიული განცხადების საფუძველს ახლავე მოგახსენებთ: ჩემგან, როგორც რედაქტორისაგან, მართლაც ულმერთობა იქნებოდა, არ შემემჩნია, რომ ეს კორექტურაა, ამიტომ იძულებული ვარ, გაზეთში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გამო ბოდიში მოვუხადო ბატონ ოტია იოსელიანს, რადგან ამით აიძულეს, ლექცია მოესმინა ქვემდებარე-შემასმენელის რიცხვში შეთანხმებაზე. თანაც მწერალს მოძღვრავს კაცი, რომელიც აცხადებს: **"მკითხველის გემოვნებას დავინდობთ, ბატონ ოტიას პუბლიკაციებიდან სხვა ენობრივ შეცდომებს აღარ დავასახელებთო"**. არადა, აქვს უფლება დააბრალოს, რომ მწერალი **"ვინმე სხვას ჩაუსაფრდა"** და შეახსენოს ბეწვსა და დირეზე სახარებისეული შეგონება?

სწორედ ასეთ შემთხვევებზე ამბობს ჩვენი ხალხი: **"ჩემი შენ გითხარი და გულიც მოგიკალიო"**.

ჭეშმარიტად გამორჩეული მწერლისადმი ამგვარი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების შემდეგ, სირცხვილო, სად არის შენი სიწითლე?

ეს კიდევ რა, იმასთან შედარებით, რაზეც ახლა მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ?

ოპონენტი, რომელიც მწერალს **"ჩასაფრებას"** აბრალებდა, ბოლომდე დაუნდობლობას იჩენს და ცდილობს მის გასანადგურებლად ძალები დააჯგუფოს.

ამონარიდებს თვალი გაადევნეთ და დარწმუნდებით.

დასმენა პირველი: **"ჩვენი დღევანდელი ყოფისა თუ წარსულის გამო ის** (ე.ი. ბატონი ოტია იოსელიანი) **უიმედობას აფრქვევს ყოველთვის და ყველგან"**.

ახლა მეორე ამონარიდი: **"მწერალი მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს, თუ რა მძიმე დროში ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ. მიუხედავად ამისა, ახალი სახელმწიფოს აშენება ენაზე ზრუნვით უნდა დაგვეწყოო"**.

არადა, თურმე დაუწყიათ: **"1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა ხელისუფლებამ ერთერთი პირველივე რეფორმით "ენის ნორმების დამდგენი კომისია" სრულიად ახლებურ, სტრუქტურად – ქართული ენის სახელმწიფო კომისიად გადააკეთა, რომელსაც სათავეში თავად პრეზიდენტი ჩაუდგა"...**

ამ კომისიამ, მართალია, ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მკითხველთა გარკვეულ წრეში რა დღე დაადგება მწერალს, რომელსაც ამ კომისიის შესახებ არაფერი უთქვამს?!

ახლა კიდევ ერთი ამონარიდი, ანუ მესამე დასმენა ხელისუფლების წინაშე და თავის მართლება უფროსებთან: ჩემს თავს არ დავეძებ, თქვენ რომ არ შეგხებოდნენ, ამ ვაი-უშველებელს როგორ ავიტეხავდიო: **"ესსეს მეორე ნაწილი საქართველოს ენის სახელმწიფო პალატას ეძღვნება. წერილის სწორედ ამ მონაკვეთის გამო გადავწყვიტეთ ბატონ ოტიასთან შეხმიანება"**.

დასმენა მეოთხე – სრულიად საქართველოს წინაშე: **"ე.ი. დღევანდელი ქართველობა უვიცია?"** – მოკლე და გამწირველი, როგორც შუბლში ნასროლი ტყვია.

დასმენა მეხუთე – სტუდენტ ახალგაზრდობის **"შემოსამტკიცებლად"** დაკავშირებული მწერლის გამონათქვამთან: **"ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში კაციშვილი არ ჭაჭანობს"**.

**"ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში მე როცა შევდივარ, სტუდენტებითაა სავსე; ეტყობა ბატონი ოტია აქ ადრე დილით შეივლის ხოლმე..."**

დარჩა ვინმე ბატონი ტარიელის მიერ შემოუმტკიცებელ-დაურაზმავი?

არა გვგონია და თვალწინ ამოტივტივდა არა მარტო 37, არამედ გუშინდელი დღეც – 80-90-იანი წლების გზაგასაყართან დევნილი ირაკლი აბაშიძე და ნამდვილი აუტოდაფე – აბრიალებულ კოცონში ჩაყრილი წიგნები.

**დოქსოპულო, შენ დედა გყავს? შეიბრალე ოტიაც და დედამწერლობაც.** აპატიე რომ გაბედეს და იკითხეს: **"ქართული მართლა იცი თუ არა?"** მით უფრო, რომ თქვენი გაზეთით, მათ შორის პირადად თქვენი სტატიებით არ ჩანს, რომ გამოდგებით გრაალის მცველად. დედაენის პატივისმცემელი არ შემოგვთავაზებს **"გასული წლის ნოემბერს"**, რადგან **"გასული წელი"**, ისევე, როგორც **"მიმდინარე წელი"** კალკია. **"აბრძელებს"** არ აერევა **"განბრძობაში"**, ხოლო **"აბრა" – "ფირნიშის"** მნიშვნელობაში. არც თავისთავს და არც დედაენას არ აკადრებს, თქვას: **"ცალკეულ გამოვლინებას ჰქონდა ადგილი"...** ისიც ეცოდინებოდა, რომ **"ამბავი"** სხვა ლექსიკური ერთეულია, **"ისტორია"** – სულ სხვა და როცა **"გასართობ ამბავზეა"** საუბარი, **"ამბავს" "ისტორიაში"** არ არევს.

ბატონი ტარიელი მისი რედაქტორობით გამოცემული გაზეთის მეორე ნომერში გვატყობინებს, რომ მასმედიის წარმომადგენლებს **"სალიტერატურო ენის ფლობის დამადასტურებელ მოწმობებს"** გადმოგვცემს.

გვეშველება ამით რამე ან ჩვენ და ან ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას?

პირადად მე არა მგონია, ამიტომ სანამ რომელიმე ჩვენთაგანი ამგვარ მოწმობას ან დიპლომს მიიღებდეს, რჩევას გრაალის ჭეშმარიტ მცველს, ბატონ ლევან ღვინჯილიას ვთხოვთ.

**ალ. შენგელია**

*(გაგრძელება მე-6 გვერდზე)*



# პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციას კერძო მფლობელი ჰყავს?!



ჟურნალისტების ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის სასახლეს ანუ ავლაბრის რეზიდენციას და რაბათის ციხეს კერძო მფლობელი ჰყავს. სხვადასხვა მონაცემებით, ნაციონალურმა ხელისუფლებამ ეს ორი ობიექტი 1 ოქტომბრის არჩევნების წინ კონკრეტულ პიროვნებაზე გადააფორმა. რაბათის ციხესთან დაკავშირებით გაზეთის წყაროს ინფორმაცია არ დადასტურდა, რადგან ისტორიული ნაგებობა ახალციხის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება. გაზეთის ცნობით, პრეზიდენტის სასახლის მფლობელის ვინაობა ვერ გაირკვა, რადგან აღნიშნული ინფორმაცია დახურული აღმოჩნდა. ქუთაისში აგებული პარლამენტის ახალი შენობისა არ იყოს, ჯერჯერობით არც ისაა ნათელი, თუ კონკრეტულად ვინ დახარჯა თანხა ამ მშენებლობაზე, რაც უამრავ ეჭვს აღძრავს, მაგრამ, როგორც ბევრ სხვა სიბნელეს, გამოძიება ალბათ ამასაც მოჰფენს ნათელს. მანამდე კი, არ უნდა გაგვიკვირდეს სააკაშვილის ჩარჩული საქციელი, რომელიც ცდილობს რომ ხელს გააყოლოს წლების განმავლობაში საქართველოში პრეზიდენტობით ნაშოვნი დიდძალი თანხა და ქონება. 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომის დროს, როცა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდა ქვაბებითა და ტაშტებით დაეცვათ თავი, როცა ქართველი ვაჟკაცები სიცოცხლეს სწირავდნენ სამშობლოსათვის, საქართველოს პოლიტიკური ელიტა კი ნაძარცვნაოხრალით აზერბაიჯანისაკენ გარბოდა, მიხეილ სააკაშვილმა დედამისს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა კაპიკებში შეასყიდა.

მოკლედ, ყოველი მხრიდან დანაშაულის ალშია გახვეული ეს მხდალი, თავხედი და ანგარებიანი ადამიანი, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, ცხრა წელიწადი პრეზიდენტად გვყავდა თავზე წამოსმული!

სწორედ იმ საბედისწერო დღეებში გაიყიდა ენგურჰესი და სხვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები... და ეს ყოველივე სააკაშვილმა მიჰყიდა იმ **“აგრესორ”** რუსებს, რომელთაც თურმე **“ეომებოდა”**!

მეტი თავხედობა და მოღალატეობა გაგიგიათ?

იგი თავად მეგობრობდა რუსებთან, საქართველოს კი მისგან მტრის ხატი შეუქმნა, რაც ძვირად დაუჯდა არა სააკაშვილს, არამედ სწორედ საქართველოს!

და ეს ნაძირალა იჩემებს საქართველოს გულშემატკივრობას!

ნამდვილად რომ ციხეშია მისი ადგილი!

რაც შეეხება ავლაბრის რეზიდენციას, იგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით 2004-2009 წლებში აშენდა და მასზე რამდენიმე არქიტექტორი მუშაობდა. პროექტის ავტორია არქიტექტორი გიორგი ბათიაშვილი, თუმცა საბოლოო სახე იტალიელმა მიქელე დე ლუკიმ შესძინა. პრეზიდენტის რეზიდენცია ოფიციალურად 2009 წლის 12 ივლისს გაიხსნა. გავრცელებული ინფორმაციით ამ მშენებლობაზეც ასეულ მილიონობით ლარია დახარჯული, და ეს მაშინ, როცა საქართველოს გაღატაკებული მოსახლეობა ბაზრობებზე იდგა ნავაჭრი გროშების მოლოდინში, მათხოვრობდა ან ნაგვის ბუნკერებში იქექებოდა და ისე გაჰქონდა თავი.

საჯარო რეესტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსმა ეკა ერგემლიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ინფორმაციას პრეზიდენტის სასახლის შესახებ გრიფი **“საიდუმლო”** ადევს.

**“საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ხელმძღვანელობს რა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონებით, მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს და განასაჯაროოს გრიფ “საიდუმლოს” მიკუთვნებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, ანუ ინფორმაცია ავლაბრის სახელმწიფო მართვის ადმინისტრაციის კომპლექსის, როგორც უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ”**, – განმარტეს საჯარო რეესტრში.

მაგრამ მალე ამ **“საიდუმლოსაც”** აეხდება ფარად და ხალხი მალე გაიგებს იმ უბედურებებსაც, რაც ამ შეშლილმა არამზადამ დაატეხა თავს საქართველოს!

**საკ.ინფ.**

# ესე ამბავი ესსეზე შემომწყრალისა

*(გაგრძელება მე-5 გვერდიდან)*

გაზეთ “ილორის” რედაქციისაგან – 1999 წელს გაზეთ “ქუთაისში” დაბეჭდილი ამ წერილის ავტორი გახლავთ ჩემი და სხვა მრავალი ჟურნალისტის მეგობარი და მასწავლებელი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბატონი ალექსანდრე შენგელია, ხოლო წერილის ადრესატი გახლავთ “მეცნიერად” წოდებული ცნობილი მეგრელთმოძულე ტარიელ ფუტკარაძე. ჩვენ ადრე დავბეჭდეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ბარათის შინაარსს, რომელიც მან თავის ერთ-ერთ ინკოგნიტო მეგობარს მისწერა მეგრული ენის თაობაზე: “საქმე იმაშია, ჩემო... რომ ჩვენ არ უნდა შევცვალოთ პოზიცია. ყველამ მშვენივრად იცის, რომ მეგრულიც და სვანურიც ენებია და ჩვენი თეორიის საპირისპიროდ იმის დამტკიცება თუ მოახერხეს, ჩათვალე, რომ ქვეყანა თავზე დაგვექცევა. არც ერთი ნაბიჯით უკან არ უნდა დავიხიოთ და ვეცადოთ, რომ მივაღწიოთ მეგრულის დიალექტად საერთაშორისო აღიარებას. სვანური არ არის იმდენად საშიში, როგორც მეგრულია. ამიტომ, მცდარია თუ არა ჩვენი პოზიცია, ახლა უკან დახევა ქვეყნის ღალატის ტოლფასი იქნება. საპატრიარქო (იგულისხმება ფუტკარაძესავით მეგრელთმოძულე მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე – “ილორი”) სრულად იზიარებს ჩვენს აზრს და მხარდაჭერას გვპირდება, რაც ჩვენი თეორიის აღიარების გარანტიაა. საპატრიარქოსთან დაპირისპირებას ერიდებიან ეს ახლადაღმოცენებული კუთხისტები, თორემ აქამდე გადაგვივლიდნენ. აქ გემშვიდობები ჩემო მეგობარო. ღვთის მადლი გფარავდეს!

ტარიელი”.

ბევრად პატიოსანი გამოდგა ფუტკარაძის წერილის ინკოგნიტო-ადრესატი, რომელმაც, თავის მხრივ, ასევე მისწერა წერილი თავის ინკოგნიტო მეგობარს: “მოგესალმები! იძულებული ვარ ეს წერილი ინკოგნიტოდ მოგწერო, რადგან მასალა, რომელსაც ახლა გიგზავნი, იმდენად სკანდალურია, რომ არ მინდა შარში გავეხვე. შარში იმიტომ, რომ ეს პირადად მე მომწერა ტარიელ ფუტკარაძემ, მე კი გადავწყვიტე ხალხს სიმართლე გაეგო ამ ადამიანის შესახებ, მართალია, მეგობარს მიწოდებს, მაგრამ უკვე მეძნელება მასთან მეგობრობა. დიდი ბოდიშის მოხდით,

ავთანდილ ნ...”

ნაკლებ სარწმუნოა, ტარიელ ფუტკარაძემ არ იცოდეს, რომ ნებისმიერი სიცრუით სამშობლოსადმი მსახურება ცრუპატრიოტიზმია და მხოლოდ ქვეყნის მტრების წისქვილზე ასხამს წყალს. განა სწორედ ქართველი ერის მტრებისადმი მსახურების კლასიკური ნიმუში არ გახლავთ ფუტკარაძეების, გვანცელაძეების, ტაბიძეების, მეუფე ანანია ჯაფარიძეების და მსგავსთა მათთა ლამის ზიზღისმიერი დამოკიდებულება იმ მეგრული ენისადმი, რომლის გამოყენებითაც ქართველმა მეცნიერმა გია კვაშილავამ შესძლო 4.000-ზე მეტი წლის წინ შექმნილი “ფესტოსის დისკოს” გაცოცხლება?!

გაზეთმა “ილორმა” ფუტკარაძის აღნიშნული წერილი 2012 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა და იგი გაზეთის წინა ნომერშიც გაიმეორა ცნობილმა ქართველმა ენათმეცნიერმა ბატონმა კუკური ფიფიამ. თუმცა, ეს ფაქტი იმდენად ოდიოზურია და ავლენს ვაიმეცნიერ (ასე უწოდებენ მეცნიერებაში ცრუ სენტენციების დამამკვიდრებელს – “ილორი”) ტარიელ ფუტკარაძის სულიერ და მორალურ შიგთავსს, რომ ჩვენ, ალბათ, ამ წერილს კიდევ არაერთგზის დავუბრუნდებით. იქნებ როდისმე მაინც იგრძნონ სინდისის ქენჯნა ფუტკარაძემ და მისმა მხარდამჭერმა მეგრელთმოძულეებმა, მაგრამ რომელ სირცხვილსა და მორალზე შეიძლება ესაუბრო მეცნიერად წოდებულ იმ არარაობას, რომელიც ლამის დაბეზღების ინკვიზიციური მეთოდების გამოყენებით უპირისპირდება დიდებულ ქართველ მწერალს ოტია იოსელიანს და სხვა ცნობილ ენათმეცნიერებს. და ეს მაშინ, როცა, როგორც ბატონ ალექსანდრე შენგელიას საპასუხო წერილიდან ჩანს, ბატონი ტარიელ ფუტკარაძე საკმაოდ მწყრალად უნდა იყოს ქართულ ენასთან.

ჰო და, შე დალოცვილო ფუტკარაძე, მეგრული ენის განქიქებას არ გერჩია, რომ ქართული ენა შეგესწავლა საფუძვლიანად?

**როლანდ ჯალაღანია,**
საპატიო დოქტორი,
გაზეთ “ილორის” მთავარი
რედაქტორი

# რუსეთის უნივერსიტეტები ქართველ სტუდენტებს უფასო სწავლებას სთავაზობენ

როგორც **„რია ნოვოსტის“** თბილისის ბიურო იუწყება, რუსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქართველ აბიტურიენტებს 2013–2014 წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში უფასო სწავლებას სთავაზობს. გარდა ამისა, შერჩეულ სტუდენტებს სახელმწიფო უფასო საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფს და სტიპენდიას გასცემს.

სტუდენტების შერჩევას აწარმოებს შესაბამისი უწყებათაშორისი კომისია, რომელიც გამარჯვებულ აბიტურიენტებს ტესტირებით გამოავლენს.

გარდა ამისა, ქართველ სტუდენტებს საშუალება ექნებათ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მაგისტრატურასა და ასპირანტურაში ჩააბარონ.

როგორც **„რია ნოვოსტი“** იუწყება, აბიტურიენტებს და სტუდენტებს შეუძლიათ საბუთები ჩააბარონ შვეიცარიის საკონსულოს რუსეთის ფედერაციის ინტერესთა სექციაში, 2013 წლის 10 ივნისამდე – სტუდენტებმა, ხოლო 2013 წლის 15 ივლისამდე – მაგისტრატურაში და ასპირანტურაში ჩაბარების მსურველებმა.

რუსეთის ის უმაღლესი სასწავლებლები, რომლებიც ქართველ სტუდენტებს უმასპინძლებენ, 20 სხვადასხვა ქალაქში მდებარეობს.

მას შემდეგ, რაც რუსეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაადასტურებს სტუდენტის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას, მასზე რუსეთის ფედერაციის ვიზა გაიცემა.

**“მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს”** აბაშის რაიონული ორგანიზაცია ულოცავს ქართული აზრისა და სიტყვის დიდოსტატის ყველა თაყვანისმცემელს, სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით ყველა აბაშელს დიდი

**კონსტანტინე გამსახურდიას**

დაბადებიდან 120 წლის იუბილეს!

**“მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს”**
**აბაშის რაიონული ორგანიზაციის სახელით,**
**ერმილე თოფურია,**
**აბაშა**



**პოეზიის კუთხე**

## დელფინი

ბჟაქ ელეკინ, თიშ ჩხორიაქ
გაკურცხინუ დოლო წვანე,
ოჭიშგოსარკილ ზღუაშა
მიბნჭუაფუქ უმაჸალეთ...

...დუდ ქიბნწყვე დო თოლ გუ-
ვონჯი:
ქვინჯის გერანწკ ქუალეფი,
ჩხომეფ გუმაბუძოლუნა
დიდეფი დო ჭიფანეფი...

დელფინი მილაჸაფუანს,
შხვეფი ხოლო იბათქუნა,
მინ უკახალე მილუანა,
მინ წოხოლე ეწმათხუნა...

ართიქ ფსუა ქელამისვუ,
ქგმომფერუ მუშინერო,
თიშ ფსუაში ელნაცხანტა
კვარჩხან განთხის ვაგმოხენო...

ეშვოჯანუქ ტიბ ქვიშასგ,
ორთუმელო მემიძ ქუა,
ზღუაშე მილაჸაფუანსგ
დელფინიში ჭიჭე სქუა...

**რამაზ კუპრა,**
სოხუმი-გუმისთა,
1989 წანა, კვერკვე

# ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქართველ ინტელიგენციას, ქართველ ერს

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, რომლებიც ჩემზე უკეთ თუ არა, არანაკლებ იციან მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, წინა გამოცემებთან განსხვავებით, საქართველოს ისტორიის ბოლო გამოცემაში ჩნდება სრულიად გაუგონარი რამ: თურმე, იბერია ელინური სახელწოდება ყოფილა ქართლისა, თორემ ეროვნულ სინამდვილეში ჩვენი სამშობლო – ქვეყანა ასეთი სახელწოდებით არასოდეს არსებულა (იხ. საქართველოს ისტორია, ტომი I, 2012, გვ. 264). მაგრამ რამდენიც არ უნდა გადავწიოთ წინ ხელოვნურად, ჩვენი ძმების – ქართების დაწინაურების ხანა, ყველა იმ ენათაგანი, რომელთა ნაერთს წარმოადგენს ჩვენი სალიტერატურო ენა, დადგება ე.წ. ქართული ენის წინ და უნაყოფოა ცდა რომელიმე მათგანი, 50%-ის შემცველი კი არა, 6%-იანი წილის მქონე ენაც აღიარებულ იქნეს ე.წ. ქართულის დიალექტად. მით უმეტეს, როცა ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას ძირისძირამდე ხსნის მხოლოდ და მხოლოდ იბერიული ენა და არა სალიტერატურო ქართული.

ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები: ტ. ფუტკარაძისა და მის თანამოაზრეთა კურსი ხომ არ არის შიში იმისა, რომ ყველაფერი ზემოთქმულის აღიარების შემთხვევაში, ისევ გაბატონდება ძველი იბერიული ენა და ქართები და ქართული ისევ დაიჩაგრება? თუ ასეა, ეს შიში ნამდვილად უსაფუძვლოა, რადგან, ჯერ ერთი, იბერიული ენა დღეისათვის სულ შვიდიოდე რაიონს შემორჩა და მისი გავრცელება დანარჩენ საქართველოში გამორიცხულია, პირიქით, ვიწროვდება მისი გავრცელების არეალი; მეორეც, ძველი იბერიულის მთელ საქართველოში გავრცელებას არავინ მიელტვის, რადგან მისი წილი საერთო სალიტერატურო ენაში მეტი თუ არა, არანაკლებია, ვიდრე ყველა დანარჩენის ერთად აღებული და ამის საჭიროება არ არსებობს; მესამეც, თუ საერთო სალიტერატურო ენაში დამკვიდრდება ის სიმდიდრეები, რაც იბერიულმა შემოინახა (ამის ამბიცია ნამდვილად გვაქვს ე.წ. მეგრელებს), ხოლო დანარჩენმა იბერიული მოდგმის ტომებმა დაკარგეს, ამით კი არ დააკლდება რამე საერთო ენას, არამედ დღეისათვის არსებული ყოველგვარი შიდა ენობრივი პრობლემა უმტკივნეულოდ გადაიჭრება და კუთხური განსხვავებებიც თანდათანობით წაიშლება.

იბერიის ნანგრევებიდან ფენიქსისებრ აღმდგარ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, გამორიცხულია, სახელმწიფო და სამწერლობო ენა, ქართლის შემოერთებამდე (1008 წ.), ქართული ყოფილიყო. როგორც აკად. ექვ. თაყაიშვილი წერს, **„წამებაჲ წმიდისა შუშანიკისაჲ“** დედანში იბერიულ ენაზე იყო დაწერილი! (იხ. ჟ-ლი მნათობი, 1948, №8, ექვ. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?); ბოლნისის სიონის ტაძრის კედელზე და იერუსალიმის ლაზთა მონასტრის იატაკზე დატანებული წარწერები, რომლებიც V საუკუნის ძეგლებადაა მიჩნეული, რეფორმის შემდეგდროინდელი ქართულითაა დაწერილი და შეესაბამება, დაახლოებით, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები მღვდლის მაკარ მესხის ენას! ქართლის მიერ სამეფოს სტატუსის მიღებამდე (899, თუ 888 წ.) და მისი ეგრის-აფხაზეთთან შეერთებამდე (1008წ.) ქართული ენა სახელმწიფო და სამწერლობო ენა არასოდეს ყოფილა!

სახელმწიფო და სამწერლობო ენის სტატუსის მიღების შემდეგ, რადგანაც მანამდე ქართულ ენაზე არავითარი ლიტერატურა არ არსებობდა, ვისაც გული ერჩოდა, ბუნებრივია, პირველ რიგში, თარგმნას მიჰყოფდა ხელს. მაგრამ, რადგანაც მანამდე იგი განუვითარებელი და გრამატიკულად გაუმართავი ენა იყო, ამიტომ მომრავლდნენ **„უნიჭო“** მთარგმნელები, რომელთა თარგმანებს შორის **„შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო“,** ამიტომ შეეცადა იოანე პეტრიწი ქართული ენის რეფორმას და თქვა: **„არა ვეც რული“ ჩემს სარეცელს და არცა წამი ჩემი სულის მოსასვენებლად, სანამ არ მომხედა მე გონებითმა ცისკარმა დღისაკენ, რომელსაც უმეცრებათა სიბნელე აღარ ენაცვლება. და აღვიშურვე მე, ჩემი გვარ-ტომისათვის შემექმნა ენა სიტყვამდიდარი და განსხვავებული მდაბიოთაგან“** (იხ. დ. მელიქიშვილისეული თარგმანი იოანე პეტრიწის **განმარტებანი პროკლე დიოდოხოსის “ღმრთისმეტყველების საფუძვლებისა”,** თბ. 1999, გვ. 213-214). ხოლო იბერიული ენის დასაბამიდან მომდინარეობაზე, განვითარებულობასა და პროტოქართულობაზე მეტყველებენ **ფესტოსის დისკო, ჩვენი დამწერლობანი (მხედრული და ასომთავრული) და ენობრივი მონაცემები (დღემდე შემონახული სამეტყველო ბგერების წარმოშობის საიდუმლოებები, ლექსიკური და სააფიქსაციო საშუალებათა შეუდარებელი სიმდიდრე და სხვა**).

ყოველი ამ ჭეშმარიტების უგულებელყოფა ქართველ ერს უსაძირკვლო ტაძარს გვამსგავსებს და დაშნაკ-ცუტუნის მიმდევრების წისქვილზე ასხამს წყალს. და თუ მაინც ვინმეს, არასაკმარისი ინფორმაციების უქონლობის, თუ სხვა მიზეზების გამო, ჩემს მიერ წარმოდგენილი განცხადებები მოეჩვენება არასიღრმისეული და უსაფუძვლო (მტკიცებები მისი მოცულობის გამო აქ არ წარმომიდგენია. თუ მომთხოვენ, წარვადგენ ნებისმიერ დონეზე), მაშინ პასუხი გაეცეს კითხვებს:

თუ **იბერია** ქართლის ელინური სახელწოდებაა, თორემ ეროვნულ სინამდვილეში სახელმწიფო ასეთი სახელწოდებით არასოდეს არსებულა; თუ ქართული ენა, როგორც საქართველოს ისტორიის ახალ გამოცემაში წერია, ძვ.წ.აღ. III ათასწლეულის შუა პერიოდიდან დაწინაურებული ენაა, ფარნავაზის ეპოქიდან კი სახელმწიფო და სამწერლობო, ხოლო მეგრული (იბერიული) მისი კილოკავი, უკეთეს შემთხვევაში, დიალექტი, მაშინ:

– რატომ აქვთ ზოგიერთებს ასეთი პათოლოგიური შიში ე.წ. მეგრული ენისა და რატომ ებრძვიან მას ასე თავაწყვეტილნი?

– მაინცდამაინც ეგრის-აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანების (1008წ.) და ქართლური ენისათვის საერთო სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შემდეგ, პეტრიწის წინარე ხანაში, რატომ მომრავლდნენ უნიჭო და უმეცარი მთარგმნელები, რომელთა თარგმანებს შორის **„შეუსაბამობათა უსაზღვროობა დაულეველი იყო“,** ხოლო ასეთს მანამდე ადარასოდეს ჰქონია ადგილი?

– რატომ დარჩა პეტრიწის ეპოქამდე (1050 – 1125), თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში, მდაბიოთა ენად, როცა პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, ისეთი რეფორმის გატარება ყოფილა შესაძლებელი, რომ მდაბიოთა ენა (იხ. იოანე პეტრიწი, შრომები II, ს. ყაუხჩიშვილისა და შ. ნუცუბიძის რედაქციით, 1937, გვ. 220) კლასიკურ ენად ქცეულიყო?

– თუ **„წმინდა შუშანიკის მარტვილობა“** და სხვა წერილობითი ძეგლები დედანში, V საუკუნეში ქართლურ ენაზე დაწერილი ძეგლებია, რომლებშიც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც არაფერია გაუგებარი, ხოლო ენა ექვსი საუკუნის შემდეგ მცხოვრები, იმ დროისათვის უგანათლებულესი, იოანე პეტრიწისა, რომელმაც იკისრა ქართლური ენის რეფორმა, 50% რეფორმის შემდეგაც გაუგებარია და თარგმნა მოითხოვა, რატომ დამდაბლდა და გაუხეშდა მდაბიოთა ენამდე?

– თუ, იბერები და ქართები, როგორც ანდრია აფაქიძე ირწმუნება, ეთნიკურად ერთიდაიგივე ტომი იყო, ხოლო მათი სამეტყველო ენა ქართული, რატომ გამოეყვნენ ქართები იბერებს ახ. წ. აღ-ის II საუკუნეში და ექვსი მეფის მეფობის განმავლობაში აღარ ემორჩილებოდნენ (იხ. ჟ-ლი **“მნათობი”**, 1948 წ, №8, ექვ. თაყაიშვილი, როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?)? – რატომ ერქვა ფარნავაზის სამეფო ქვეყანას იბერია?

– თუ პეტრე იბერის მშობლიური ენა ქართული იყო, რატომ გააყოლეს ბიზანტიაში, 11 წლის ყრმას, მაინცდამაინც იოანე ლაზი (იბერი), რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა (იხ. შ. ნუცუბიძე, პეტრე იბერი და ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა)? ნუთუ ქართლში ვერ მოიძებნა საკუთარი მშობლიური ენის იბერზე უკეთ მცოდნე?

– თუ იბერიული ქართული ენის კილოკავია, საიდან და როგორ განუვითარდა კილოკავს ძირეულ ენაზე მრავალჯერ მეტი სააფიქსაციო საშუალებები და, შესაბამისად, რამდენიმე ათასჯერ მეტი ლექსიკური მარაგი?

– რატომ ამტკიცებს თვით ე.წ. ქართული ანბანი (მხედრულიცა და ასომთავრულიც) თავის არა ქართლურ, არამედ კოლხურ – იბერიულ წარმომავლობას?

– თუ იოანე ზოსიმეს მიერ **„გადმოჩხიბული“** თხზულება **ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ** დედანში, მართლაც, ასეთი სათაურით და ქართული ენის მისამართით იყო დაწერილი და არა XI საუკუნის დასაწყისში (1008წ) ნამდვილად დაწუნებული იბერიული ენის მისამართით და „ამას ენასა სახარებასა შინა ლაზარე ჰქვიან“, მაშინ რატომ ვერ ხსნის ქართული ენა სიტყვის **ლაზარე** ეტიმოლოგიას და ქართული ენა **„...შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი დაწუნებული,...“** რა დროიდან, რისთვის და ვისგან იქნა დაწუნებული?

შეუძლებელია, ეს კითხვები არ გასჩენოდათ ცნობილ მეცნიერებს თ. გამყრელიძეს, მ. ლორთქიფანიძეს, ა. აფაქიძეს, რ. მეტრეველს და ბევრ სხვას. ამიტომ, როგორც თავიდან აღვნიშნეთ, რამდენჯერმე ოფიციალურად დავსვი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წინაშე ეს კითხვები, მაგრამ რატომღაც ამაზე არავინ შეწუხებულა.

რა თქმა უნდა, მე გამაჩნია ყველა ამ კითხვაზე საკუთარი მოსაზრება, რომელთა ჭეშმარიტებისა ღრმად და მტკიცედ მჯერა, მაგრამ აუცილებელია ცნობილ მეცნიერთა პასუხი, რომ საბოლოოდ დადგინდეს ჭეშმარიტება და სიცრუის ჭაობიდან შევძლოთ ამოსვლა, როგორც ამას ახალი ხელისუფლებაც ცდილობს.

მამულიშვილნო, ქართველებო, მოგმართავთ იმედით, რომ ყურად იღებთ ქვეყნის მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემის გაჩენას და მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას მოსთხოვთ ჭეშმარიტი და მიუკერძოებელი ისტორიის გამოცემას, რამეთუ ყალბ ისტორიაზე დაშენებული ქვეყანა ვერ იქნება მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი.

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი.**

**P.S.** შეიძლება მრუდე სარკეში მოცქერალთა ნება-სურვილს ეს წერილი ვერ მოერგოს, მაგრამ რამდენადაც მწარე შედეგი არ მომიტანოს, როგორც შემიძლია ყველაზე და ყველაფერზე მაღლა ჭეშმარიტებას ვაყენებ და ნუ შეეცდება მავანი ესოდენ წარმოჩენა იბერიული ენის იმ ღირსებებისა, რომლებიც, სამწუხაროდ, მისი მოდგმის ენებს დაკარგული აქვთ, ჩვენი საერთო სალიტერატურო ენის ფუნქციის დაკნინების მცდელობად და სეპარატიზმის გამოვლინებად ჩამითვალოს, რადგან თანამედროვე სალიტერატურო ენა ჩემთვის სააზროვნო და, ამდენად, დედა ენაა. დედა ენაა, რადგან **ჩვენი სალიტერატურო ენა, პროტოქართული (ადამურ-იაფეტურ-იბერიული) ენის დიფერენციაცია – დივერგენციის შედეგად წარმოშობილი სვანურისა და ქართლურის ისევ ამ პირველად ენასთან კონსოლიდაციის შედეგია, მაგრამ უფრო დახვეწილი და საოცრად გამარტივებული, სრულად გახმოვანებული და შეუდარებლად გრამატიზირებული, ანუ, როგორც აღიარებულია მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა მიერ, ახალი კლასიკური (იბერიული) ენაა, ხოლო ე.წ. მეგრული – ესაა კაცობრიობის დასაბამიდან მომდინარე, შეუდარებელი სიმდიდრის არქაულფორმებშენარჩუნებული ადამურ – იაფეტურ – იბერიული ენა და თითქოსდა, ეს ორი სხვადასხვა ენა სხვადასხვა ერის ენა კი არ არის, როგორც ეს მავანთ სურთ იყოს, არამედ ერთიდაიმავე ერის ერთიდაიგივე ენაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქისა.**

მაგრამ **ვეფხისტყაოსნის** მეგრულად თარგმანისა და ბიბლიის შესაძლო თარგმნის გამო ატეხილი განგაშის ზარები, შემდგომ ამისა, სამეგრელოში განხორციელებული წიოკი და ლაშქრობები, საჯიშე ახალგაზრდების დახოცვა, მურმან ლებანიძის ახირებული ლექსი და ტარიელ ფუტკარაძის მიერ მეგრული ენის დიალექტად აღიარებისათვის თავაწყვეტილი ბრძოლა; აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ცაგარელისა და ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძის, შოთა ძიძიგურისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა აზრის იგნორირება; ყოველგვარი მტკიცებისა და საფუძვლის გარეშე, აქვს რა დიდი სურვილი, კაცობრიობის პირველი ცივილიზაციის შემქმნელი იბერია, საერთოდ, არ არსებულიყო, 10 წლის წინათ გარდაცვლილი, ეთნიკურად მეგრელი მეცნიერის – ანდრია აფაქიძის, 2012 წლის საქართველოს ისტორიის გამოცემაში შესული ნაშრომების, აკად. მარიამ ლორთქიფანიძის მიერ თავისი სურვილისამებრ ჩასწორება, თითქოსდა, იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა, თორემ ეროვნულ სინამდვილეში ასეთი სახელწოდებით სახელმწიფო არასოდეს არსებულა (ტ. I, გვ. 264), ხოლო ქართის ტომი ძვ. წ.აღ-ის III ათასწლეულის შუა პერიოდში დაწინაურებული ტომია, გვაფიქრებინებს, რომ სამეგრელოს წინააღმდეგ დატრიალებული ცოდვის კალო, ქართველი ერის ისტორიის ასე უსირცხვილოდ და თავხედურად დამახინჯება და ჩვენს მიერ დასმული აბსოლუტურად ობიექტური კითხვების მიმართ მიზანმიმართული წაყრუება, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დონეზე გადაწყვეტილი ქმედებებია და ანტიეროვნული ძალებისგანაა ინსპირირებული.

არაფერი ასეთი, რომც არა იყოს რა, როცა ხელფასის სახით ათასობით ლარს იღებს, ხოლო გია კვაშილავას მიერ 4 ათასი წლის წინანდელი ფესტოსის დისკოს მეგრულ – ლაზური ენით გაშიფრვის (რომლის ჭეშმარიტება მსოფლიოს ბევრი ქვეყნის წამყვან მეცნიერთა მიერაა აღიარებული), მამანტი და ცირა ძაძამიების შვიდტომეულის **(„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“,** რომელიც უზადო ჭეშმარიტებაა და არავინ ედავება) და ჩემს მიერ მოკვლეული მხედრული და ასომთავრული დამწერლობების იბერიული წარმოშობის (რაც შეუვალი ჭეშმარიტებაა და არავინ მედავება) უგულებელსაყოფად **საქართველოს ისტორიაში,** ყოველგვარი არგუმენტებისა და საფუძვლების გარეშე, გვიწერს, თითქოსდა, იბერია ქართლის ელინური სახელწოდებაა, ხოლო ქართის ტომი და ქართული ენა ძვ. წ. აღ-ის მე-3 ათასწლეულის შუა პერიოდშია დაწინაურებული, და ამ აშკარა სიცრუეს მხოლოდდამხოლოდ აკადემიკოსის ტიტულით ამაგრებს, საკუთარი ხალხის მაინც არ უნდა რცხვენოდეს, ან სინდისის ქენჯნა არ უნდა აწუხებდეს?

დაფიქრდით ხალხო, რაში გვჭირდება ყალბი ისტორია, ვის დაუმტკიცებ ახ. წ. აღ-ის მე-10 საუკუნემდე სახელმწიფოებრიობის არმქონე, გარე სამყაროსათვის უცნობი და **„მუდამ კოლხ-იბერთა ქვეშევრდომობაში მყოფი ქართლის“** (იხ. 554 წელს გუბაზ მეფის მკვლელობის გამო გამართულ სახალხო კრებაზე აიეტის სიტყვა) ძვ. წ. აღ-ის მე-3 ათასწლეულის შუა ხანებიდან, თუნდაც ფარნავაზის ეპოქიდან დაწინაურებას, მდაბიო მეოცნებეთა გარდა? მოთხოვეთ პასუხი, თორემ, მართლაც, აღარ იარსებებს საქართველო, რადგან, თუ არავინ გამოეხმაურა ამ წერილს და, რაც მთავარია, თუ მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ამჯერადაც წაუყრუა ჩემს წუხილს, ოფიციალურად არ დაადგა საქართველოს ისტორიაში დაშვებული შეცდომების, თუ მიზანმიმართულად გაყალბებულ ცნობათა გამოსწორების გზას, უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც ერევანში და სამცხე-ჯავახეთში გვეუბნებიან დაშნაკცუტუნის მიმდევარი სომხები, თქვენ, მეგრელებმა გააჭირეთ საქმე, თორემ იქ ყველა სომხები არიანო, ცხადია, ასე არ არის, მაგრამ მართლაც, ყოველ შემთხვევაში, უსარგებლიათ რა ქართველთა მიმნდობლობითა და გაუმართლებელი დათმობებით, ფაქტიურად ავულივართ და ფორმალურად ჰქვია საქართველო, თორემ მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთ საქართველო, აჭარის ჩათვლით, მათ ჰკუთვნებიათ და ისღა დაგვრჩენია რაინდულად მივულოცოთ გამარჯვება; უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც ერთმა მითხრა, ეს შენ გვტენი მეგრელებს ძალად, თორემ თბილისში არავის ვუნდივართო, მართლაც, შეიძლება, მე შევცურე ილუზიების მორევში, თორემ ფუტკარაძისა და მის თანამოაზრეთა ქმედებები, სახელმწიფოს დონეზე მოწყობილი ბოლოდროინდელი ეგზეკუციები და ლაშქრობები სამეგრელოში, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამარისებრი დუმილი და მიზნობრივი გაყალბება ისტორიისა, დაშნაკ – ცუტუნის მიმდევართა წინასწარდაგეგმილი და მიზანმიმართული ქმედებები ყოფილა მეგრელთა დასამონებლად, თუ საერთოდ, მოსაშორებლად და ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში არ ვიგრძენით ჩვენს წინაშე მწვავედ მდგარი პრობლემის გადაჭრის მიმართულებით პოზიტიური ძვრები და უპასუხოდ დარჩა ჩვენს მიერ დასმული კითხვები, ვინც მიიღებს გადაწყვეტილებას, ოფიციალურად დასვას იბერთა (მეგრელთა) დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის საკითხი, ეს იქნება იური ღვინჯილია, თუ სხვა ვინმე, რამდენიც არ მემძიმოს, პირველი მე, კუკური ფიფია დავუჭერ მხარს.

# შეგვინდოს თქვენმა სულმა მაღალმა

*ეძღვნება სოხუმის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბატონ ზურაბ ანჩაბაძის ნათელ ხსოვნას, რომელსაც 93 წელი შეუსრულდებოდა.*

კაენის სულმა ისევ იმძლავრა,
ისევ აბორგდა ეშმა ძლეული,
კვლავ დატრიალდა ნება ბოროტის,
დაუნდობელი ნება წყეული.
გულგატეხილი, უკვე მომხდარით,
ხალისით ხვალეს ვერ ვეგებები,
ხშირად მეწვევა ასეთ ყოფაში
გარდასულ დღეთა მოგონებები.
მოგონებათა კრიალოსანზე
ვმარცვლავ სახეებს ნათელთ, დიდებულთ,
მხოლოდ ისინი მიძლიერებენ
გულის დაცემულ ფეთქვას, მილეულს.
ამ სახეებში გამოირჩევით,
ზურაბ ბატონო, კაცო კაცურო!
ო, როგორ მინდა, ახლა, თქვენს საფლავს
ჩემი მდუღარე ცრემლი ვაპკურო!
ჯანღი მანამდეც მოგვძალებოდა,
მაგრამ ედექით ძმობას დარაჯად,
თქვენმა სიმართლემ და რაინდობამ
სიავის კარი ბევრჯერ ჩარაზა.
თქვენი სიკვდილით (ახლა დავრწმუნდი)
დიდი ეპოქა ერთი ჩამთავრდა,
ნაღდი ქართველი (ვაიმოსწრებას)
ვეღარ მისულა დღეს თქვენს საფლავთან.
ნაღდი ქართველი, ნაღდი აფხაზიც
ვერ მოგიძებნით ნაქნარს ჩრდილიანს,
თქვენი ცხოვრების ლამაზი წიგნი
ახლაც ძმობისთვის გადაშლილია.
მაგრამ, ვაი, რომ მკითხველს ვერ ვხედავ
აღარც აქედან, აღარც იქედან,
გადაგვსხა ყველა, თითქოს ვიღაცამ
მტრობის ბორანზე ძმობის ხიდიდან...
და უკვე სისხლი ჩადგა ჩვენს შორის,
გვიმოციქულა უკვე სიკვდილმა –
მიწა შეძრა და ზეცაც შეაკრთო
გმირ წინაპართა სულის კივილმა.
ვერ გაიარა დანაღმულ ველზე
ქართველ-აფხაზთა ბედის ალალმა.
როდის მოვრჩებით ფარცხვას უკუღმა?..
შეგვინდოს თქვენმა სულმა მაღალმა!

რევაზ სალია

# გახარიების გვარის დალოცვა

**2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. GE36LBO111199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ გახარია.**

# კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-218

**"...სომხეთისათვის უაღრესად მძიმე შეჭირვების ჟამს, 430 წლის 11 მაისს მითრიდატე ლაზმა თავის მოწაფე მარუნ იბერიელთან ერთად კონსტანტინეპოლში სომხური ანბანის შექმნა წამოიწყო. მობღვარ-მოწაფემ იმავე დღეს შერჩიეს ნათლობის სახელები: იოანე და პეტრე".** (სომხური დამწერლობა იოანე ლაზმა, ანუ იეროთეოსმა შექმნ, ჟურნ. **„აია"**, 1998, №1, გვ. 117-118.

პეტრე იყო დიდი თეოლოგი, ფილოსოფოსი, ქრისტიანული ნეოპოლიტანიზმის ფუძემდებელი. მისმა ნაშრომებმა, რომლებიც შედგება ოთხი ტრაქტატისა და ათი ეპისტოლესაგან, უდიდესი გავლენა მოახდინეს შუა საუკუნეების ქრისტიანულ-ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე. პეტრე იბერი ავტორია არეოპაგიტიკისა – ბერძნულ ენაზე შესრულებული თხზულებისა.

პროფ. სარგის კაკაბაძე წერს: **„სახელგანთქმული დიონისე არეოპაგელი, შ. ნუცუბიძის და ე. ჰონიგმანის სიტყვით, იყო იგივე პეტრე იბერი (ქართველი). ჩემი აზრით, VI-ის განთქმული მოაზროვნე დიონისე არეოპაგელი იყო ფილოსოფოს იოანე საჭურისის, იგივე უროთეოსის, მოწაფე და ამ იოანესავით წარმოშობით მეგრელი (ანუ მაშინდელი ბერძნული ტერმინოლოგიის – ლაზი) ქალაქ ციხე-გოჯიდან (ახლანდელი ნაქალაქევის ადგილას). შემთხვევით არ უნდა იყოს, რომ მაქსიმე აღმსარებელი, ეს იმ დროის უწარჩინებულესი ფილოსოფოსი, დიონისე არეოპაგელის პატივისმცემელი, დასავლეთ საქართველოში გააგზავნეს ექსორიად (შესაძლებელია, მისივე სურვილი იყო ამ მხარის და ადგილის ამორჩევა საექსორიოდ)".**

მაქსიმეს აზრებმა შემდგომში გაიმარჯვეს, VI საეკლესიო მსოფლიო კრებამ ისინი სავალდებულოდ მიიჩნია ქრისტიანული ეკლესიისათვის. (სარგის კაკაბაძე, **„რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი"**, თბ., 1966, გვ. 252.).

438 წელს მითრიდატე ლაზი და მარუან იბერიელი განსაკუთრებით საპატიო მიზნით – ბიზანტიის კეისრის თეოდოსი II-ის დავალებით, იმპერიის პროვინციებში (სირიაში, პალესტინაში, ეგვიპტეში) მიემგზავრებიან. ლაზასთან ახლოს მაიუმში ააშენეს ეკლესია და იმავდროულად საფუძველი ჩაუყარეს ახალი მიმდინარეობის სკოლას, უფრო სწორად, ირკვევა, რომ მითრიდატე ლაზისა და მარუან იბერიელის სახით კოლხურმა აკადემიამ ამჯერად მაიუმში გადაინაცვლა – გააგრძელა საქმიანობა.

444–445 წელს მითიდატე ლაზი და მარუან იბერიელი, როგორც ითქვა, არქიმანდრიტ გერონტიოსის მეოხებით ეკურთხნენ მღვდლებად. ამის შესახებ იოანე რუფუსი წერს: **„იმ კაცის ხელებმა მისცეს ჩვენს მამებს პეტრე და იოანე (მონაზვნის) შესამოსელი"** და ორივე მათგანმა წინასწართქმული ნათლობის სახელი მიიღო – პეტრე და იოანე.

445 წელს იოანე ლაზმა და პეტრე იბერიელმა მაიუმში სომხური ანბანის შექმნა დაასრულეს. იმავე წელს ბიზანტიის დედოფლის ათენაიდა-ევდოკიას დახმარებით მაიუმში ჩავიდა პეტრე იბერიელის დედა, ქვრივი ბაკურდუხტ იბერიელი, რომელმაც სომხური ანბანი მცხეთაში ჩამოიტანა, აქედან კი 446 წელს სომხური ანბანი ქართულ-სომხური ინგრედიენტის მქონე ვარდან მამიკონიანების ოჯახს გადასცა. იოანე ლაზისა და პეტრე იბერიელის შესახებ იოანე რუფუსი (პეტრე იბერიელის მოწაფე) გადმოგვცემს: **„ხოლო როდესაც მან ჰპოვა იგი, რომელიც მას ღმერთმა მისცა, ნეტარი იოანე საჭურისი, რომელიც მისი აზრებისა და მისი მისწრაფებების მოზიარე იყო და რომელიც მის სწრაფვას საუკუნო ცხოვრებისაკენ იზიარებდა და ამისკენ მიმავალ გზაზე მისი დამხმარე იყო, წარმოშობით ლაზიკის ქვეყნიდან, შემკული ღვთისმოშიშებით და მორჩილებით, ზნეობით, ჰყავდა მრჩეველად და თანამგზავრად ცხოვრების სარბიელზე".**

იოანე ლაზმა და პეტრე იბერიელმა სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლეს, მაგრამ მათ არასოდეს გადაუწყვეტიათ კავშირი სამშობლოსთან, ქართულ კულტურასთან, ქართულ ეკლესიასთან.

იოანე ლაზი გარდაიცვალა 464 წლის 4 ოქტომბერს.

V საუკუნის არეოპაგიტული დიოფიზიტობა პროგრესული მოვლენა იყო მონოფიზიტობასთან შედარებით. ნოდარ ხვედელიძე, მეორე, 1997 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ნაჩვენები აქვს თუ როგორ ითვისებდნენ სომეხი მწერლები ბიზანტიის სამხრეთ პროვინციებიდან შემოჭრილ დიოფიზიტურ თხზულებებს. ერთი მათგანის ავტორობა სომეხმა მწერლებმა მოგვიანებით ე. წ. მესროპ მაშთოცს მიაწერეს, მეორე თხზულების ავტორობა კი ეპისკოპოსს იოანე მანდაკუნს, რომელიც სომეხ მკვლევარებს დღესაც მონოფიზიტ ეპისკოპოსად მიაჩნიათ.

V საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს პეტრე იბერიელის მოწაფეს საქართველოში უნდა ჩამოეტანა პეტრე იბერიელის მიერ შეთხზული აგიოგრაფიული საკითხავი, ე. წ. მაშთოცზე – სომხური ანბანის შემოქმედზე, რომელიც მოგვიანებით სომეხმა მწერლებმა განავრცეს და გარდაქმნეს, მაგრამ მასში მაინც შემოინახა ე. წ. კორიუნის (პეტრე იბერიელის ფსევდონიმი) ძვირფასი ცნობა იმის თაობაზე, რომ ჯალი V საუკუნის პირველ მეოთხედში ბაკურ იბერიელის (პეტრე მამა) სამეფო კარზე მოღვაწეობდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სომხური ანბანის შექმნის შემდეგ მითრიდატე ლაზმა სომხურ ენაზე თარგმნა სახარება და დავითის ფსალმუნები, ეპისკოპოსმა აფოცმა და იაკობ ცურტაველმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სომხებს მამიკონიანის ოჯახის მეოხებით 36 ნიშნიანი ანბანის ათვისება არ გაძნელებოდათ.

იოანე რუფუსი – მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერიელის თანამოღვაწე (პეტრე იბერიელის მოწაფე), თანადამსწრე და უშუალო მონაწილე, თავის შრომებში ადასტურებს, რომ მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერიელის შექმნილია სომხური ანბანი და სომხური დამწერლობა. ამას ფაქტობრივად ადასტურებს 1952 წელს სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ენის ინსტიტუტის მიერ, ცნობილი მეცნიერის ე. აგაიანის რედაქტორობით გამოსული გრ. კაპანციანის წიგნი **„სომხური და ლაზ-მეგრული ენების ურთიერთობის შესახებ".**

გრ. კაპანციანს მოხმობილი აქვს მეგრული და სომხური სიტყვების ურთიერთდამთხვევის მრავალი მაგალითი, რომლითაც ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ სომხური ანბანი და დამწერლობა შექმნილია მეგრელი მითრიდატე ლაზის მიერ და არა ისე, როგორც სომეხ მეცნიერთა ერთ ნაწილს **„ჰგონია"**, რომ ქართული დამწერლობა შექმნილია მესროპ მაშთოცის მიერ.

მეგრულ-სომხურ სიტყვების ურთიერთდამთხვევის მაგალითებზე არ შევჩერდებით, მაგრამ ვიტყვით, რომ გრ. კაპანციანი გარკვევით ამბობს, რომ სომხურ და საერთოდ ქართულ ენას შორის, კერძოდ მის დასავლეთურ დიალექტებთან კავშირი უძველესი დროიდან არსებობს, შესაძლებელია ჩვენს ერამდე ათასხუთასი წლით ადრეც (გვ.3).

გრ. კაპანციანი, როგორც თვითონ ამბობს, იხილავს სომხურ-ზანური ენების ურთიერთობას, პირველყოვლისა ფონეტიკის, შემდეგ კი ლექსიკისა და მორფოლოგიის საკითხებს.

ავტორი მიმოიხილავს და ჩამოთვლის 25 არანასესხებ სიტყვებს და გარკვევით გადმოგვცემს თავის თვალსაზრისს აღნიშნულ საკითხზე.

გრ. კაპანციანი წერს: **„საკითხი ლაზურ-მეგრულისა და მომხურის საერთო ლექსიკური ელემენტები ზოგჯერ თხოულობენ სხვა თანამიმდევარი პირობების გათვალისწინებას"** და მოჰყავს ზოგიერთი ზუსტი თანდამთხვევის ასეთი მაგალითიც – ლაზ-მეგრული დადი (დადი) – მეგრულად ბებია და ბაბუ (ბაბუ) – მეგრულად ბაბუა – შეესაბამება სომხური ტატ და პაპ-ს შემდეგ ლაპარაკობს **„ნასესხები სიტყვების"** შესახებ და მიუთითებს ვითომ სომხურიდან მეგრულ ნასესხებ სიტყვებს. უნდა შევნიშნოთ, რომ მრავალი ათასი წლის წინ, როდესაც კოლხები და კოლხური ენა მოდებული იყო ჩვენი სამყაროს უდიდეს ნაწილს, ცნება **„სომეხი"** არ არსებობდა და, მაშასადამე არც სომხური ენა იყო. კიდევ მეტი: არც ჰეროდოტე (ძვ.წ. Vს.) ახსენებს სომხებს – ე.ი. უფრო ადრინდელ პერიოდზე ლაპარაკი ზედმეტია. კოლხურ ენას იმდენი ლექსიკური მარაგი აქვს, რომლის მსგავსი (რაოდენობაზეა ლაპარაკი) მსოფლიოს არც ერთ ენას არ აქვს, არ აქვს მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის ენას ერთად აღებულს. ასე, რომ კოლხური (მეგრულ-ლაზურ-ჭანურ) ენას სომხურიდან (ჯერ კიდევ არ არსებულიდან) რაიმე სესხება არ შეეძლო. რა თქმა უნდა, ენები, ერთმანეთს ურთიერთ ამდიდრებენ, მაგრამ მეგრულ-ლაზურ ენას სომხურიდან თითქმის არაფერი უსესხებია.

თუმცა, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველოლოგი მურადიანი დღესაც ამტკიცებს: ქართული დამწერლობა **მესროპ** მაშტოცმა შექმნა, რომ ბაგრატიონები სომხები იყვნენო, რომ **„ვეფხისტყაოსანი"** სომხური ძეგლია და სხვა. მსგავსი სიყალბეები სომეხ მეცნიერებს მრავლად აქვთ და მათზე სხვაგანაც გვაქვს საუბარი.

ისიც მინდა ვთქვათ: ძვ.წ. VII საუკუნის ბოლოდან უფრო ზუსტად VI საუკუნის დასაწყისიდან დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე არმენები ცხოვრობდნენ, სომხები კი, როგორც ცნობილია ქართველური ტომები იყვნენ...

კიდევ ვამბობ, რომ მეგრული ენა მსოფლიოს უძველესი ენა რომ იყო, ამას ადასტურებდა ძველი სამყაროს გამოჩენილი მოღვაწენი. შემთხვევით არ ამბობდა ცნობილი მეცნიერი ბეჟან კილანავა როდესაც ეხება ძველ კოლხეთში დამწერლობის საკითხებს: **„კაცმა რომ თქვას, აქ დასამტკიცებელი არაფერია; ქართული დამწერლობის ისტორიის მკვლევართ მხოლოდ ის მართებთ, რომ არ აიკიდონ ბერძენ ავტორთა მიერ დამტკიცებული ფაქტის უარყოფის უმადური ტვირთი. ჩვენ ხელი არ უნდა ვკრათ იმ ძვირფას განძს, რასაც გვთავაზობენ ელინისტური და ქრისტიანული ცივილიზაციების მესვეურნი, სხვათა დაფასებაში ასე მომჭირნე ელინი და ბიზანტიელი ბერძნები"** (ხაზგასმა ავტორისა კ.შ.)

ქიანა ენქი-ქი-ურ-ი ერქვა ხუთი ათასი წლის წინ ვრცელ სამეფოს, მათს (მის) დამწერლობას, თვითონ მოსახლეობას უწოდებდნენ **„მეგრ", „ემეგრ"**-ს.

ვაგრძელებთ საუბარს პეტრე იბერზე.

ვიმეორებ, შალვა ნუცუბიძემ აღმოაჩინა, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი პეტრე იბერია.

ისიც აღვნიშნეთ, რომ ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგმანმა შალვა ნუცუბიძის მოსაზრება დაადასტურა, რომელიც მოხდა შ. ნუცუბიძის გამოკვლევების გამოქვეყნებიდან ათი წლის შემდეგ, მაგრამ თავისი დამოუკიდებელი გზით.

უნდა ითქვას, რომ ბიზანტიასა და სპარსეთს შორის უხდებოდა ლავირება ქართლის მეფე ბუზმირს. ხან ერთი ებრძოდა და ხარკს და მძევალს სთხოვდა, ხან – მეორე. ერთმორწმუნე ბიზანტია ირჩია ბუზმირმა, ერთადერთი ძე, ტახტის მემკვიდრე მურმანოსი ამალით და ძღვენით კონსტანტინოპოლს, იმპერატორ თეოდოსიუს მეორესთან გაამგზავრა.

სამეფო კარი და ბევრისმცოდნე სწავლულნი განაცვიფრა 12 წლის ყმის ნიჭიერებამ. მურმანოსის განსწავლას ხელმძღვანელობდნენ მითრიდატე ლაზი და დედოფალი ევდოკია. ზაქარია ქართველი წერს, პეტრეს სიბრძნეს და ბრწყინვალე ნაშრომებს ქედს უხრიდნენ ბერძენნიო...

მერე მურმანოსი, მითრიდატე და ზაქარია იერუსალიმს გაეშურნენ. იწყეს სავანეთა შენება. ოღონდ ერთობ მოკრძალებულ მოღვაწეთ არ სურდათ სახელის გამჟღავნება და უსახელოდ შენდებოდა და იწერებოდა დიდებული ქმნილებანი. პეტრემ დაარსა სკოლა, რომელშიც მოღვაწეობდნენ ქართველი, ბერძენი და ასირიელი სწავლულები. სავარაუდოა, რომ ამ სკოლაში განისწავლნენ ცამეტი ასირელი მამანი... მათ არც სამშობლო ავიწყდებოდათ – საქართველოსაც ეწეოდნენ სულიერად, აგებდნენ სავანეებს.

იერუსლამს დაასხეს მღვდლად ხელი სამთავეს, მურანოსს პეტრე ეწოდა, მითრიდატეს – იოანე... მერე პეტრე ეპისკოპოსადაც აკურთხეს – მაიუმის (ახლანდელი ღაზის) სულიერი წინამძღვარი გახდა მას უწოდებდნენ **„მეორე მოსეს", „მეორე პავლე მოციქულს"** (იოანე რუფუსი). ზაქარია ქართველის თქმით, ის იყო მშვენება და დიდება საქართველოსი, მცველი მთელი ქვეყნისა. მისმა ნეოპლატონურმა თხზულებებმა ცნობიერებაში გადატრიალება მოახდინა. პეტრე იბერის ნაღვაწს დაეფუძნა მსოფლიო რენესანსი აზროვნებასა და ცხოვრებაში.

პეტრეს ნაშრომები, რახან უავტორო იყო, მიაწერეს მისი დროის მოღვაწეს დიონისე არეოპაგელს, მაგრამ არ დადგინდა და დარჩა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით.

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნდა მასალები იმის შესახებ, რომ 2004 წლის აგვისტოში, ქართველ არქეოლოგთა ექსპედიციას (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. იულონ გაგოშიძე, და გიორგი გაგოშიძე, დავით ცხადაძე) იერუსალიმის არქეოლოგიური სამსახურის უფროსმა ჯონ ზელინგმანმა სთხოვა, ახლად აღმოჩენილი ქართული წარწერის წაკითხვა, რომელიც ასომთავრულით შესრულებული ეპიტაფიაა: **„ესე სამარხოი ფურტაველ ეპისკოპოსი ქართველისაი".**

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ცნობილი ჟურნალისტი, ლ. ჯიყაშვილი წერს: წარწერა V-VI საუკუნისაა და იგი იმითაც არის საინტერესო, რომ მასში პირველად უნდა იყოს ნახმარი სიტყვა **„საქართველო"** იმ სახით, როგორც დღეს იხმარება. ქართული მონასტრის ნანგრევები რომელშიც ეს წარწერა აღმოჩნდა V საუკუნეშია დაარსებული. (**ლ. ჯიყაშვილი,** ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. გაზ. **„კვირის პალიტრა"**, 2004, II-22, აგვისტო, №33.) (თუმცა სიტყვა **„ქართველი"** ზუსტად ნახსენები არ უნდა იყოს).

ასეთი განმარტება საჭიროდ ჩავთვალეთ იმიტომ, რომ ექ. თაყაიშვილის ცხოვრების პერიოდში არავინ იცოდა იერუსალიმის ქართულ ტაძარში არსებული ზემოაღნიშნული წარწერის შესახებ.

ქართული ტაძრის ნანგრევები მდებარეობს სოფელში, რომელიც ეკვრის, თითქმის შეზრდილია ქ. იერუსალიმთან (გარეუბანია).

ცნობილი ჟურნალისტი, მწერალი, ზაურ ზენონის ძე ფიფია წერს:

მეცნიერები ამბობენ, შუმერებს სამი ერთსახება ღმერთი ჰყავდათ – **„ანქია"** – ცის, მიწის და წყლისა, საწყისი ყოველივესი. დღეს ამ დიდი ღმერთის სახელი ერთ სიტყვაში გამოხატული, მსოფლიოს **„ცოცხალ"** ენათა შორის მხოლოდ ქართულშია (მეგრულშია) შემონახული, მაგრამ მიზეზთა გამო **„ან"** და **„ქი"** ადგილშეცვლილია და ეგ არის **„ქი-ან-ა"**.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# სამი დაღუპული, ბევრი დაჭრილი და დაშავებული... საქართველო, როდემდე?!



უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე  კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე  კაპრალი ვლადიმერ შანავა

ავღანეთში ქართულ ბაზაზე განხორციელებულ თავდასხმას სამი ქართველი სამხედრო მოსამსახურე ემსხვერპლა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კიდევ ერთხელ განსაკუთრებით აღნიშნავს ქართველი სამხედროების თავდადებას და გმირობას. სწორედ ამ თავდადებამ და სამხედროების პროფესიულმა მოქმედებამ განაპირობა გაცილებით უფრო დიდი ტრაგედიის თავიდან აცილება. დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეები საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში მსახურობდნენ.

უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე (22.11.1979) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2005 წლიდან მსახურობდა. მიღებული აქვს III ხარისხის მედალი **„უმწიკვლო სამსახურისთვის“.**

კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე (17.12.1986) საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში 2007 წლიდან ირიცხებოდა, მიღებული აქვს მედალი **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი“.**

კაპრალი ვლადიმერ შანავა (01.04.1989) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2007 წლიდან მსახურობდა. მიღებული აქვს მედალი **“სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის“.** იგი წალენჯიხის რაიონის მკვიდრი გახლდათ.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, 2013 წლის 13 მაისს, 16:17 საათზე განხორციელდა მეამბოხეთა დღემდე ყველაზე მასშტაბური კომბინირებული ტერორისტული თავდასხმა ავღანეთში ნატოს ოპერაციაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების ბაზაზე. თვითმკვლელმა ტერორისტმა და მეამბოხეთა ჯგუფმა სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით იერიში მიიტანა 42-ე ბატალიონის ბაზაზე.

თავდასხმა ქართველმა სამხედროებმა მოიგერიეს, ყველა ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს და ამ დროისთვის სრულად აკონტროლებენ ოპერატიულ ვითარებას მათი პასუხისმგებლობის ზონაში. მიღებულია უსაფრთხოების საგანგებო ზომები. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ასევე ესაუბრა 42-ე ბატალიონის მეთაურს მაიორ კალანდაძეს.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა საგანგებო ბრიფინგი გამართა: **„დიდი მწუხარებით მინდა აღვნიშნო, რომ თავდასხმას შეეწირა 3 ქართველი სამხედრო მოსამსახურე: კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე, უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე და კაპრალი ვლადიმერ შანავა. მინდა მივუსამძიმრო ამ გმირი სამხედროების ოჯახებს ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი და მთელ საქართველოს – ეს დიდი ტრაგედია. ჩვენ ამ უმძიმეს ტრაგედიას განვიცდით ისე, როგორც ამ გმირი მებრძოლების ოჯახის წევრები და საქართველოს თითოეული მოქალაქე.**

**ამ ეტაპზე არსებული ფაქტობრივი მონაცემებით, გვყავს დაჭრილები და მსუბუქად დაშავებულები. ყველა დაჭრილის ოჯახის წევრი ინდივიდუალურად არის ინფორმირებული. საქართველოს ხელისუფლება, თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები დაღუპული და დაჭრილი სამხედროების ოჯახების გვერდით დგას და განიცდის ამ მოუშუშებელ ტკივილს. კიდევ ერთხელ მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ქართველი სამხედროების თავდადება და გმირობა, სწორედ ამ თავდადებამ და სამხედროების პროფესიონალურმა მოქმედებამ აგვაცილა თავიდან გაცილებით უფრო დიდი ტრაგედია.“**

საქართველოს მთავარსარდალმა და **„პრეზიდენტმა“** მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც 08.08.08. ომი დაიწყო და დამარცხდა, რის გამოც საქართველომ ტერიტორიის 20% და ასეულობით ჯარისკაცი დაკარგა, რომელმაც ქართველი ახალგაზრდები ჯერ ერაყში და მერე ავღანეთში სასაკლაოზე გაუშვა, რის გამოც უკვე მერამდენე წელია საქართველოში ათეულობით **„გრუზ-200“,** ანუ კუბო ჩამოდის იმ უდანაშაულო გმირების ცხედრებით, გუშინ თავის გვერდზე Facebook-ში დაწერა:

**„შემძრა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში შირგაზას ბაზაზე მომხდარმა თავდასხმამ. ჩვენი გმირი ბიჭების დაღუპვის შესახებ ინფორმაციის მოსმენა ჩემთვის ძალიან მძიმეა და მჯერა, რომ მათი თავგანწირვა უკვალოდ არ ჩაივლის. მათ საქართველოსა და ჩვენი შვილების მომავალს შესწირეს თავი.**

**ქედს ვიხრი ჩვენი დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნის წინაშე და გულწრფელად ვიზიარებ მათი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილს. ვამაყობ, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს ასეთი თავდადებული ვაჟკაცები ჰყავს.**

**მე-4 ბრიგადის 42-ე ბატალიონის სამხედროები – კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე, უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე და კაპრალი ვლადიმერ შანავა – ამ ბიჭების სახელები სამუდამოდ დარჩება ჩვენი ისტორიის ფურცლებზე, როგორც ქვეყნის ერთიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირებისა.**

**ღრმა მწუხარებას გამოვხატავ და ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს, თანამებრძოლებსა და მთელ ქართველ ერს. მინდა დაგარწმუნოთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მათ ხსოვნას სათანადოდ მივაგოთ პატივი“.**

საქინფორმი

**გაზეთ “ილორის” კომენტარი –** *მართლაც თავხედურ განცხადებას აკეთებს სააკაშვილი, რომლის ახირებასაც ისედაც თითზე ჩამოსათვლელი ქართველი ვაჟკაცები ეწირებიან. სამწუხაროა, რომ არც ახალი ხელისუფლება ილტვის ავღანეთიდან ქართული კონტიგენტის გამოსაყვანად. დღე არ გავა, რომ ავღანეთიდან ავბედითი შეტყობინება არ მოვიდეს ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის ან დასახიჩრების თაობაზე.*

*მიხეილ სააკაშვილს “გმირულად” დაღუპვის საფრთხე ნამდვილად არ ემუქრება, რადგან საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტი ყველა სხვა ინსტინქტზე ძლიერი აქვს. ამ “მხედართმთავრად” წოდებული არსების “სიმამაცესა და გულადობაზე” კარგად მიანიშნებს ქვემოთ მოყვანილი ფოტო, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა და ქართული სირცხვილის ეტალონად ითვლება. იგი გადაღებულია სააკაშვილის მიერ 2008 წლის აგვისტოში გამოცხადებული ომისას, როცა გორში, მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ხმის გაგონებისას ამ კურდღელმა მიატოვა მაღალი რანგის ფრანგი სტუმარი – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი და ცხვირით ახნა მიწა.*

*მართლაც ქვეყნის დიდი სირცხვილია, რომ მას ცხრა წლის განმავლობაში ამგვარი მხდალი და ლაჩარი მხედართმთავარი ჰყავდა!*

**სახალხო მოძრაობა “სამეგრელო”, გაზეთი “ილორი” სამძიმარს უცხადებენ ამ თავსმოხვეული ომის მსხვერპლთა ოჯახებს!**



# რესტორანში დაპირისპირებისას გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე და ზაზა გოროზია დაშავდნენ

თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე კლუბ-რესტორან **“ლა ფრუტტეში”** მომხდარი დაპირისპირების დროს ყოფილი **“ნაციონალური მოძრაობის”** (ამჟამად **“ახალი ეროვნული მოძრაობის”,** რომელიც ჩვენ მიერ მომავალში მოხსენიებული იქნება როგორც **“ახერმოძი”**) ლიდერები, დეპუტატები გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე და სამეგრელოს ყოფილი გუბერნატორი ზაზა გოროზია დაშავდნენ, რომლებიც რესპუბლიკურ საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილი.

დაპირისპირება მათ კლუბში მყოფ სამ პირთან პირთან მოუვიდათ, რომელთა შორის ერთ-ერთი ქალბატონია. არსებული ინფორმაციით, დაშავებულია ნაციონალებს დაპირისპირებული ერთ-ერთი მათგანიც, გვარად მაზიაშვილი.

თვითმხილველთა ცნობით, კლუბში იმყოფებოდნენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და **“ნაციონალური მოძრაობის”** გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილიც, თუმცა მათ თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორანი დაპირისპირებამდე დატოვეს.

რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც მივიდნენ პარტიის სხვა ლიდერები, მათ შორის – დეპუტატი ირმა ნადირაშვილი, რომელსაც საავადმყოფოს ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეები მეტად აგრესიულად შეხვდნენ.

გარდა ამისა, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივიდნენ დედაქალაქის მერი გიგი უგულავა, ხათუნა გოგორიშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ლევან ბეჟაშვილი, კობა სუბელიანი.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ზაზა გოროზიას მარჯვენა მტევნის ფალანგები აქვს დაზიანებული; გიორგი ვაშაძემ ჩხუბის დროს თავზე ჭრილობა მიიღო, ხოლო დავით საყვარელიძეს ცხვირის ტრავმა აქვს მიღებული.

ყველა დაზარალებულ დეპუტატს სამედიცინო დახმარება და გამოკვლევა ჩაუტარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სისხლის სამართლის საქმე ხულიგნობის ფაქტზე 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის **“ა”** ქვეპუნქტის საფუძველზე ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 1-ელ განყოფილებაში აღიძრა.

კლუბ-რესტორან **“ლა ტრუფე”**-ში, დაახლოებით 24:00 საათზე, რესტორნის ქვედა სართულზე, მაგიდებთან მსხდომ სტუმრებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა. დაახლოებით თხუთმეტ ნაციონალს დაუპირისპირდდნენ ბექა მაზიაშვილი, ჟურნალისტი მამუკა ბაკურია და ტელეჟურნალისტი მანანა გიორგობიანი და კარგადაც მიბეგვეს ყველანაირად უვარგისი ნაცები. ჩხუბში დაზარალდა ქალბატონი მანანაც, რომელმა განაცხადა, რომ მას დაბალმა, მსუქანმა, მელოტმა მამაკაცმა რამდენჯერმე გაარტყა მუშტი სახეში. სავარაუდოდ, უმწეო ქალთან მეომარი ეს **“მუშტმაგარი რაინდი”** ძველი თბილისის რაიონის გამგებელი ვაჟბატონი ნიკა მელია უნდა იყოს.

ჩხუბიც არ იციან ამ უდღეურებმა, თორემ თხუთმეტმა კაცმა ორ კაცს თავი როგორ უნდა აცემინოს. ახლა კი, როცა საკადრისი მიიღეს, ეს ყველაფრის მკადრებლები უსირცხვილოდ პოლიციაში უჩივიან ამ ორ კაცს, რომლებიც, უფრო, თავს იცავდნენ ტარაკანებივით შემოსეული **“ახერმოძებისაგან”!**

დიახ, ჩხუბიც არ იციან ამ უდღეურებმა!

თავად მიხეილ სააკაშვილი უზნეოდ აცხადებს, რომ ეს იყო შეგნებულად მოწყობილი თავდასხმა ნაციონალებზე, რაც მკაცრად უნდა იქნეს რეაგირებულიო. არ ახსენდება ამ არაკაცს, რომ სწორედ მისი ბრძანებით გაუსწორდნენ დაუნდობლად დეპუტატ ვალერი გელაშვილს, რომელმაც გაბედა შეურაცხადი სააკაშვილის სამართლიანი კრიტიკა. განა სწორედ სააკაშვილის ხელდასხმით არ ხოცავდნენ ახალგაზრდებს ზონდერები ქუჩებში, საპროცესო გარიგებების გამოყენებით უსინდისოდ ძარცვავდნენ უდანაშაულო მოქალაქეებს, ცემდნენ და აწამებდნენ პატიმრებს, აწიოკებდნენ ბიზნესმენებს?!

**“რასაც დასთესავ, იმას მოიმკიო”** – ამბობს ძველი ქართული ანდაზა. ნაციონალებმა სიძულვილი დათესეს და ახლა ზიზღს იმკიან. მალე, **“ნაციონალები”**, არამც თუ რესტორანში ცხვირის შეყოფას, არამედ ქალაქში გამოსვლასაც კი ვერ გაბედავენ!

დიახაც, რაც დასთესეს, იმას იმკიან!

ამრიგად, **“ახერმოძელები”** უნდა შეურიგდნენ იმ აზრს, რომ საქართველო მათი სათარეშო მოედანი აღარაა და რაც შეიძლება იშვიათად უნდა გამოჩნდნენ იმ საზოგადოებაში, რომელსაც ცხრა წლის მანძილზე თრგუნავდნენ და უსამართლოდ ექცეოდნენ.

თუ ეს ჭეშმარიტება არ გაითვალისწინეს, კიდევ ბევრჯერ მოხვდებათ ძარღვგაწყვეტილ შუბლში დანივრული მუშტი!

არ იმსახურებენ, თუ რა?

**რ. შალამბერიძე**

# არნო ხიდირბეგიშვილი: „მარგველაშვილის პრეზიდენტობა – საბოლოო დადასტურებაა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური კურსის მემკვიდრეობითობის, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებასთან შეუთავსებელია“

2013 წლის 29 აპრილს მხოლოდ საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო საქინფორმმა გააკეთა პროგნოზი, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი სწორედ სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძეს გადააყენებდა. პროგნოზი 2 მაისს გამართლდა.

2013 წლის 29 აპრილს მხოლოდ საინფორმაციო-ანალიტიკურმა სააგენტო საქინფორმმა გააკეთა პროგნოზი, რომ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად ბიძინა ივანიშვილი ვიცე-პრემიერს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს დაასახელებდა. პროგნოზი 11 მაისს გამართლდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტისტებლიშმენტი, მასმედია და საზოგადოება მხოლოდ 7 კანდიდატურას განიხილავდა (კალაძის, ალასანიას, ზურაბიშვილის, ახვლედიანის, ხმალაძის, ბურჭულაძის და თავად ივანიშვილის), რომელთა შორის მარგველაშვილის გვარი საერთოდ არ ფიგურირებდა.

13 მაისს, საქინფორმი მორიგ პროგნოზს აკეთებს, რომელიც ისევე გამართლდება, როგორც ყველა წინა, კერძოდ: მმართველი კოალიცია **„ქართული ოცნებიდან“** გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენება – საბოლოო დადასტურებაა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური კურსის მემკვიდრეობითობის, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებასთან შეუთავსებელია (რაც თავისთავად ნიშნავს, რომ, მისი პრეზიდენტობის ხანაში, საქართველო ვეღარ გადაწყვეტს ტერიტორიული გამთლიანების პრობლემას – **“ილორი”**).

და, როგორც მე ხაზი გავუსვი 1 მარტს Disput.az-თან და **“ასავალ-დასავალთან“** ინტერვიუში, **“იმის გათვალისწინებით, რომ ივანიშვილის მთავრობის ევროატლანტიკური კურსი არაფრით განსხვავდება სააკაშვილის მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსისაგან, მოსკოვთან ურთიერთობის მოგვარება ემოციურ-სიმბოლური, კულტურული, უკეთეს შემთხვევაში, ეკონომიკური ხასიათისა იქნება. მხედველობაში მაქვს შემოქმედებითი კოლექტივების და ცალკეული არტისტების გასტროლების გაცვლა, აგრეთვე ქართული ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი, ღვინისა და კონიაკის, მინერალური წყლების – „ბორჯომისა“ და „ნაბეღლავის“, ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბრუნება რუსულ ბაზარზე“.**

რა გვაძლევს მსგავსი პროგნოზის გაკეთების საფუძველს? აქ მე გლობალიზაციის პრობლემათა ცენტრის ხელმძღვანელის, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სოციალური და ეროვნული ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას მოვიხმობ, რომელიც მან ჯერ კიდევ 20 თებერვალს **“საქართველო და მსოფლიოსთან“** ინტერვიუში გამოთქვა: **“თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი – ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა... მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბღინძოს. საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება. პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.**

**მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან – ანუ, პრეზიდენტი.**

**რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. ახალი პრეზიდენტი არაფრით არ უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან. სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, იგი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას, 1-2 წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას“,** – სამართლიანად მიაჩნია ალექსანდრე ჭაჭიას.

**“არა მგონია, ბევრი პრეტენდენტი მოიძებნოს, რომელთაც ამ ჩიხში მოქცეული საკითხებით დაკავების სურვილი ექნებათ. ამ საკითხებს მხოლოდ ლამაზი და ფუყე დაპირებებით ვერ მოაგვარებ, ახალი პრეზიდენტის ფხა და შესაძლებლობა პირველივე თვეებში გამოჩნდება. ამიტომ ამ პოსტის დაკავებას მხოლოდ ის ადამიანი დათანხმდება, რომელიც დარწმუნებულია წარმატებაში და ფლობს აუცილებელ პოტენციალს – კავშირებს, პირად ავტორიტეტს, სერიოზული წინადადებების პაკეტს. ასეთი ადამიანები კი ბევრნი არ არიან“,** – დასძენს ჭაჭია.

ხოლო 10 აპრილს, უკვე **“კავკაზსკაია პოლიტიკასთან“** ინტერვიუში ალექსანდრე ჭაჭია იმეორებს: **“ამასწინათ მე ქართულ პრესაში გამოვედი წინადადებით, აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან, რუსეთთან, მათ შორის – ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნეს აყვანილი. მიმაჩნია, რომ ამისათვის საჭიროა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის გამოყენება, რომელიც მალე გათავისუფლდება. ახალ პრეზიდენტს უნდა დაევალოს პოლიტიკის ამ მიმართულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. რა თქმა უნდა, ეს უკვე არ იქნება კომფორტული თანამდებობა, რომელიც ევროპის დედაქალაქებში ფუჭად ხეტიალის და მჭევრმეტყველების საშუალებას იძლევა. მას დასჭირდება ჩასვლა სოხუმში, გუდაუთაში, ცხინვალში, აუცილებლად ვლადიკავკაზში, მაიკოპში, გროზნოში, ნალჩიკში, მახაჩყალაში და, რაღა თქმა უნდა, მოსკოვში.**

**თუ ეს მიმღები მხარეებისათვის მისაღები ადამიანი იქნება, მაშინ, მაღალი სახელმწიფო სტატუსით აღჭურვილი და დიალოგის უნარის მქონე თანამშრომლების კვალიფიციური გუნდით, პრემიერ-მინისტრთან მჭიდრო ურთიერთქმედებით, ის შეძლებს ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით გარღვევის უზრუნველყოფას. გარღვევად ვთვლი საზღვრების გახსნას, საერთო ეკონომიკური და ჰუმანიტარული სივრცის შექმნას სამუშაო ძალისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილებითურთ“.**

ჭაჭიას სიტყვებს ვერაფერს დავამატებთ... მაგრამ, როგორც ხედავთ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დღევანდელ დღეს სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენას და ამასთან უშუალოდ დაკავშირებულ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას განუსაზღვრელად შორეულ პერსპექტივად გადადებს...

თუმცა ვანო მერაბიშვილის და დოზის გადაჭარბებისგან ღირსების ბოლო ნარჩენებდაკარგული მიხეილ სააკაშვილის დაუდგრომელი ინტერნეტდივერსანტები გუშინდელი დღიდან Facebook-ზე გიორგი მარგველაშვილს რუსეთის კაცის დაღს ასვამენ, რის დასამტკიცებლადაც YouTobe-ზე მისი ორი ძველი ინტერვიუ დადეს: 2010 წლის 19 აპრილის ინტერვიუ რადიო **“თავისუფლებას“,** სადაც მარგველაშვილი არ გამორიცხავს, რომ საქართველო შეიძლება რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნდეს; და ინტერვიუ თოქ-შოუ **“პოლიტიკოსს“** საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, სადაც მარგველაშვილი განმარტავს თავის თეზისს – რატომ იყო საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურა ორენოვანი (ქართულ და რუსულენოვანი).

ამასთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს მორიგი პრეზიდენტი, სამწუხაროდ, არჩეული იქნება არა პარლამენტის მიერ, არამედ საყოველთაო კენჭისყრით, და ეს იქნება მოსკოვის, აფხაზების, სამხრეთ ოსეთელების და ჩრდილოეთ კავკასიისთვის უცნობი ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი – ინტელექტუალი, განსვენებული პრემიერი ზურაბ ჟვანიას მეგობარი და ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ყოფილი რექტორი, რომლის შვილის ნათლია და ქორწილში მეჯვარე მისი და ჟვანიას საერთო მეგობარი – საქართველოში აშშ-ის ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პირველი ხელმძღვანელი მარკ მალენი იყო.

ცუდია, რომ ლომაია&მემკვიდრეების მიერ დარღვეული საქართველოს განათლების სისტემა კარგი მინისტრის გარეშე დარჩება, რომელმაც ეს-ესაა დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება. კარგი კი ის არის, რომ შესაძლოა, მისი მეგობარი ჟვანიას მკვლელობის საქმე, რომელიც საქართველოში ნებისმიერი გამვლელისთვის გახსნილია, ბოლოს და ბოლოს, მთავარი პროკურორი კბილაშვილის და იუსტიციის მინისტრი წულუკიანისთვისაც **„გაიხსნება“,** ისევე როგორც სხვა გახმაურებული მკვლელობები. და გისოსებს მიღმა ბაჩანა ახალაიას გარდა, რომელსაც სასამართლო მალე გაამართლებს **“მტკიცებულებების არარსებობის გამო“,** აღმოჩნდებიან სერიული მკვლელები, რომლებიც დღეს თბილისის რესტორნებში დასეირნობენ, ინტერპოლის მიერ ძებნის მიუხედავად – მაგალითად, ახლახან საქართველოში დაბრუნებული, ბოლოტნაიაზე **“ვასილიჩის“** მეტსახელით ცნობილი გივი თარგამაძე და გაქცეული თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი...

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**საქინფორმის მთავარი**
**რედაქტორი**

# სააკაშვილს პრეზიდენტად უნდოდა ადამიანი, რომელიც გეიაღლუმის მოწყობას გეგმავდა

**(17 მაისის სამარცხვინო ექო კიდევ დიდ ხანს შეგვახსენებს თავს)**

ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის დამახასიათებელი ციებ-ცხელება უკვე დაწყებულია. თუმცა კი, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატურის ვინაობა ჯერაც არ არის ცნობილი. უკვე გარკვეულია, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ნინო ბურჯანაძე, თავიანთ კანდიდატურებს წარადგენენ **”ნაციონალური მოძრაობის”** წევრები და კოალიცია **”ქართული ოცნება”.**

ქართველი ჟურნალისტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ **”ქართული ოცნების”** კანდიდატურის წინაშე სხვა დანარჩენი უბრალოდ არაკონკურენტუნარიანი იქნება, რაც ნორმალური ნამდვილად არ არის...

ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ ნინო ბურჯანაძეს გამარჯვების არავითარი შანსი არ აქვს. არც გიორგი ვაშაძეს, ვანო მერაბიშვილსა და **”ნაციონალური მოძრაობის”** მიერ წამოყენებულ რომელიმე კანდიდატს გამარჯვების არავითარი შანსი არ აქვთ. უახლოეს მომავალში მათ მიმართ პროკურატურას კონკრეტული კითხვები ექნება. არ გვინდა, გამოძიებას გავუსწროთ, მაგრამ არ გვგონია, მათ ამის შემდეგ პრეზიდენტობის კანდიდატურის წაყენების განწყობა შემორჩეთ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც **”ქართული ოცნების”** კანდიდატურა, ვინც არ უნდა იყოს ის, სრულიად უალტერნატივოა.

ჩვენ შეკითხვა დავუსვით მეცნიერსა და პოლიტიკოსს, ბატონ **ზაურ ბახარიას**:

**– ასეთი პოლიტიკური რეალობა მისაღებად მიგაჩნიათ?..**

– არა, არ მიმაჩნია მისაღებად და ნორმალურად, მაგრამ ეს არის დღევანდელი რეალობა. ეს რომ ასეა, ადგილობრივ არჩევნებში მიღებულმა შედეგებმა აჩვენა. თეა წულუკიანის 92%-ის ფონზე აღებული კორძაიას პროცენტები, ბევრ რამეზე მიანიშნებს, თუნდაც იმაზე, რომ **”ნაციონალური მოძრაობა”,** როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, მოკვდა და არ მიმაჩნია, რომ ერთპარტიული სისტემა დასაშვებია, მაგრამ იმის იმედი მაქვს, რომ კოალიციის შიგნით სრულიად სხვადასხვა მსოფლმხედველობის სუბიექტები არიან გაერთიანებული და მოვა დრო, და ისინი ერთმანეთთან პაექრობას დაიწყებენ.

**– შესაძლოა, ”ნაციონალურმა მოძრაობამ” ერთი აქამდე სრულიად უცნობი კანდიდატიც გამოაჩინოს...**

– დიახ, **”ანჟელა”**, იგივე გიორგი მაზმანიანი. სწორედ მის გამო მოხდა მთავარი დაპირისპირება 19 აპრილს **”ნაციონალურ მოძრაობაში”**. ვანო მერაბიშვილს ეგონა, სააკაშვილი სიურპრიზს გაუკეთებდა და იმ დღეს პირდაპირ აქციაზე დაანონსებდა მას პრეზიდენტობის კანდიდატად, მაგრამ გაირკვა, რომ სააკაშვილს ამ პოსტზე გიორგი მაზმანიანი უნდოდა. ანუ საქართველოს პრეზიდენტად უნდოდა ადამიანი, რომელიც საზოგადოებისთვის იმით გახდა ცნობილი, რომ გეიაღლუმის მოწყობას გეგმავდა.

**– ის ამ ფაქტს უარყოფს...**

– ის სხვა ბევრ რამესაც უარყოფს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასე არ არის... და მისთვის ეს სახელი ანჟელა, მე არ დამირქმევია, როგორც ამას თავად ამტკიცებს, ასე იყო, მას ეს სახელი ერქვა უკვე... ვინ არის, რა უნდა და რა პოლიტიკური წარსული ჰქონდა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ სააკაშვილს უნდოდა. რა პოლიტიკური წარსული აქვთ ვარძელაშვილს, ვერა ქობალიას, ხათუნა ოჩიაურს, ან ჩიორა თაქთაქიშვილის ცხოვრებაზე სმენია ვინმეს რამე?.. ჩემთვის პირადად, გია ბარამიძეს, ვანო მერაბიშვილსა და გიორგი მაზმანიანს შორის განსხვავება არ არის, მათ ერთნაირი მსოფლმხედველობა აქვთ და თუ იმ ორის კანდიდატურის წამოყენება შეიძლება, **“ანჟელა”** მაზმანიანმა რაღა დააშავა?..

**გაზეთ “ილორის” კომენტარი**: მოკლედ, ნაციონალებს 17 მაისს დაგეგმილი **“გეი-აღლუმი”** განრისხებული ხალხის რეაქციის გამო **“გეი-მარათონად”** ექცათ და ძლივს გაასწრეს მათ წინააღმდეგ შემართული ადამიანების სავსებით ობიექტურ რეაქციას, მაგრამ, სააკაშვილისა და მისი ხროვის შავბნელი საქმიანობა ამით არ ამოწურულა და ვიდრე ეს არაკაცი და მისი სულგამრუდებული გარემოცვა საბოლოოდ ჩამოგვცილდებიან, კიდევ ბევრ **“სიურპრიზს”** შემოგვთავაზებენ!

შემდეგ ნომერში გაზეთი **“ილორი”** დაწვრილებით ინფორმაციას მიაწვდის მკითხველებს ჰომოსექსუალებად წოდებულ მახინჯებზე, რომელთაც სწორედ სააკაშვილისა და მისი გაუკუღმართებული გარემოცვის წყალობით დაიდეს ბინა საქართველოში და ახლა ფრთების გაშლასაც გეგმავდნენ, მაგრამ ქართულმა ეკლესიამ და ქართველმა ხალხმა საკადრისი ზიზღი შეაგებეს ამ გულისამრევ არსებებს და თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით მაინც დაუკარგეს რუსთაველის გამზირზე სოდომური ვნებების დემონსტირების საშუალება.

**რ. შალამბერიძე**

# ქართული მიწა სისხლის ცრემლებად დნება

ქართველ ერს ისტორიის გრძელ გზაზე უბედურების, ტანჯვა-წამების და ყოფნა-არყოფნასთან ჭიდილის მეტი რა უნახავს. უფლისმიერი ნაკურთხი მიწები შემოაჭამეს, დაგლიჯეს, დააკნინეს, დაასუსტეს, მაგრამ ვერ მოსპეს; ქართული გენის გიზგიზა კოცონი ვერ ჩაუქრეს. აგერ, დღევანდელობამდე მოაღწია შაგრენის ტყავივით შემცირებული სამშობლოთი უძველესი ენის, დამწერლობის, ზნეობის, კაცთმოყვარეობის და სიკეთის მატარებელმა ერმა. სწორედ ამიტომ, კაცობრიობის შეგნებული და სიმართლის მქადაგებელი ჯანსაღი ნაწილი მარგალიტივით უნდა უფრთხილდებოდეს მის არსებობას.

დაქუცმაცებული, დანაწევრებული, გაგლეჯილ-გამოგლეჯილი იქნევდა მახვილს და მტაცებლებთან უთანასწორო ბრძოლებში აწრთობდა ერის და მამულისადმი სიყვარულს. ყოფილა ჟამი სიკვდილ-სიცოცხლისა, მაგრამ **"თავს არ მოიკლავს ქართველი, არა!.."**. გადარჩა, გაერთიანდა და შვებით ამოისუნთქა.

როგორც მრავალწლიან მსხლის ტოტის ბზარში ჩავარდნილი პარაზიტი ფითრის თესლი თანდათან მრავლდება და მძლავრი მცენარის ჯანსაღ წვენს ეწაფება მისი დაკნინება-დასუსტების ხარჯზე, ამგვარი დაავადება შეეყარა საქართველოს ედუარდ შევარდნაძის სახით. რა დაითვლის იმ უამრავი მუხთლობის მძიმე შედეგებს, რაც ქართველ ხალხს და ქართულ სახელმწიფოს მიაყენა იმ გადამწყვეტ მომენტში როცა სატანა თავის კადრს საქართველოს დასაღუპად ამზადებდა, საკმარისი იყო ემძლავრა საღ აზრს და ისეთი ღირსეული ერის სიამაყე, რაინდული სულის უანგარო და უბოროტო, კაცთმოყვარე როინ მეტრეველის მსგავსი მამულიშვილით შეეცვალა, საქართველოს ბედის ბორბალი ისე მძლავრად აბრუნდებოდა სასიკეთოდ, რომ სატანის ყველა ჯებირებს მილეწ-მოლეწავდა. მაგრამ ზეობდა მუხთლობა და უკვე სულ სხვა ცხოვრების გზაზე შემდგარ საქართველოს კვლავ მოაკითხა სატანამ თავისის თეთრი მელათი და დატრიალდა კიდეც ცოდვის ქარბუქი. მის მიერ სამეგრელოში ჩადენილი საშინელებანი ის დიდი რგოლია ედუარდის ცოდვების სკივრიდან, რომლის ამოთრევას მოჰყვება უამრავ ბოროტებათა ჯაჭვი და გაუგონარი სიმძიმით თეთრ მელას ჯოჯოხეთის ყველაზე აქოთებულ კუნჭულში ჩააძვრენს. მან კი მრავალი ფითრის თესლი ჩაყარა ცხოვრების ბზარებში და ვარდების რევოლუციის ნიღბით თავს დაგვატეხა ნაციონალთა აღვირახსნილი პარპაში. შევარდნაძის გამოზრდილმა პარაზიტებმა თავი ეზოს მოძღვრის მუხთლობასაც კი გაასწრეს და სამარცხვინო დანაშაულთა ჩადენით გერმანელ ნაცისტებს მხარი დაუმშვენეს.

თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი, აღა-მაჰმად ხანი, მრავალი დაუნდობელი დამპყრობელ-ამომგდებები, ყველაფერს სპობდნენ და ანადგურებდნენ, მაგრამ ქართველი ხალხი ბრძოლას არ წყვეტდა, ყოველი შემოსევის შემდეგ ფენიქსივით აგრძელებდა ძარცვის და განადგურების ფერფლიდან წამოდგომას. ამჟამად კი სხვაგვარი განსაცდელის ჟამი დადგა. ამდენი თავისი ჯიშის და მოდგმის მუხთალი რომ გამძვრალიყო ქვეყნის მართვის სადავეებთან ვერ გაიხსენებს საქართველოს ისტორიის გაყვითლებული ფურცლები.

იყო პერიოდი, როდესაც ნაციონალური ჭირისგან თავის დახსნა თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ, რამეთუ ხალხის ერთობლივად გაბრძოლება ვერ ხერხდებოდა. ამ დროს, ბიძინა ივანიშვილმა, რომელსაც არავითარი სიკეთე რომ არ აკლდა, გვერდით გადადო უშფოთველი ცხოვრება და ჩაუდგა სათავეში ქართველი ხალხის საშინელი ნაციონალური ჭირის წინააღმდეგ ბრძოლას. მიუხედავად რეპრესიებისა არჩევნებზე ხალხმა გაიმარჯვა და ახლა გვაქვს ორხელისუფლებიანობა – ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მთავრობა და პარლამენტი უმრავლესობით: პრეზიდენტი სააკაშვილი შემორჩენილი გამგებელ-რწმუნებულებით და პარლამენტის უმცირესობით.

ბიძინა ივანიშვილის ყოველ მცდელობას ქვეყნის და ხალხის სავალალო მდგომარეობიდან გამოსაყვანად თან ახლავს სააკაშვილის და მისი ნახირის საპროტესტო ღრიალ-ბღავილი. მარტო ეს რომ იყოს კიდევ რა გვიჭირდა. დემოკრატიის ბურჯი დასავლეთი შეშფოთდა ნაციონალების ესოდენ შევიწროებით და ატეხეს ხმაური. დღემდე არავის რომ არ გახსენებია – კუბლაშვილი თავისი სიმპათია-ანტიპათიით ნიშნავდა მოსამართლეებს, ისინიც უდანაშაულო ხალხს ენერგიულად ერეკებოდნენ გლდანის საკონცენტრაციო ბანაკებში. ახლა ამ მოსამართლეებს რომ შეუტიეს, გამოჩხრიკეს ვენეციის კომისია, რომელსაც სულაც არ შეუწუხებია თავი საქართველოში სასამართლო უსამართლობის კალოს რომ ლეწავდა. ახლა ჭკუას გვასწავლიან, რამეთუ ჰგონიათ, რომ ქართველები ღრმად დაარწმუნეს თავიანთი მამიდის პატიოსნებაში.

ამ საცოდავმა სააკაშვილმაც დაკარგა ცენტრი. თუ ადრე ხალხს ძალად ერეკებოდნენ მისი ბოდვების მოსასმენად, ახლა ეს ძალაც მოეშალა. არადა, ორთქლი თუ არ გამოუშვა, რა ეშველება მის ყვარყვარეს ზღაპრებით ადუღებულ ტვინს. ამჯერად საბერძნეთში გაშალა თავისი ადუღებული ტვინის ნაყოფი: საქართველოში რაც მოხდა, თურმე, უკან გადადგმული ნაბიჯია; ფულით მოსული ხელისუფლება ხელს უშლის ევროპულ კურსს, ასე მოხდა მოლდავეთში; იკარგება უკრაინა; ბელორუსიაზე ლაპარაკი აღარ არის; აზერბაიჯანს უკრძალავენ დემოკრატიული პოლიტიკის კურსსო. ამას შეიძლება ეწოდოს: **"ყბედი შინ არ ვარგოდა, საჭორაოდ გარბოდაო"**. იმას ხომ არ იტყოდა, ჩემი მეთოდებით არჩევნების ბოლომდე გაყალბება ვერ შევძელით, ხალხი ისე იყო გამწარებულიო. თორემ, ხომ იცით, გაყალბებას ბელორუსიასა და უკრაინაში როგორ ვცდილობდითო.

ევროპარლამენტშიც წამოიკნავლა, საქართველოში იმას არღვევენ, რაც თქვენს სასიამოვნოდ შევკერეთო. იმათაც გამოაცხეს მუქარის წერილი 23 სახალხო პარტიის წევრი დეპუტატის თითის ქნევით. საქართველოში რა ძალადობის, უკანონობის და ხელისუფლების აღვირახსნილობის შხამი დუღდა, სახალხო პარტიამ თურმე არ იცოდა. რას გვემუქრებიან? ევროპაში და ნატოში აღარ შეგვიშვებენ? თითქოს თავიანთი ლაქია პრეზიდენტის კუდის ქიცინის დროს ორივე კარები ღია ჰქონდათ. თუ არა გამრავლებული და გათავხედებული ღალატი, ვისთან რა გვაქვს შესახვეწი?

ებრაელებმა უდაბნო სამოთხედ აქციეს და დღეს პატარა ისრაელი მოწინავე, განვითარებულ ქვეყნებს შორის დგას. ღალატმა და მუხთლობამ სამშობლო-სამოთხე ჯოჯოხეთად გვიქცია და დღეს განუვითარებელ, ჩამორჩენილ ქვეყნებს კუდში მივსდევთ.

ჩვენი ასეთი დაკნინება ყველაზე უფრო ნაციონალების მიერ სტრატეგიულ პარტნიორებად მონათლულ ვაიმეგობრებს აწყობთ, თან დამცინავად ეღიმებათ, ეს საცოდავი საზღვრებმორღვეული საქართველო ჩვენი გულის მოსაგებად როგორი ენერგიით მოგვყვება ავღანეთის ავანტიურაშიო. განვითარებული და ძლიერი რომ იყოს, რატომ მოგვიქნევდა კუდსო. ამაზეა ნათქვამი:

***კურდღელი მგელს ეხუტება,***
***პარტნიორები ვართო,***
***მგელი მას ვახშმად ინახავს,***
***კურდღელი ტრაბახს არ თმობს.***

მოსახდენი მაინც მოხდა და მათმა ლაქია პრეზიდენტმა ხალხისგან მძლავრი პანღური მიიღო და თავისი მაღალჩინოსნებიანად გლდანის სანატორიუმის საგზურის მიღების აჩრდილი არ ასვენებს.

შეშფოთდნენ თავიანთი ძაღლისშვილების სავალალო მდგომარეობით და აგერ, ვენეციის კომისია; ევროპარლამენტის მუქარა; ამერიკელების თითის ქნევა; ნატოს სამი თითის კომბინაცია და შედეგად ევროატლანტიკური ბუს კვერცხებით გამოჩეკილი კოაბიტაცია. ნაციონალური მოძრაობა კი რის ოპოზიციაა, იგი იბრძვის ჩადენილ დანაშაულობათა მისაჩქმალად და სასჯელიდან თავის დასაღწევად. სწორედ ამას ემსახურებოდა 19 აპრილის ნაცისტთა თავყრილობა რუსთაველის პროსპექტზე – პარლამენტის შენობის წინ, სადაც ადრე თავად ვანდალურად დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრაცია.

საშინელი ჭრილობები, რაც ქართველ ერს და მთლიანად საქართველოს მიაყენეს, მათი მფარველების მიერ მოგონილი კოაბიტაციით დაწყებულია და ახალი ეროვნული მოძრაობის მოგონებით ცდილობენ საბოლოოდ მოუღონ ბოლო ქართულ წარსულს და ეროვნულობას.

მათ რაც ციხეებში ჩაიდინეს, მხეცსაც კი თავზარს დასცემს. განა შეიძლება ამის დავიწყება? გერმანელ ფაშისტებს არ უკადრებიათ ამგვარი სიბინძურე. ტყვედ ჩავარდნილი გენერალი კარბიშევი, რომელიც წითელი არმიის მშენებელი ერთ-ერთი ნიჭიერი გენერალი იყო, სამშობლოს მოღალატე ვლასოვის მსგავსად ვერასგზით ვერ გადაიბირეს. ზამთარში ბოძზე მიაკრეს, წყალს ასხამდნენ და ყინულის ქანდაკებად აქციეს. მამაცი გენერალი წამებით მოკლეს, მაგრამ ღირსეულად. ამათ ქართველი პოლკოვნიკი იმის გამო, რომ მუხთლად ვერ აქციეს, ისეთი ბინძური წამებით მოკლეს, რომ ვერავითარი კოაბიტაციის მექისე კაცობრიობის წინაშე ამ სიბინძურეს ვერ ჩამორეცხავს.

ქართველმა ხალხმა ეს პარაზიტები ნაწილობრივ გააპანღურა, მგრამ თავიანთი პრეზიდენტის, შემორჩენლი პოსტების წყალობით და უცხოელი წამქეზებლების აშკარა ჩარევით გვარიანად უშლიან ხელს საქართველოსათვის მიყენებული ჭრილობების მოშუშების და ქვეყნის აღორძინების საქმეს.

მათ მიერ დაწყებული ქართული მიწების გაყიდვა უცხოტომელებზე თუ დროზე არ შეჩერდა, საქართველოში ქართველი ქართველს სანთლით დაუწყებს ძებნას.

სახალხო ქონება გაყიდეს, მიითვისეს და გააჩუქეს. მაინც ვერ გაძღნენ და სახელმწიფო ბიუჯეტი თავიანთი ბებია-ბაბუის მიერ ნაჩუქარ ქისად გაიხადეს. სხვა რა უნდა ეწოდოს პრეზიდენტის მიერ ფონდის აღვირახსნილ განიავებას ორგიებზე და გართობებზე. ყველაფერი იშოვნეს, ყველაფერი მიითვისეს, გაძღნენ, გაიბერნენ, გაპაპაჯორდნენ და მაინც არ ყოფნით. ყველაზე უკანასკნელი ნაძირალაც კი არ იკადრებდა გორში სტალინის ძეგლის აღებას. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ფაშიზმი, კაცობრიობის ამ განუმეორებელი ტიტანის და რკინისებურმა ნებისყოფამ დაამიწა. 1955 წლიდან უამრავი პიგმეი, მაწანწალა და პარაზიტი ცდილობდა ამ გიგანტის საქმეთა შებღალვას, მაგრამ მისი დიდება სულ უფროდაუფრო სხივნათელი ხდება. ყველა ქართველისათვის, როგორი მსოფლმხედველობითაც არ უნდა იყოს, საამაყოა, რომ ქართულმა გენმა, ქართულმა ჯიშმა და ჯილაგმა შობა მსოფლიოში განუმეორებელი ამგვარი გენია, რომელმაც თავისი სიცოცხლე მშრომელთა კეთილდღეობას მიუძღვნა, ერთი ხელი ტანისამოსის გარდა სხვა არაფერი ებადა და მისი მეუღლე სამსახურში ტრამვაით დადიოდა. ამგვარი ტიტანის აჩრდილს ურქენს მუცელღმერთა ყვარყვარე პრეზიდენტი, რომელსაც საქართველოს მთელი ქონება და ბიუჯეტი არ ყოფნიდა განცხრომით ნებივრობისათვის მარცხნივ და მარჯვნივ გასანიავებლად.

ნაციონალთა უამრავი ღალატი და ბინძური საქმენი თანდათან გამოდის სააშკარაოზე, მაგრამ დღეს რაც ცნობილია, ესეც საკმარისია მათი ხსენების ამოსაძირკვად ისე, როგორც დიდებულმა გერმანელმა ხალხმა დაამიწა ფაშიზმი და დღესაც იხდის ბოდიშს გერმანული ფაშიზმის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ბოროტების გამო. სწორედ ამიტომ არის გერმანელი ხალხი ასე ძლიერი და სამართლიანი.

საცოდავმა აღმა-დაღმა მოშლიგინე სააკაშვილმა ჩერქეზების გენოციდის ისეთი ავანტიურა წმოიწყო, რომ თვითონ ჩერქეზებიც გააოგნა; სასაცილოა, ყოველ ამგვარ სიგიჟეს საქართველოს სახელით რომ ნათლავენ.

ახლა ისტერიკა ემართება აგვისტოს ომის გამოძიების გამო, რომელსაც ადრე ჰაიდი ტალიავინის ევროკავშირის ცნობილი გამოძიების დასკვნაც ახლავს, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია დაიწყო ქართულმა მხარემ. სააკაშვილი კი იმუქრება, ვინც ამას ეტყვის სამშობლოს მოღალატეაო. ამ საკითხში კი სწორეს ამბობს: ცხინვალის ავანტიურაში საქართველო არაფერ შუაშიაო. იგი დაიწყო ნაციონალთა ბანდამ და მისმა თავქარქაშა ლიდერმა – მიხეილ სააკაშვილმა. ამას კომისია რად უნდა, როცა მთელი საქართველო ტელეეთერით ამათი ინფორმაციების მოწმეა. თემურ იაკობაშვილი გვამცნობდა, რომ ცხინვალი უკვე აიღეს და ჯავის რაიონის მცირე ნაწილიღა დარჩათ. ხუთასი ოსი ბოევიკი, ხუთასი ახალწვეული მოსპეს და რუს სამშვიდობოებს ურტყამენო. ის საცოდავი ისე გაერთო ამ ინფორმაციის გადმოცემით, რომ ნაციონალების თავკაცები წითელ ხიდთან გასაქცევად ერთმანეთს გაწევ-გამოწევაში გვერდებს უჟეჟავდნენ; იაკობაშვილი კი უხეირო მამალივით ყივილს აგრძელებდა.

ომი დაიწყო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ – მძინარე ცხინვალს **"გრადების"** სეტყვა დაატეხა თავს. ყოველივე ეს პუტინმა ჩინეთში ყოფნისას გაიგო და განაცხადა: **"ომის დამწყებს დავსჯითო"**. ყველაფერი კარგად ახსოვს ქართველ ხალხს. ისაც კარგად ახსოვს, მოძმე ოსებთან დამთბარი ურთიერთობა ამათი თავქარიანობით როგორ დაიძაბა. ყოველივე ამის შემდეგ რა ნამუსი აძლევს უფლებას, რომ ეს უარყოს ან სხვას გადააბრალოს; მაგრამ მოჰკითხე ნამუსი ნაცისტს. პოლონეთში გერმანელთა ზარბაზნები რომ გრიალებდნენ, ჰიტლერი ტრიბუნასთან იდგა და თავის მშვიდობისმოყვარეობაზე მკერდზე მჯიღის დარტყმით იფიცებოდა. ჭეშმარიტების აღიარების მომენტი დადგა და ფაშისტთა კაცთმოძულეებას მწარედ ნანობს გერმანელი ხალხი. მიშა კი, ნახეთ, როგორი მონდომებით მალავს ხალთაში შუბს, მაგრამ ვერ დაუმალია.

გერმანელმა ხალხმა თუ თავად ვერ შესძლო კაცობრიობის საშინელი ჭირის – ნაციზმისაგან თავის დახსნა, ეს სხვისი დახმარებით გაკეთდა, დიდი მსხვერპლის ფასად.

ქართველმა ხალხმა თვითონ შესძლო ხელისუფლებიდან გაეპანღურებინა ნაცისტი დამნაშავეები, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანას ხელს უშლიან **"მეგობარ"** სახელმწიფოებში ჩაბუდებული ბოროტი სულები თავიანთი კოაბიტაციით. თუ ნაცისტი დამნაშავეები ნიურნბერგის მსოფლიო ტრიბუნალმა გაასამართლა, ამათ ქართველი ხალხი თვითონ გაასამართლებს და სასჯელსაც დამსახურებისამებრ მიუზღავს.

თბილისიდან გორისკენ მიმავალი სააკაშვილის თავქარიანობის ნაყოფს, ფუტკრის სკებივით მიჯრილ ლტოლვილთა ხრიოკზე მოწყობილ დასახლებებს რომ შეხედავ, გულის ტკივილი სიმშვიდეს გაგიქრობს. ვისი ბრალია ქართველების თავისი ნაფერები სახლ-კარიდან ასე გამორეკვა და ამ ხრიოკზე ლტოლვილების სამსალით დაპურება?! ვისი ბრალია მშვენიერი ქართველი ახალგაზრდების ამოწყვეტა?! ვის არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ თავისი მძიმე დანაშაული აღიაროს?! პასუხი ერთია – მიხეილ სააკაშვილს არ აპატიებს ქართველი ხალხი ამ უბედურებას და კანონის მთელი სიმკაცრით აგებინებს პასუხს. საქართველო კი კვლავ გამთლიანდება და აყვავდება, რომელიც ნაციონალთა მუხთლობით კიდევ უფრო შემცირდა.

როგორ ბრძნულად ახდა ნიჭიერი ქართველი მამულიშვილის, საქართველოს სოციალური და ეროვნული ურთიერთობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ფილოსოფიის და პოლიტოლოგიის პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას წინასწარმეტყველება. იგი ჯერ კიდევ შევარდნაძის დანაშაულებრივი მმართველობის დროს გვაფრთხილებდა, რომ ამგვარი პოლიტიკით მარტო თბილისიღა დაგვრჩებაო, რამეთუ მთელი დამშეული მოსახლეობა დედაქალაქს მოაწყდა. ესენი კიდევ ქართველებს საქართველოში ფეხის დასადგმელ ადგილს აღარ უტოვებენ. მიჰყვები გორის გზას, უცქერ გაბითურებულ ლტოლვილთა ჩაჭოჭყილ დასახლებებს და ფიქრი არ გასვენებს; განა შეიძლება ჯანსაღ ხელისუფლებას ჰყავდეს ალექსანდრე ჭაჭიას მსგავსი საღად მოაზროვნე, ერის სასიკეთო მარგალიტი და ქვეყნის აღორძინების სამსახურში არ ჩააყენო?!

ამგვარად, ჩემო ძვირფასო ქართველო ხალხო, საქართველო სავსეა მარგალიტებით. მერე რა, რომ ქართული მიწა დღეს სისხლის ცრემლებად დნება. ღრმად ვარ დარწმუნებული, თუ ხელისუფლება თავის ირგვლივ მარგალიტებს შემოიკრებს, საქართველოში ისრაელიდან ჩამოვლენ ნამდვილი სამოთხის სანახავად. სწორედ მაშინ ველარავინ დაგვიქნევს თითს და ვერც ბუს კვერცხებიდან გამოჩეკილი კოაბიტაციით აგვირევენ ნორმალურ ცხოვრებას.

**ბივი სომხიშვილი,**
**მწერალი,**
**სიღნაღი**

# ვინ შეჭამა კვერცხები?

**(არ იფიქროთ, რომ ამ წერილში საუბარი გვექნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლის გია ხუხაშვილის მონაწილეობაზე კვერცხის ბიზნესში. აქ სხვა კვერცხზეა საუბარი და ამ დინოზავრის კვერცხს სახელად "კახა ბენდუქიძე" ეწოდება, რომელსაც, როგორც ჩანს, ჟურნალისტებმა, არც მთლად დაუმსახურებლად უწოდეს "ბენდუქიძეიუდა"...)**

*"ადამიანმა ორი მწერის – ფუტკრისა და აბრეშუმის პეპლის მოშინაურება შეძლო. ქართველებს ისტორიულად გვქონდა როგორც ცხენის, ცხვრის, საქონლის და ძაღლის ეროვნული ჯიშები, ასევე ქართული ფუტკარი და ქართული აბრეშუმი, რომელიც ძალიან ძვირფასი ყოფილა. კომუნისტების დროს ბევრ სოფელში მეაბრეშუმეობა, ანუ აბრეშუმის ჭიის მოვლა პოპულარული საქმიანობა იყო. ამჯერად რა ხდება? საერთოდ არსებობს კი ქართული აბრეშუმის ჭიის კვერცხი?*

*პატივისცემით,*
*ქეთევან დავლიანიძე".*

**"აბრეშუმის ჭიის კვერცხების ბიზნესი კახა ბენდუქიძემ ჩაყლაპა. 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ აღარც ამ მიმართულების ინსტიტუტის შენობა არსებობს და ქართული აბრეშუმის უნიკალური ჯიშის ჭიის კვერცხებიც გაქრა,"** – მიპასუხეს სატელეფონო ცნობარში მითითებულ მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის ტელეფონზე და ყურმილი დამიკიდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც თვითონ უწოდებენ, ქაღალდზე არსებული ინსტიტუტის თანამშრომლებთან დაკავშირება მაინც შევძელი. საუბრისას მათ მითხრეს, რომ აგრარული უნივერსტეტის ახალმა მეპატრონემ, კახა ბენდუქიძემ გაუფრთხილებლად მიაყენა ბულდოზერები მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის შენობას. **"დოკუმენტების გამოტანაც კი ვერ მოვასწარით და წლების განმავლობაში შექმნილი სამეცნიერო შრომები განადგურდა. ბულდოზერებს წინ გადაუდგნენ ინსიტიტუტის დირექტორი ნოდარ სტეფანიშვილი და ერთ-ერთი თანამშრომელი ნარგიზა ბარამიძე. ნახევრად დანგრეული შენობიდან კვერცხი გამოიტანეს. აგრარულმა უნივერსტეტმა ლაბორატორიებისთვის ადგილი არ გამოგვიყო, ამიტომაც კვერცხები ყოფილი თანამშრომლის ოჯახში, მაცივარში შევინახეთ. შვიდი თვის შემდეგ ბენდუქიძემ უეცრად მოინდომა კვერცხების დაბრუნება და შანტაჟისა და დაშინების გზით მიატანინა უნივერსიტეტში ნარგიზა ბარამიძეს. კვერცხიდან უკვე გამოიჩეკა ჭია, მაგრამ უნივერსიტეტში საჭმელი არ აქვთ და შესაძლოა, სასოებით გადარჩენილი ახლა განადგურდეს".**

**ნოდარ სტეფანიშვილი:** – ერთ-ერთი სასელექციო ჯგუფის ჟურნალი თავის საექსპერიმენტო მაგიდიანად განადგურდა, ანუ გენეალოგია დავკარგეთ. ლაბორატორიის გარეშე დარჩენილებს შემოგვთავაზეს ანასეულში, ჩაისა და სუბტროპიკულ ინსტიტუტში წაგვეღო კვერცხი, იქ კი ასი კილომეტრის რადიუსში თუთა არ დგას, რომ ჭია გამოკვებო. მაშინ კახეთში წადითო. ოქტომბრიდან დღემდე ასე მევაჭრებოდნენ, ამიტომაც სხვადასხვა სელექციური ჯიშის ავტორები იძულებული გახდნენ, მოეძებნათ კერძო ფართი, დაკეტილი ბინა, სადაც სპეციალურ მაცივარში შეინახავდნენ უზარმაზარი მოცულობის აბრეშუმის ჭიის საგანძურს. კვერცხი +3 გრადუს ტემპერატურაზე ინახება და მაცივრის კარი იშვიათად უნდა იღებოდეს, რომ სითბო არ შევიდეს. ამ დღეებში, როგორც იქნა, უნივერსიტეტშიც მოგვცეს ორი ოთახი ჭიის გამოსაკვებად, მაგრამ მხოლოდ კვება საკმარისი არ არის. საჭიროა, ადგილზე სელექციონერები მუშაობდნენ, რომ ჯიშები არ გადაგვარდეს. თავის დროზე შუა აზიიდან მოგვქონდა აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშები, წლების გამავლობაში უზარმაზარი შრომა გავწიეთ მათ გადასარჩენად და ახლა, შესაძლოა, ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. არ მესმის მუშაობის საშუალებას რატომ არ გვაძლევენ.

**– კვერცხი სელექციონერებს ეკუთვნის თუ უნივერსიტეტს?**

– ჯიშების გამოყვანა ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტით. თუ კახა ბენდუქიძემ სახელმწიფოს ქონებასთან ერთად მემკვიდრეობაც იყიდა, მაშინ პრეტენზია უნდა ჰქონდეს კვერცხებზე, მაგრამ სად იყო შვიდი თვის განამავლობაში, მე რომ ლაბორატორიების გამოყოფას ვეხვეწებოდი? თუნდაც მას ეკუთვნოდეს, ჩვენ ხომ მათ საქმეს ვაკეთებთ, სელექციონერებიც და **"მეაბრეშუმეობის აღდგენისა და განვითარების ფონდიც"**, რომელიც შესანიშნავ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დავაფუძნეთ. სწორედ ფონდის დაფუძნების შემდეგ დამიბარა უნივერსტეტის პრორექტორმა ზვიად ჭეიშვილმა და მითხრა, ველარ ვითანამშრომლებთო. არადა ცოტა ხნის წინ საგრანტო, 50 000-ლარიანი კონკურსი გამოაცხადეს მეაბრეშუმეობის განვითარების პროექტის შესაქმნელად. ამ კონკურსით გულმოცემულმა გადავწყვიტე, ერთ-ერთი დაინტრესებული ჯგუფის ბაზაზე, გარდაბანში (სადაც თუთის უზარმაზარი პლანტაცია და ჭიის გამოსაჩეკად და საპატრონოდ ორსართულიანი კაპიტალური შენობა აქვთ) თავიდან დაგვეარსებინა სასელექციო სადგური. ჭეიშვილს გაოცებულმა ვკითხე, უნივერსიტეტის საქმეს ვაკეთებ და რატომ უნდა წავიდე-მეთქი? საბაბს მოგიძებნითო. მე კი ვცდილობ, დავარწმუნო, რომ სელექციონერებს, რომელთაც საავტორო უფლებები გვაქვს, ჯიშები დაგვიბრუნონ, რადგან დრო არ ითმენს, ჭია უკვე გამოჩეკილია, შეჯვარება, სელექცია მისახედია და რაც მთავარია, ჭიას კვება სჭირდება, ეს კი დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია. მეაბრეშუმეობის დანგრევასთან ერთად თუთის ხეებიც გაიჩეხა და ხშირად ასობით კილომეტრზე გვიწევს წასვლა ჯანსაღი ფოთლის საშოვნელად. უნივერსიტეტში მეაბრეშუმეობის შესახებ არაფერი იციან, თორემ სისულელეებს არ გვეტყოდნენ და ხელს შეგვიწყობდნენ მუშაობაში. დაგვპირდნენ, ჰიბრიდულ ჯიშებს მოგცემთო. ეს სელექციონერებისთვის უვარგისი მასალაა. ჩვენ წმინდა ჯიშები გვჭირდება, რომ მათგან ახალი გამოვიყვანოთ. აბრეშუმის ჭიის გაურკვეველი ჰიბრიდული ჯიში გენმოდიფიცირებული სიმინდის თესლივით არის, მხოლოდ ერთ წელს მუშაობს, სათესლე ნაყოფს არ იძლევა. მეცნიერებს ასეთი მასალა არაფერში გვჭირდება. აშკარად გვებრძვიან, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ. თუ ბენდუქიძეს მართლაც სურდა მეაბრეშუმეობის განვითარება, ეთქვა, დაგაფინანსებთ და მიხედეთ საქმესო. მას პიარი სჭირდება, რომ კი არ ანგრევს, ვითომ აშენებს მეაბრეშუმეობას.

**აგრარული უნივერსტეტის პრორექტორი ზვიად ჭეიშვილი** აცხადებს, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მეაბრეშუმეობასთან ბრძოლას ის ხალხი აბრალებს, ვინც ცოტა ხნის წინ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ვერ გაიმარჯვა. ამასთან უარყოფს, რომ სელექციური ჯიშები შვიდი თვის განმავლობაში კერძო ბინაში ინახებოდა. მისი თქმით, მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის დანგრევის შემდეგ ეს ჯიშები აგრარულ უნივერსტეტში იყო დაცული.

**ზვიად ჭეიშვილი:** – სელექციონერებს საავტორო უფლება აქვთ, რაშიც მათ ვერავინ შეედავება, საკუთრების უფლებაზე კი მოლაპარაკება ჯერ არ გვქონია. აბრეშუმის ჭიის სუფთა ჯიშის კვერცხები ნამდვილად უნივერსიტეტში ინახებოდა, ლაბორატორიის გარეთ, შესაძლოა, ჰიბრიდები ინახებოდა.

**– დარწმუნებული ხართ, რომ კვერცხი ინსტიტუტის დანგრევის შემდეგ აგრარულ უნივერსიტეტში ინახებოდა? სელექციონერები ამბობენ, რომ კვერცხი ცოტა ხნის წინ ძალდატანებით მიატანინეთ მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის ერთ-ერთ თანამშრომელს.**

– ჩემი ხელით არ შემომიტანია, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენთან ინახებოდა. ეს არის უნივერსიტეტის საკუთრება, საავტორო უფლება კი სელექციონერებს ეკუთვნის. მათი და **"მეაბრეშუმეობის აღდგენის და განვითარების ფონდის"** საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ფონდს ჰიბრიდების ნაწილის გადაცემაზეც შევუთანხმდით. საერთო მემორანდუმის გაფორმებასაც ვგეგმავთ მათთან და საპატრიარქოსთან. ამასთან, საგრანტო კონკურსში უკვე გაიმარჯვა ორმა ძალიან კარგმა პროექტმა. ასევე უნივერსიტეტის დაფინანსებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად მოხდება აბრეშუმის ჭიის დახასიათება გენეტიკურ დონეზე. უნივერსიტეტი დააფინანსებს მსოფლიოში გავრცელებულ, აბრეშუმის ჭიის დაავადების კვლევასაც. ამ პროექტს ჩინეთსა და იტალიასთან ერთად განვახორციელებთ.

**"მეაბრეშუმეობის აღდგენის და განვითარების ფონდის"** წარმომადგენლის, **გოჩა მიქატაძის**, გამარტებით, აბრეშუმის ძაფისგან მიღებული პროდუქტის გამოყენებით დაინტერესებულია საპატრიარქო, რადგან ეკლესიაში მხოლოდ აბრეშუმის ქსოვილი გამოიყენება. ფონდის წარმომადგენლების განცხადებით, მათი მიზანია თუთის ნერგისა და აბრეშუმის ჭიის გავრცელება, რათა ხელი შეუწყონ ფერმერული მეორნეობების განვითარებას და უძველესი ტრადიციის აღორძინებას. როგორც ამბობენ, თუთა და აბრეშუმი ვაზივით და ღვინოსავით ძვირფასი იყო ქართველი კაცისთვის, ამიტომაც შემოსეული მტერი თუთასაც ვაზივით ჩეხდა. ერეკლე მეფეს ჭარელ ლეკებთან ომი ორი თვით გადაუდია, ხალხს აბრეშუმის ჭია ჰყავს მისახედიო.

**p.s.** აბრეშუმის ძვირფასი მასალისგან არა მხოლოდ ჩვეულებრივი სამოსი, უმაღლესი ხარისხის ჯავშანჟილეტიც მზადდება. სპეციალისტების განმარტებით, ასეთი ჟილეტების დასამზადებლად აბრეშუმის ძაფთან ერთად ობობას ქსელიც გამოიყენება.

**p.p.s.** არაოფიციალურ საუბრებში მეაბრეშუმეთა ერთი ნაწილი იმასაც ამბობს, რომ როგორც ასეთი უძველესი ქართული აბრეშუმის ჭიის ჯიშები აღარც არსებობს და ის, რასაც დღეს ქართულ აბრეშუმხვევიას ეძახიან, სელექციის შედეგად გამოყვანილი ახალი ჯიშებია, რომელსაც გენში ქართული თითქმის აღარაფერი აქვსო.

**ე. ლომიძე**

**გაზეთ "ილორის" კომენტარი: სიმართლე გითხრათ, ვერაფერი გაგვიგია ახალი ხელისუფლების დამოკიდებულებისა დამნაშავეებისა და დანაშაულისადმი. ჩვენდა გასაკვირად, "ქართული ოცნების" ხელისუფლების მამები ჯერ კიდევ მოწიწებით ელაპარაკებიან პირწავარდნილ დამნაშავე სააკაშვილსა და მის ნაციონალურ ხროვას, ლამის მთელი სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი მხოლოდ იმისათვის დააპატიმრეს, რომ ძვირადღირებულ ხარისხიან სასოფლო ტექნიკაში მეტი თანხა გადაიხადეს და უარი თქვეს შედარებით იაფი, მაგრამ აბსოლუტურად გამოუსადეგარი ტრაქტორების შეძენაზე. ბრალად კი ის წაუყენეს დაპატიმრებულებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი ორმილიონნახევარი ლარი უყაირათოდ დახარჯეთო. ბენდუქიძემ რომ ას მილიონ ლარად ღირებული სახელმწიფო ქონება (აგრარული უნივერსიტეტის შენობა, ათასობით ჰექტარი მიწა და ამ მიწებზე განთავსებული ლაბორატორიები და სხვა დამხმარე ნაგებობები) ოთხ მილიონ ლარად შეიძინა და სახელმწიფოს 96 მილიონი ლარი თავხედურად წაგლიჯა, ამაზე, რატომღაც, არავინ არაფერს ამბობს!**

**სხვა ზარალზე აღარაფერს ვამბობთ, რომელიც ამ მართლაც "ნეხვმზიდმა ტანკერმა" ანგარებით თუ წინასწარ მტრული განზრახვით მიაყენა სახელმწიფოს! სწორედ ამიტომ ეუზრდელება ეს არაკაცი ჟურნალისტებს და სკანდალურად სტოვებს ხოლმე ტელესტუდიებს, რათა მისთვის ვერ მოახერხონ "უხერხული" შეკითხვის დასმა, თუ რა მაქინაციებით მოახერხა ამ მართლაც საერთაშორისო მასშტაბის დამნაშავემ ვეებერთელა ქონების მუქთად ხელში ჩაგდება.**

**ამიტომ, ნუ ჩათვლით, რომ ბენდუქიძის სახით საქმე გვაქვს უზრდელ ადამიანთან. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ადამიანი წლების განმავლობაში წარმოადგენდა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, გამორიცხულია, რომ რუსებს ამ სერიოზულ სადისპეტჩერო "პულტთან"** მიეშვათ უზრდელი ან უტვინო ადამიანი. ამიტომ, ბენდუქიძისათვის უზრდელობა ერთგვარ ფარსს წარმოადგენს, რათა იგი არ აიძულონ აღიაროს საკუთარი დანაშაული!

განა იგივე საკითხზე არ ედავებიან დღეს პრეზიდენტის დედას გიული ალასანიას?! მაგრამ, ვერც პროკურატურა და ვერც სამართალდამცავები ჯერჯერობით რატომღაც ვერ ბედავენ ამ გაუმაძღარი დედაკაცისათვის სათანადო შეკითხვების დასმას!

ამის შემდეგ, სულ ცოტა, თუნდაც მორალის პრინციპებიდან გამომდინარე, უხერხულია ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენაზე ლაპარაკი!

არა და, იყო დრო, როცა საქართველოში თუთის ხეებს ვერ დაითვლიდა ადამიანი. მათ შორის სჭარბობდა ნამყენი თუთა, რომელსაც ვეებერთელა ფოთლები ჰქონდა და საკმაოდ ყუათიან საკვებს წარმოადგენდა აბრეშუმის ჭიისათვის. მაშინ საქართველოში იშვიათად ნახავდით სოფელს, რომლის თითოეული ოჯახი ოც კილოგრამამდე, და, ხშირად, უფრო ბევრ აბრეშუმის პარკს არ აბარებდა, რითაც ომისშემდგომ გასაჭირის წლებში თავს ირჩენდნენ ადამიანები და ქვეყანასაც დიდ სარგებელს აძლევდნენ. ნებისმიერ სოფელში იდგა აბრეშუმის პარკის სპეციფიკური სუნი, რომელსაც სპეციალურ ნაგებობებში აშრობდნენ.

სწორედ საქართველო გახლდათ მთელ საბჭოთა კავშირში აბრეშუმის ძაფის წარმოების ძირითადი ბაზა, რაც საშუალებას აძლევდა ქვეყანას, რომ დამატებითი სახსრები არ ეხარჯა ჩინეთიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან აბრეშუმის ნაწარმის ექსპორტირებისასთვის...

შემდეგ იყო ედუარდ შევარდნაძის ავისმომასწავებელი "ცეკასმდივნობა", რა პერიოდშიც განადგურდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომელსაც სარგებლის მოტანა არ შეეძლო პირადად ედუარდისათვის. სამაგიეროდ, ასტრონომიულად "გაიზარდა" საქართველოში ჩაის ფოთლისა და ყურძნის მოსავლიანობა (უფრო კონკრეტულად – ამ კულტურების მოსავლიანობა მკვეთრად გაიზარდა არა პლანტაციების ფართობების ზრდის გარეშე), რაც მხოლოდ მიწერების ხარჯზე ხდებოდა. სწორედ მაშინ იშოვნა ედუარდ შევარდნაძემ მილიარდები, რაც მხოლოდ საკუთარ კარიერულ წინსვლას და სხვა ბინძური მიზნების რეალიზაციას მოახმარა.

არავინ იცის, იყო ეს ეკოლოგიური კატასტროფა თუ წინასწარგამიზნული დივერსია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ერთიანად გადახმა თუთის ხეები და მეაბრეშუმეობა, როგორც ქვეყნის სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგი, თითქმის მთლიანად ამოიძირკვა.

ახლა კი, როცა გაჩნდა საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის აღორძინების რეალური შანსი, მას გზას ულობავენ უკვე პოლიტიკურ არარაობად ქცეული ბენდუქიძე და მისნაირი მტაცებლები.

საინტერესოა, როდის დაუსვამენ ამ მართლაც "ნეხვმზიდს" შეკითხვებს სამართალდამცავები მისთვის უხერხულ საკითხებზე?

ამით აღსრულდება არა მიხეილ სააკაშვილის მიერ ადრე როყიოდ ნასროლი არაადამიანური, აშკარად ანტიქართული დევიზი – "ნულოვანი ტოლერანტობა!.. ყველანი ციხეში!...", არამედ დიდი ხნის ნანატრი სამართლიანობა!



# დაბადების დღე

*(გაგრძელება №219-დან)*

სირბილში და ჯიკავ-ჯიკავში მოხდა ისე, რომ ის დარჩა ამხანაგების გარეშე. მარტო დარჩენილი ადგილს ვერ პოულობდა, რომ დამალულიყო და თავიდან აეცილებინა ცემა-ტყეპა. შენობაში შემოყარეს ცრემლსადენი აირის ბალონები. სუნთქვა გაჭირდა, თვალებში ვერავინ იხედებოდა. მერე ვიღაცამ თქვა მოიბანეთო, ვიღაცამ წყალი არ მიაკაროთო. იყო უაზრო, უმისამართო სირბილი. ზოგიერთი კედელ-კედელ მოძრაობდა თვალთახედვის უქონლობის გამო. ყველა გასასვლელი შენობიდან დაკეტილი აღმოჩნდა, არადა, შემოლეწილ კარებთან სპეცრაზმელები დაუნდობლად სცემდნენ განურჩევლად ყველას.

ეს ლამაზი, კოპწიად ჩაცმული, გაპიწკინებული ქართველები უცებ გადაიქცნენ მათხოვრულ, თმებგაშლილ, მელოტ, სისხლიან, გაწუწულ, შეგინებულ, შეშფოთებულ და გაოგნებულ ტალახიან ადამიანთა ბრბოდ. ზოგი მათგანი, ჯოხით ხელში, ეწინააღმდეგებოდა ჯავშნიანებს, რომლებიც პირდაპირ, დაუნდობლად სახეში ესროდნენ რეზინის ტყვიებს. ან ათეულობით ესხმოდნენ თავს და უმოწყალოდ სცემდნენ.

და აი, ხელში ჩაიგდეს იუბილარიც. მიაყენეს კედელთან, გინებით, თავში ჩარტყმით გაუსწორდნენ მას და ყველა მისნაირს. ვიღაცამ მას, ალბათ ანგელოზი იყო, უჩურჩულა, სთქვი, რომ თეატრის ყარაული ხარ და მანაც ყველას შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდა აქ, პასუხობდა, რომ იყო ყარაული.

– თუ აქაური ყარაული ხარ, ეს კარები გახსენი, თან მაჩვენე საბუთები, ყარაული რომ ხარ, თორემ დედას... – უყვიროდა უზარმაზარი ტანის მხეცი ჯავშნიანი.

ის შეტრიალდა, კარს ხელი შეახო. კარი ოდნავ შეიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ სპეცრაზმელები შეცვენილიყვნენ და იქ დამალულნი ცემა-ცემით გარეთ გამოეყარათ.

– შენ კი ამბობდი დაკეტილიაო, – მიუბრუნდა თეთრ პერანგში გამოწკეპილ კინოთეატრის მორიგე ახალგაზრდას სპეცრაზმელი. სახეში ხელჯოხი ჩაარტყა გინებით, რის გამოც წითლად შეეღება მორიგეს პერანგი.

– ვაიმე დედა! – წამოსცდა უნებლიედ ახალგაზრდას და იქვე ჩაიჩოქა.

– გთხოვ, დიაბეტიანი ვარ, ნუ მირტყამ, ცუდად გავხდები – იხვეწებოდა 70-75 წლის კაცი, მაგრამ სულ რაღაც წამებში ის ძირს ეგდო გაკოჭილი და თავგატეხილი.

– შენ რას უდგეხარ მანდ, შენი დედაც! – ამჯერად სხვა სპეცრაზმელმა მიმართა იუბილარს.

– მე ყარაული ვარ, აქ ვმუშაობ, აი, შეხედე, კინოს სათვალეები მაქვს ხელში, – უპასუხა მან და ვიღაცის მიჩეჩებული "3დ"-ს სათვალეები დაანახა, – ჩვენ ორნი ვართ, თუ გინდა მეორესაც მოვიყვან ახლავე.

– წადი, მოიყვანე! დროზე!

დღემდე არ იცის რამ მოაფიქრებინა ეს, მაგრამ ეს ერთადერთი საშუალება იყო გასცლოდა იქაურობას, სადაც მის თვალწინ, ნახევარ მეტრში ხდებოდა უმოწყალო ცემა ყველასი, განურჩევლად ასაკისა, სქესისა. რაც მთავარი შველით ვერავის შველოდა.

სიღრმეში შევიდა და დაინახა, რომ გვერდით ქუჩაზე გასასვლელი კარები ვიღაცას გაუხსნია.

უცებ იმდენად ძლიერი დარტყმა იგრძნო მარჯვენა ყურთან, რომ თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა, ჩაიკეცა. თავი შეიმაგრა.

ვიღაცამ ხელი წააშველა.

– ძია, მე ვარ, ვეცდები გაგიყვანო სამშვიდობოზე, თორემ აქედან ან ვერ დაიძვრენ თავს ან ინვალიდი დარჩები, თუ საერთოდ ცოცხალი დარჩი. არ გეწყინოს, მირჩევნია მე მოგარტყა ცოტაზე, ვინმე სხვამ.

ამ ლაპარაკით კარებისაკენ გააცილა ჯავშნიანმა. ქუჩაში ხუთი, ექვსი 13-14 წლის ბავშვები ჩქარი ნაბიჯით ჩადიოდნენ ქვეითკენ. ეტყობოდა ეს ბავშვები ვიღაცის დახმარებით სამშვიდობოს უნდა გასულიყვნენ. ის ამ ბავშვებს შეერია, მაგრამ ჰოი, სატანა, წინ სამ მწკრივად განლაგებული ჯავშნიანები დახვდათ მთელი ქუჩის პერიმეტრზე.

ისევ დაკავება, ისევ ლანძღვა, მაგრამ ამ დროს რუსთაველის გამზირიდან ვიღაცამ გასცა ბრძანება – "ესენი გაატარეთ!"

გაატარეს ბავშვები, ხოლო იუბილარი დაიტოვეს.

– თუ გვეტყვი რა ფილმი გადიოდა, გაგიშვებთ!

– ვერ ვიხსენებ...

– გაუშვით, რად გინდათ ეს უკბილო ბებერი, გაანებთ თავი. თქვა ერთმა. გაუშვეს და ისიც გაჰყვა წინ მიმავალ ბავშვებს. ზოგს გაასწრო კიდეც, ვინაიდან წაბარბაცდა, თითქოს გაიქცაო.

– ძია, ფეხს აუჩქარე, ეტყობა შენს გაშვებას არ აპირებენ, – უთხრა პატარა ბიჭმა იუბილარს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ხუთმა, ექვსმა სპეცრაზმელმა წრეში მოიქცია იგი. ხელზე ე.წ. პლასტმასის "ნარუჩნიკი" გაუკეთეს. ისევ იმავე ხმამ თხოვა დანარჩენებს გაეშვათ "ბებერი".

– ეს სამკლავური ჩვენგან სამახსოვროდ გქონდეს! მაგრამ, რას ანათებ ამ შენი თეთრი ქუდით. მოიხსნი და წამებში გაქრი შენი **"დუხი"** არ იყოს აქ! – ბრძანა ერთ-ერთმა და სპეცრაზმელებმა საბოლოოდ მიატოვეს იგი.

ქუდი სასწრაფოდ მოიხადა, მიხედმოიხედა და ერთ-ერთი მიკროავტობუსის სახურავზე შეაგდო. მანქანაში სპეცრაზმელები აღმოჩნდნენ, რომლებიც ხმაურით გამოცვივდნენ მანქანიდან. მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როცა დარწმუნდნენ, რომ მანქანის სახურავზე ქუდი იყო შეგდებული და სხვა არაფერი, რაც იუბილარს დიდი ნერვების დაძაბვა დაუჯდა, გაუშვეს!

თავი სტკიოდა, ყურებში იმ სირენის ხმა და დარტყმისგან გამაგიჟებელი ტკივილი ერთმანეთში იყო არეული, ამას ემატებოდა სულის წუხილი, თითქოს გულღვიძლი ამოაცალეს, თითქოს სიცარიელე აქვს გულმკერდში, თითქოს ცივი, ცივი ყინული ჩაუდეს გულღვიძლის სანაცვლოდ.

**"მალაკნების ბაზრამდე"** ფეხით იარა. არცერთმა მანქანამ არ გაუჩერა. არც ერთმა ღამის გამყიდველმა არ დაარეკინა თავისიანებთან...

შიში იყო, შიში და სასოწარკვეთილება სუფევდა ყველგან, ყველასთან. იყო გაოგნება, დრო გაჩერდა. ფიქრის არანაირი უნარი აღარ შერჩენია.

თავს ძალა დაატანა: – უფალმა მომიტინგეებს წვიმა მოგვივლინა, რათა ჩვენი თანამოძმე სპეცრაზმელების საქციელის გამო სირცხვილი მომიტინგეების სისხლთან და ცრემლთან ერთად გაერეცხა. გარეცხა... გარეცხეს, მაგრამ რა ეშველება ატირებულ სულებს, შიშნარევ, გაოგნებულ სახეებს, დიდად გახელილ უპასუხო შეკითხვებს? ამ დამცირებას და ტრამვებს?

მან ნახა ქალბატონ ნონას (გაფრინდაშვილი) შეშფოთებული თვალები, რომლებშიც ერთი შეკითხვა იკითხებოდა: ნუთუ ეს ცხადშია?

2011 წლის 26 მაისის ტრაგედია მსოფლიოს მოედო. სააკაშვილი და მისი ბანდა მომიტინგეებზე გამარჯვებას ზეიმობდნენ. მსოფლიოში არ აღმოჩნდა ქვეყანა და არ აღმოჩნდა დიპლომატი, ვინც სააკაშვილის რეჟიმს გააკრიტიკებდა. რამ გადააგვარა ქართველი კაცი ისე, რომ ქართველს სცემდე დაუზოგავად, სცემდე ისე, სანამ სიკვდილამდე არ მიიყვანო.

აი, ეს გამხეცებული სპეცრაზმელები სააკაშვილის ბრძანებით, უხვად იყვნენ დოლარებით დასაჩუქრებულნი.

შეშინებული, დამფრთხალი ხალხი დილით მორიდებით გავიდა ქუჩაში. იქ კი სააკაშვილი მომიტინგეებზე გამარჯვებასა და 26 მაისის დღესასწაულს ზეიმობდა.

26 მაისის დილას აღლუმი ჩატარდა და სიმღერით და ცეკვა-თამაშით აღნიშნეს! მხოლოდ იუბილარმა არ იცის რა აღინიშნა რუსთაველის გამზირზე.

მან მეორე დღეს მის სიცოცხლეში პირველად გონება დაკარგა. მაღლიდან ჩამოვარდა და უშველებელი ჭრილობიანი სახე 34 ნაკერით **"დაიმშვენა"**. ესეც სამახსოვროდ.

სიკვდილი ინატრა, მაგრამ! – **"როგორ შეიძლება იფიქრო სიკვდილზე, როცა შენ დედა გყავს! პირიქით, ვალდებული ხარ გაუფრთხილდე მის და შენს სიცოცხლეს!"**

– თუ ჩვენი სისხლი მოითხოვა უფალმა – გავეცით. რამდენიმე ჩვენგანი დაიღუპა. ეს ალბათ ჩვენი სამშობლოსთვის იყო საჭირო, რომ გადარჩეს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი. რომ მოევლინოს ჩვენს სამშობლოს მეორე დავითი, დავით აღმაშენებელი, – განაგრძო ფიქრი მან, ჩვენ კი, თუ საჭირო იქნება, თუ ჩვენი სამშობლო მოითხოვს, კვლავ გავიღებთ ჩვენ წილ სისხლს.

...მისი ამხანაგი, რომელსაც, როგორც მერე გაიგო სოფელ ოქროყანაში უცხოვრია, ტრავმებისგან თურმე სისხლს აღებინებდა ერთ თვეში გარდაიცვალა. მისი სული ცრემლიანი და ნაფურთხიანი წარსდგება უფლის წინაშე...

როგორც შეფასდა, 26 მაისის მიტინგზე დგომა გმირობის ტოლფასი იყო. იმ მიტინგზე ვინც კი დაეცა, ყველა უნდა მოექცეს ერთ წიგნში, რომელსაც დაეწერება **"სამშობლოსთვის თავგანწირულნი"**. არ შეიძლება დახოცილი და ტრავმაგადატანილი ადამიანების მივიწყება. ეს უპირველეს ყოვლისა დღევანდელი მთავრობის ვალია. ჩვენ ერთი სიცოცხლე გვაქვს და როცა მასაც სამშობლოს სწირავ, აი, ესაა გმირობა!... ასე ამბობენ.

მას შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მოხდა ცვლილება. მოვიდა მესია, რომელმაც ხალხი იხსნა სატანისაგან. სააკაშვილის რეჟიმის მოშორება საქართველოს გადარჩენის ტოლფასია!

ზოგიერთი ცდილობს ბატონ ბიძინა ივანიშვილს რაღაც ნაკლი მოუჩხრიკოს, რაღაცაში დაადანაშაულოს.

ივანიშვილის მთავრობამ სულაც არაფერი რომ არ გააკეთოს, მას დიდი მადლობა რომ საქართველოსა და ქართველ ერს სატანა ჩამოაშორა, თუმცა კარგად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონი ბიძინა ამ უფლებამოსილ წლებში იმდენს გააკეთებს, რამდენსაც ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვსაზღვრავთ.

რაც შეეხება 2011 წლის 26 მაისის მიტინგზე დახოცილ და ტრამვირებულ ხალხს, მათ საკადრისი პატივი უნდა მიეგოთ, ხოლო დამნაშავეები უნდა გასამართლდნენ. ამ საკითხის მიჩუმათება დანაშაულის ტოლფასია.

მომიტინგეების სახელით წინადადება შემოგვაქვს მთელი ერის წინაშე:

– შეიქმნას მახინჯი, როგორიც ჯერ არაფერი შექმნილა, **სირცხვილის ბოძი**, სადაც ამოიტვიფრება 2011 წლის 26 მაისის დამნაშავეების და დამკვეთების სია – დაე მათმა შთამომავლობამ ატარონ ის მძიმე ტვირთი, რაც სირცხვილად გაჰყვება მარადჟამს. სირცხვილის ბოძის ხელყოფა კატეგორიულად აიკრძალოს!

ძმათა მკვლელებს ჯოჯოხეთშიც აღარ დაედგომებათ...

ღმერთმა, ხატმა შეაჩვენოს ის ქართველი, რომელიც რომ ქართველ კაცის სისხლს დააქცევს!

არ გინდათ სამართლებრივი დასჯა? კი ბატონო, იყავით სირცხვილის ბოძზე და დაე მთელმა ქვეყანამ შემდეგ წლებშიც გაიგოს, რომ იყვნენ თქვენნაირი არამზადები და საქართველოს მოღალატეები.

**ომარ ნანავა**

# ლოპოტის ხეობაში მოკლულის მამის სკანდალური განცხადება – "ჩეჩნებს ივანიშვილზე თავდასხმა უნდა მოეწყოთ"

***გვესაუბრება ლოპოტის ხეობაში 2012 წლის აგვისტოს სპეცოპერაციისას მოკლულ 22 წლის ასლან მარგოშვილის მამა მერაბ მარგოშვილი.***

**– პროკურატურის ინფორმაციით, მაისის დასაწყისში მოხდება ლოპოტის ხეობაში ლიკვიდირებულთა გვამების ექსჰუმაცია. როგორ ფიქრობთ, დაეხმარება ეს გამოძიებას რამეში?**

– ვიდრე გარდაცვლილებს დავკრძალავდით, გვამებს ექსპერტიზა ჩაუტარდა. შს მინისტრის მაშინდელი მოადგილე გია ლორთქიფანიძე შეგვპირდა, ექსპერტიზის დასკვნას მოგაწვდით, ამაზე მე ვიღებ პასუხისმგებლობასო. ისინი სულაც არ აპირებდნენ დასკვნის გადმოცემას და როგორც თქვენ არ გინახავთ ის, ისე – ჩვენ. იმასაც ამბობენ, კომპიუტერი გატეხეს და ყველა მონაცემი წაშალესო. ამით ძველი ხელისუფლება დანაშაულს ფარავს, არ ეგონათ, ხელმეორედ თუ მოვითხოვდით ექსპერტიზას. ჩვენ იმიტომ დავთანხმდით ექსჰუმაციას, რომ დადგინდეს სიმართლე, კერძოდ, რა მანძილიდან და რომელი იარაღიდან ჩაცხრილეს ბიჭები. ვიცით, რომ ყველა მათგანს ზურგში ესროლეს. გამოძიებას გვამის ამოთხრის საშუალებას არ მივცემდით, ექსპერტიზის სწორად წარმართვის და სიმართლის დადგენის გარანტია რომ არ გვქონდეს, რადგან ეს ჩვენს რელიგიას ეწინააღმდეგება. ექსპერტიზა რომ არ ჩატარდეს, ბევრი რამ ისევ საეჭვო დარჩება, ჩვენ კი სიმართლის დადგენა გვინდა როგორც ვიცით, პირველი იერიში სპეცრაზმმა ღამის ოთხ საათზე მიიტანა, ეტყობა, ბიჭების ჩაძინებას ელოდნენ. ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა, არ ეგონათ, ასე თუ გაწირავდნენ, ვინაიდან ისინი 6 თვე თბილისში, საბურთალოზე ცხოვრობდნენ, მათ ამზადებდნენ და ინსტრუქტაჟს უტარებდნენ საქართველოს სხვადასხვა ბაზაზე, შავნაბადაზეც კი ყოფილან. ისინი იცნობდნენ ყველა მაღალჩინოსანს, ვისაც მათთან ჰქონდა შეხება.

**– თქვენი ინფორმაციით, მაინც რისთვის ამზადებდნენ და ვისთან ჰქონდათ ბიჭებს კონტაქტი?**

– მათ წვრთნასა და მომზადებას ხელმძღვანელობდა შს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, ამ ყველაფერს კი უშუალო ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას უწევდა სანდრო ამირიძე – ანტიტერორისტული ჯგუფის ხელმძღვანელი, ის აკონტროლებდა გასულ და შემოსულ ჩეჩნებს და მუშაობდა მათთან.

**– თქვენი ვაჟი – ასლანი როგორ მოხვდა მათთან?**

– ასლანმა უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამი კურსი დახურა. მას ფინეთიდან დაუკავშირდნენ ჩეჩნები, რომლებთანაც მეგობრობდა და დაპატიჟეს, ჩამოდი, თუ მოგეწონება, აქ გააგრძელე სწავლაო. ვურჩევდი, ბარემ ოთხი კურსი დაამთავრე და მერე წადი-მეთქი. უნიჭიერესი ბიჭი იყო, მითხრა, გამოცდებს ინტერნეტითაც ჩავაბარებო. მაგრამ მოულოდნელად ასეთი რამ შეემთხვა. ეტყობა იქ, საზღვარგარეთ, იყო იმაზე ლაპარაკი, რომ თბილისში ჩამოსულიყვნენ, იქ ბევრი ჩეჩენი ცხოვრობს და აიყოლიეს ვიღაცებმა. ასლანმა იცოდა, გადაწყვეტილებას რომ არ მოვუწონებდი და ამიტომაც დამალა – ოჯახთან ვითომ საზღვარგარეთიდან ამყარებდა კონტაქტს, ის კი მთელი 6 თვის განმავლობაში თბილისში ყოფილა.

ჩემი ინფორმაციით, ბიჭები დაღესტნის გავლით ჩეჩნეთში ნამდვილად არ მიდიოდნენ. სხვათა შორის, სპეცოპერაციამდე ერთი თვით ადრე, 23 ივლისს ყველას გაუფორმეს ოფიციალურად **"სტეჩკინის"** ტიპის იარაღი და ავტომატები ეს ყველაფერი ძალოვანი სტრუქტურების ნამოქმედარია. ჩეჩნეთში თუ მიდიოდნენ, იქ იარაღზე საბუთს ვინ მოსთხოვდათ?! ბიჭებს ოფიციალურად გაუფორმეს ყველაფერი და უთხრეს, ჩეჩნებს გააცილებთ საზღვრამდე და უკან მობრუნდებითო. ამათაც, ეგონათ, რაღაც მისიას ასრულებდნენ და დაჰყვნენ უფროსების ნებას.

ჩვენთვის ბიჭების მომზადების ორი ვერსიაა გამოკვეთილი:

1. ჩეჩნებს უნდა მოეწყოთ ივანიშვილზე თავდასხმა, ქართული სპეცრაზმი მათ უკან იქნებოდა და თავდამსხმელებს იქვე ამოხოცავდნენ, რათა შემდეგ სააკაშვილს მსოფლიოს გასაგონად ეყვირა, ჩეჩენი ტერორისტებისგან ვიხსენი ივანიშვილიო. ეს იყო სააკაშვილის მიერ წინასაარჩევნოდ გათვლილი პიარი.

2. ბიჭებს სააკაშვილზე თავდასხმის ინსცენირება უნდა მოეწყოთ. ამ ყველაფერზე კი მათ უარი უთქვამთ – თქვენს საშინაო საქმეებს თვითონ მიხედეთ, ჩვენ არ ჩავერევითო. ამიტომაც გაავრცელეს თავიდან ვერსია – საქართველოში შემოვიდა ტერორისტული ჯგუფი და არც ერთი მათგანი საქართველოს მოქალაქე არ არისო. სხვათა შორის, მებრძოლებს შორის იყო კიდევ ერთი კაცი, წარმოშობით ლეკი, რომელიც იმ ღამით ბიჭებს მეგზურობას უწევდა. ის კაცი დაკარგულია და როგორც გაირკვა, რუსების მიერ ყოფილა შემოგზავნილი. თუ არ ვცდები, უშიშროების საბჭოს მდივანმა ბათუ ქუთელიამ თქვა, იმ პერიოდში რუსებთან ინტენსიური ურთიერთობა გვქონდაო. ე.ი. ყველა საქმის კურსში იყო და ამ ხალხის ლიკვიდაცია რუსებთანაც იყო შეთანხმებული.

**– გია ლორთქიფანიძე მართლა შეგხვდათ დაღუპულების მშობლებს?**

– გია ლორთქიფანიძე ახმეტელია და აქ მეგობრები ჰყავს. მათ ამოიყვანეს პანკისში, გარდაცვლილების მშობლებთან შეხვედრა უნდოდა. რაში მაინტერესებდა მასთან შეხვედრა და მისი ტყუილების მოსმენა?! გია ლორთქიფანიძე ამბობს: ჩემი ბრალი არ არის, სააკაშვილის ბრძანებას ვასრულებდიო, ოპერაციას ვხელმძღვანელობდი და მხოლოდ ის შევძელი, რომ ლიკვიდაციის ოპერაცია ორი საათით გადმოვწიე. ღამდებოდა და იძულებული ვიყავი, სპეცოპერაცია დამეწყოო. არადა, ის ღამით კი არა, გამთენიისას დაიწყო.

**– გადარჩენილი ჩეჩნები სად არიან, არ გამოდიან კონტაქტზე? ერთ-ერთი ვერსიით, ისინი თურქეთის ციხეში სხედან...**

– გადარჩენილი ჩეჩნები სპეცსამსახურებთან ალიანსში არიან, ამიტომაც გაიყვანეს საქართველოდან. ვის დატოვებდნენ ცოცხალს, როცა ალყაში ჰყავდათ ყველანი მოქცეული? ისინი მეორე დღეს ვალეს სასაზღვრო პუნქტიდან თურქეთში გაიყვანეს და მას შემდეგ კონტაქტზე არ გამოდიან. ბიჭები გაწირეს როგორც ხელისუფლებამ, ისე სპეცსამსახურებთან დაახლოებულმა ჩეჩნებმა.

**– ამას წინათ გავრცელდა დათა ახალაიას წერილი, სადაც იგი ლაფანყურის ოპერაციაზე მთლიანად ვანო მერაბიშვილს აკისრებს პასუხისმგებლობას...**

– დარწმუნებული ვარ, სააკაშვილისა და მერაბიშვილის გარეშე იქ კაცი არ იყო რამის გამკეთებელი. ბაჩანა ახალაია კი შს მინისტრი იყო და მისი ყველა სპეცრაზმი იქ იყო მობილიზებული. ახალაიაც ყელამდეა ჩაფლული ამ საქმეში, მაგრამ მერაბიშვილისა და სააკაშვილის გამორიცხვა აბსურდია.

**– სხვათა შორის, არსებული ინფორმაციით, თურქეთში მაისში შარიათის სასამართლო უნდა გაიმართოს, რომელზეც ლაფანყურის ამბებს განიხილავენ.**

– შარიათის სასამართლო ძალიან გაჭიანურდა. რამდენიმე თვეა ამბობენ, ვიცით ოპერაციის მონაწილე პირების ვინაობა, უბრალოდ, ვარკვევთ, ვის რა ბრალი მიუძღვისო. შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერ სახელმწიფოში სრულდება, მას საზღვრები არა აქვს. თუ ვინმეს მოშორება უნდათ, ეს მათთვის პრობლემა არ არის. ქართველი მაღალჩინოსნები შეშინებული არიან და ამიტომაც დაიწყეს ერთმანეთზე გადაბრალება, არ უნდათ შარიათის სიაში მოხვდნენ. ყველა ცდილობს, სხვა **"ჩაუშვას"** და თვითონ გამოძვრეს. შარიათი უტყუარ მტკიცებულებებს ეყრდნობა და თუ პირს დანაშაული დაუმტკიცდა, მას მკაცრი გადაწყვეტილება – სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს. სააკაშვილის სასამართლოსგან განსხვავებით, ეს ნამდვილი სასამართლო იქნება. საქმეში ყელამდეა მტკიცებულებები და სააკაშვილის სასამართლომ თუ მოინდომა, სიმართლის დადგენა არც მას გაუჭირდება.

**ნ. ფიცხელაური**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ლევან კობიაშვილი: როცა საქმე კარგად მიდის, არავინ არჩევს იოზილსა და მიულერს



ლევან კობიაშვილი გერმანიაში 1998 წლიდან თამაშობს. ასეთ ქვეყანაში ფეხბურთელის თხუთმეტწლიანი კარიერა კი ის ბიოგრაფიაა, რომელზეც ბევრი იოცნებებდა. მას ფეხბურთში ძალიან ბევრი უნახავს, კობიაშვილს გერმანიაში აფასებენ...

კობიაშვილთან სატელეფონო ინტერვიუში არაერთ საკითხზე ვისაუბრეთ, მეტწილად კი, გერმანულ ფეხბურთზე.

**– ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალში გერმანული გუნდები გავიდნენ – მიუნხენის "ბაიერნი" და დორტმუნდის "ბორუსია". რამდენიმე სპეციალისტის აზრით, ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ ბუნდესლიგა ახლა უკეთესი ჩემპიონატია, ვიდრე ესპანური პრიმერადივიზიონი. ეთანხმები ასეთ შეხედულებას?**

– რა გითხრათ, მე ასე მაინც არ შევადარებდი ჩემპიონატებს, კატეგორიულად არ ვიტყოდი, რომ ბუნდესლიგა სხვა ელიტარულ ლიგაზე უკეთესია. ეს ფეხბურთია და შესაძლოა, გაისად ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი ინგლისური ან ორი ესპანური, ან ორი იტალიური გუნდი გავიდეს.

როგორც უნდა იყოს, ფაქტია, რომ გერმანული ფეხბურთი წინ მიდის. დაახლოებით ათი წლის წინათ გერმანულ ფეხბურთში მწვავე პრობლემები იყო, მართლაც ცუდი პერიოდი ჰქონდათ გერმანელებს და მათ ეროვნულ ნაკრებს. ასეთ დროს გერმანიის საფეხბურთო კავშირში მუშაობა დაიწყო მათიას ზამერმა და საქმეც წინ წავიდა.

კლუბების და მწვრთნელების ლიცენზირება, ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა... გერმანელებმა საქმის გამოსწორებას კომპლექსურად მოჰკიდეს ხელი. ქვედა ლიგებში ლეგიონერების აყვანა აკრძალეს. ერთი სიტყვით, რამდენიმე სწორი, მიზანმიმართული ნაბიჯი გადადგეს და ყველაფერმა ამან შედეგიც მოიტანა.

ბუნდესლიგა წლიდან წლამდე უკეთეს ჩემპიონატად ყალიბდებოდა. ორი გუნდი რომ გავიდა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალში, რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითობა არ არის.

**– გერმანიის ნაკრებს თუ გადავხედავთ, იმდენი არაეთნიკურად გერმანელი ფეხბურთელია, რომ ასეთი რამ ადრე არასდროს ყოფილა. ეს სოციალური ფაქტორით არის განპირობებული? ანუ გერმანელი ახალგაზრდები მეტწილად განათლებას ირჩევენ, ვიდრე პროფესიულ სპორტს და ფეხბურთიც ემიგრანტების შვილებს რჩებათ?**

– ეს ასე არ არის. უბრალოდ, მიზანმიმართულად გაკეთდა ყველაფერი. როცა გერმანელებს შემოაკლდათ ახალგაზრდა ტალანტები ფეხბურთში, ყველა იმას ამბობდა, მხოლოდ მეჰმეთ შოლი თამაშობს ისეთ ფეხბურთს, რაც ქუჩის ფეხბურთიდან მოდისო. ვისაც შოლის თამაში ახსოვს, კარგად მიხვდება, ამაში რა იგულისხმება. გერმანელებმა ნება დართეს იმ არაეთნიკურად გერმანელ ბავშვებს, რომლებიც დაბადებულები არიან გერმანიაში, ეთამაშათ ასაკობრივ ნაკრებებში.

**– ნიჭიერი ახალგაზრდის გერმანიაში ჩაყვანა დღეს უკვე შეუძლებელია?**

– ქვედა ლიგებში ეს წარმოუდგენელია, ყველაფერი მკაცრად კონტროლდება. თუ ბავშვის ოჯახი გერმანიაში არ ცხოვრობს, ის იქაურ გუნდში ვერ მოხვდება.

**– ბავშვის ფეხბურთზე მიყვანა – ეს ყველა სოციალური ფენისთვის ხელმისაწვდომია გერმანიაში?**

– პროფესიული კლუბის აკადემიაში ბავშვის ფეხბურთზე მიყვანა უფასოა. ჩემი შვილი არ დადის **"ჰერტას"** აკადემიაში, ბერლინის სხვა საფეხბურთო სკოლაში შევიყვანე, სადაც არის გადასახადი, მაგრამ არა ისეთი, როგორიც საქართველოში, როცა თვეში ას ლარამდეა შესატანი და ოჯახს ამ თანხის გადახდა ძალიან უჭირს.

**– ისევ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალს დავუბრუნდეთ. რა საერთო აზრია შექმნილი გერმანიაში, უფრო ვის უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას?**

– მასმედია, სპეციალისტები, გულშემატკივრები – თითქმის ყველა იმას ამბობს, რომ შანსები თანაბარია. თუ მიმდინარე ბუნდესლიგას შევხედავთ, **"ბაიერნმა"** და **"დორტმუნდმა"** ერთმანეთში ორივეჯერ ფრე ითამაშეს. ორივე გუნდი მართლაც ღირსეულად გავიდა ჩემპიონთა ფინალში და ძნელია, რომელიმე ფავორიტად მიიჩნიო.

**– გასაგებია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ "ბაიერნი" "დორტმუნდზე" უფრო გამოცდილი გუნდია და ეს ცოტას არ ნიშნავს...**

– ყოველი ფეხბურთელისათვის გამოცდილება მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანია. **"დორტმუნდს"** ნახევარფინალის მეორე შეხვედრაში გაუჭირდა მადრიდის **"რეალთან"**, ბოლო წუთამდე გაურკვეველი იყო ფინალისტის ვინაობა; **"ბაიერნმა"** კი ისე დაამარცხა **"ბარსელონა"**, ვითომც არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა.

ბავარიელებს **"დორტმუნდზე"** უფრო გამოცდილი გუნდი ჰყავთ. მიმაჩნია, რომ **"ბაიერნი"**, როგორც გუნდი, **"დორტმუნდზე"** მყარი და ძლიერია. მოგეხსენებათ, **"დორტმუნდს"** საკუთარი სტილი გააჩნია და ამით ნებისმიერი რანგის მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლია. დორტმუნდელებს ძლიერი ინდივიდუალისტებიც მოეპოვებათ, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ბავარიელებს უკეთესი გუნდი ჰყავთ.

**– მეორე ბუნდესლიგის წინა ტურში ერცგებირგეს "აუესთან" არ გითამაშია – რა იყო ამის მიზეზი?**

– ბუნდესლიგის საგზური უკვე მოპოვებული გვაქვს და **"ჰერტას"** მწვრთნელმა ექვსი ფეხბურთელი დაგვასვენა, იმათ მისცა თამაშის საშუალება, რომელთაც ამ სეზონში ხშირად არ უწევდათ მოედანზე გასვლა.

**– როგორი იქნება "ჰერტა" დამდეგ სეზონში – ეს უკვე ცნობილია? გუნდის სატრანსფერო პოლიტიკას ვგულისხმობ...**

– **"ჰერტას"** ფინანსური შესაძლებლობები ისეთი არ არის, რომ ტრანსფერებში დიდი ფული გადაიხადოს. ალბათ, თავისუფალ აგენტებს მოიწვევს. რაც შეეხება მიზნებს, **"ფრაიბურგსაც"** არ აქვს დიდი ფინანსური შესაძლებლობები, მაგრამ მიმდინარე ბუნდესლიგაში ახლა მეექვსე ადგილზეა და თუ არ ჩამოქვეითდა, ევროპალიგაზე ითამაშებს. ვფიქრობ, **"ჰერტა"** 2013-14 წლების ბუნდესლიგაში ცხრილის შუაში იქნება.

**– "ჰერტას" ჰოლანდიელი სპეციალისტი იოს ლუჰაკაი წვრთნის – გუნდიც უფრო ჰოლანდიურ თარგზეა მოჭრილი?**

– ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი, ორი სწრაფი გარემარბი, რაც შეიძლება მეტი კონტროლი ბურთზე, გააზრებული კომბინაციები გრძელი გადაცემების ნაცვლად – შეიძლება ითქვას, რომ **"ჰერტა"** მართლაც უფრო ჰოლანდიურ სტილს ანიჭებს უპირატესობას.

**– არის იმის შანსი, რომ ბუნდესლიგის მომდევნო გათამაშებაში, ლევან კობიაშვილის გარდა, სხვა ქართველმაც ითამაშოს? ჩვენს ეროვნულ ნაკრებში გვგულება ისეთი ფეხბურთელი, ბუნდესლიგაში ფეხის მოკიდებას რომ შეძლებდა?**

– მე მაინც მგონია, რომ ბუნდესლიგაში მოხვედრა უფრო ძნელია, ვიდრე იქ თამაში. ვფიქრობ, ბუნდესლიგაში თამაში არაერთ ქართველ ფეხბურთელს შეუძლია, მაგრამ ასეთ ლიგაში რომ მოხვდე, ჯერ იქ უნდა გამოიჩინო თავი, სადაც ახლა თამაშობ. მხოლოდ რამდენიმე მატჩში კი არა, მთელი სეზონის განმავლობაში უნდა იყო გამორჩეული, სეზონი სტაბილურად კარგად უნდა ჩაატარო, რომ შენით ბუნდესლიგის რომელიმე გუნდი დაინტერესდეს. ჩემპიონატის ბომბარდირი, საუკეთესო ახალგაზრდა... რაღაც აღიარებას უნდა მიაღწიო, სანამ ბუნდესლიგამდე მიხვალ.

---

**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.**

**საგამოცემო ჯგუფი**




---

## Fox News – 15 ათასი წლის წინ ევროპელები და აზიელები საერთო ენაზე საუბრობდნენ, რომლის წარმოშობის ადგილი საქართველოა

15 ათასი წლის წინ ევროპელი და აზიელი ადამიანების წინაპრები საერთო ენაზე საუბრობდნენ, რომლის წარმოშობის ადგილი, სავარაუდოდ, კავკასია, კერძოდ კი ახლანდელი საქართველოა. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ დასავლელი მეცნიერები. ინფორმაციას ამის შესახებ Fox News ავრცელებს ჟურნალ **Proceedings of the National Academy of Sciences**-ზე დაყრდნობით.

**"ჩვენ შეგვიძლია ენის კვალს 15 ათასი წლის წინანდელ პერიოდამდე გავყვეთ, რომელიც უკანასკნელი გამყინვარების ხანის დასასრულს შეესაბამება",** – განაცხადა კვლევის თანაავტორმა მარკ პეგელმა, რედინგის უნივერსიტეტის ბიოლოგმა.

თუმცა, ყველა ლინგვისტი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანები ერთ ენაზე საუბრობდნენ და ცდილობენ საპირისპიროს დამტკიცებას. ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ ენის ფესვების კვალს 3 000-დან 4 ათასამდე წლის წინ მივყავართ.

მარკ პეგელის მოსაზრებით, 23 სიტყვა, მათ შორის **"მე", "შენ", "დედა", "კაცი", "ცეცხლი"** და **"ხელი"**, არ არის გამორიცხული ისევე ჟღერდეს, როგორც 15 ათასი წლის წინ.

მექსიკის უნივერსიტეტის ლინგვისტი უილიამ კროფტი კი მიიჩნევს, რომ კვლევა ასევე უშვებს იმის შესაძლებლობას, მეცნიერებმა გააერთიანონ ლინგვისტური მონაცემები არქეოლოგიასთან და ანთროპოლოგიასთან კაცობრიობის პრეისტორიის მოყოლის მიზნით. ასე მაგალითად, უძველესი მიგრანტებისა და ადამიანთა შორის კონტაქტის ხელახლა აღდგენით.

როგორც იქნა – იგრძნობა, რომ კოლხურ ენასთან დაკავშირებული ლინგვისტური ყინული თანდათან ლხვება!

ცნობილი ქართველი მეცნიერი ისტორიკოსები (შოთა ხვედელიძე, ანზორ შონის, კლიმენტი შელია, კუკური ფიფია, გია კვაშილავა და სხვები) უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ სწორედ კოლხეთში იღებს სათავეს მსოფლიო ცივილიზაცია, ადრეულ პერიოდში კი მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები კოლხურ (მეგრულ) ენაზე მეტყველებდნენ, რასაც დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ **"ქართველთმოძულე"** მეცნიერები. მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე ევროპელი მეცნიერებიც რწმუნდებიან იმაში, რომ მსოფლიოში საერთოსასაუბრო ენა სწორედაც რომ კოლხეთიდან გავრცელდა, ხოლო ეს ენა რომ კოლხურ-იბერიული (მეგრული) იქნებოდა, ეს უკვე თავისთავად ნათელია!

გზა დავულოცოთ ახალ მიგნებას!

გამოვიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან. თბილისში – ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, ბინა, 1. ფასი 4 ლარი

---

## იუმორი

ოთახში შედის სიდედრი ცოცხით ხელში.

– ქალბატონო ციალა, უნდა გამოხვეტოთ ოთახი თუ სადმე მიფრინავთ? – ეკითხება სიძე.

* * *

ნაცპარლამენტარები:

– კიდევ დაადო კანონპროექტს ვეტო პრეზიდენტმა. უნდა დავაძლევინოთ უმრავლესობას.

– ერთი-ორი ვეტო მინდა კიდევ და იმ რემონტსაც დავამთავრებ.

* * *

ერთი დაქალი მეორეს:

– რამდენი მორწმუნე დადის ქალაქში, საოცარია...

– შენ რა იცი?

– საჭესთან რომ ვზივარ, წინ ვინც მხვდება, ყველა პირჯვარს იწერს.

* * *

– ექიმო, პრობლემა მაქვს!
– ეწევი?
– არა.
– სვამ?
– არა.
– ცოლს ღალატობ?
– არა.
– აბა, რა პრობლემა გაქვს?
– სულ ვიტყუები.

* * *

არდადეგების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

– აბა, ვინ წაიკითხა "ვეფხისტყაოსანი"?

– უნდა წაგვეკითხა? – კითხულობს ბავშვი.

– დიახ!

– მე კი გადავწერე...

ISSN 1987-8966 ilori
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

redaqciis misamarTi: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

mTavari redaqtori roland jalaRania
teqnikuri redaqtori: mixeil CodriSvili
gazeTis menejeri: zurab qobalia 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge